სოხუმის ხელისუფლების ზეწოლა ქართველებზე A2

რუსთავის მერიას "რელასის" ქვითრებისა არ სჯერა A4

ევროისტორია B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 26 აგვისტო, 2004 წელი. №202 (751)

ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### "თბილგაზის" ხელმძღვანელობას "გაზექსპორტთან" საუბარი სურს



დავით მორჩილაძე მზადაა, მოლაპარაკებებში ჩაერთოს.

A4

## უცხოეთი

### ტექნიკური გაუმართაობა თუ ტერაქტი?



რუსეთის ხელისუფლება ჯერ-ჯერობით ერიდება მომხდარისათვის ტერაქტის კვალიფიკაციის მიცემას.

A5

## საზოგადოება

### "საზამთროს სეზონი მაილიოს და მერე კისერიც გიტეხიათ"



კახელების დიდმა ნაწილმა მევენახეობა-მეღვინეობაზე ხელი რომ აიღო, თბილისის ქუჩებსაც ეტყობა. დედაქალაქში ყოველი ფეხის ნაბიჯზე გამოფენილი საზამთრო, ძირითადად, კახეთიდან ყოფილა შემოტანილი...

A6

## სამართალი

### აბაშიძეებისა და მათი ახლობლებისთვის ქონების ჩამორთმევაზე სასამართლო იმსჯელებს

A7

## ამინდი

| | 26/8 | 27/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | 34 |
| ქუთაისი | 32 | 37 |
| ბათუმი | 27 | 34 |
| სოხუმი | 28 | 32 |
| ფოთი | 29 | 34 |
| თელავი | 29 | 33 |
| ზუგდიდი | 31 | 36 |
| გორი | 27 | 31 |
| ახმეტა | 29 | 32 |
| ჭიათურა | 30 | 35 |
| გაგრა | 26 | 30 |
| სამტრედია | 31 | 36 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.1785 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2368 |
| რუბლი | 0.0616 |

# პატრული

## პოლიციის ავანგარდი




გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ახალგაზრდები, კარგი აღნაგობით, განათლებულები, ზრდილნი და, რაც მთავარია, პატიოსნები - ჩანაფიქრში სწორედ ასეთი კადრებით დაკომპლექტებულმა საპატრულო პოლიციამ საზოგადოებაში, ტრადიციულად, მონსტრად აღქმული პოლიციის სრულიად ახალი სახე უნდა შექმნას.*

*უმაღლესი განათლების არმქონენი, ან თუნდაც, დიპლომიანი უწიგნურები, რომლებსაც ადამიანებთან ურთიერთობაში პრობლემები უჩნდებათ და ზრდილობასთან მწყრალად არიან, საპატრულო პოლიციის რიგებში ვერ მოხვდებიან. სხვადასხვა კრიტერიუმებით უკვე შერჩეული პატრულები კი საკუთარი უფლება-მოვალეობების შესრულებას უკვე შეუდგნენ.*

სოფიკო ჩხაიძე

სამ ნაკადად ჩატარებული მიღების შედეგად, 6000 მსურველიდან შეირჩა და სპეციალური სწავლების კურსი 1500-მდე პირმა გაიარა. თუმცა, დღეისათვის, მთელი საქართველოს მასშტაბით, 800 საპატრულო პოლიციელი მუშაობს, მათ შორის - 40 ქალია. ისინი სწავლების კურსის გავლის შემდეგ, სპეციალურ გასაუბრებაზეც გავიდნენ და თანამდებობებზე დაინიშნენ. თუმცა, საბოლოოდ დაკომპლექტებული არც ერთი დანაყოფი არ გახლავთ. ეს პროცესი უახლოეს მომავალში დასრულდება და, ჯამში, საქართველოს გზებს 1600 საპატრულო პოლიციელი მოედება.

იმის გამო, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობის თითქმის 50 პროცენტი დედაქალაქში ცხოვრებას ამჯობინებს, საპატრულო პოლიციელთა ძირითადი კონტინგენტი თბილისის უბნებზე განაწილდება - სულ 650 კაცი. მათ განკარგულებაში 65 საპატრულო მანქანა იქნება. შვიდი მანქანა უკვე მოძრაობს ბათუმში, ოთხი - ქობულეთში, დანარჩენი საპატრულო

გაგრძელება A3 გვერდზე

# ლატარიაში გვერგო ეს...

კახა ფარუაშვილი
*ათენიდან*

ბედი არ გინდა? კაზარიანი ლატარიაში გვერგო. ორი დღეა, ეს პირხმელი სომეხი ქართველი ფალავნების ბრძოლებს მსაჯობს და ორი დღეა, ჩვენი ბიჭები პანტაპუნტით ვარდებიან ოლიმპიური თამაშებიდან. არადა, არც იმის ბერკეტი არსებობს, ეს მდგომარეობა როგორმე გამოვასწოროთ. და ველოდებით ასე გულხელდაკრეფილი იმას, თუ როდის გამოაგდებს კაზარიანი გათამაშებიდან ჩვენს მოჭიდავეს. დღეს, დილით, 10.30 საათზე, ჩვენი გუნდის ბოლო იმედი რამაზ ნოზაძე ჭიდაობს, ჩვენ კი არაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ კაზარიანის "მორიგი შეცდომებისგან" თავი დავიზღვიოთ.

გუშინ საქართველო ორმა ფალავანმა - აკაკი ჩაჩუამ (60 კგ.) და რამაზ ნოზაძემ (96 კგ.) წარმოადგინა. ორივემ ღირსეულად იჭიდავა და მედლებისთვის ბრძოლა დაიმსახურა. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, კაზარიანის ამფსონებმა ჩაჩუა ტურნირიდან ისე გამოაბუნძულეს, თვალიც არ დაუხამხამებიათ. რამაზ ნოზაძემ კი ორივე შერკინება მოიგო და ახლა მეოთხედფინალში გოგი კოღუაშვილს ხვდება. კოღუაშვილი რუსეთის ღირსებას იცავს. ის უაღრესად გამოცდილი ფალავანია, ევროპისა და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი. გოგის ერთადერთი მოტივაცია სწორედ ოლიმპიური ჩემპიონობაა და ამ მიზანს შეეწირებაო, - მითხრეს რუსმა ჟურნალისტებმა. თანაც, რუსებს კოღუაშვილზე მედალი აქვთ დაგეგმილი.

გაგრძელება B4 გვერდზე

## შეფუთული ღალატი

### ქვიშა და ქვები ტყვიების ნაცვლად

ნინო გომართელი

ბათუმში, მთავრობის გასვლითი სხდომის დაწყებამდე, მიხეილ სააკაშვილმა ბოლო დროს ქვეყანაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა. პრეზიდენტი არ მოერიდა აქამდე გაუხმაურებელ ფაქტზე საჯარო საუბარს და იმ მოღალატეთა დადგენა და დასჯა მოითხოვა, რომელთა მიზეზითაც კონფლიქტის ზონაში მყოფ ქართველ სამხედროებს იარაღის და ტყვიაწამლის ნაცვლად ქვები და ქვიშა გაუგზავნეს.

**"ჩვენი თავდადების ფონზე, იმის ფონზე, რომ ჩვენს არც ერთ ჯარისკაცს არ დაუხევია უკან და მტერს არ დაუნახავს არც ერთი მათგანის ზურგი; იმის ფონზე, რომ ჩვენ მართლაც დასაფასებელი და ძალიან წარმატებული სპეცოპერაცია ჩავატარეთ, გამოჩნდა ღალატი. ის ხალხი, ვინც ჩააწყო ქვები ყუმბარების ნაცვლად ყუთებში, მათ, ვინც ჩაყარა ქვიშა ტყვიების ნაცვლად, დღესვე უნდა აგონ პასუხი. ასეთ ადამიანებს არ აქვთ არათუ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების, არამედ შვილების გაზრდის უფლებაც,"** - განაცხადა პრეზიდენტმა და აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევის დაწყება მოითხოვა.

მიხეილ სააკაშვილმა ასევე მიმოიხილა ბოლო დროს ცხინვალის რეგიონში მომხდარი მოვლენები და ქართული მხარის ის გადაწყვეტილებები, რომლის შედეგადაც პოზიციური ომი შეწყდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## გენშტაბში ამერიკული ორიენტაცია მკვიდრდება

სოფო ბუკია

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გივი იუკურიძე თანამდებობიდან გათავისუფლებულია. ამის შესახებ გუშინ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. ჟვანიას თქმით, იუკურიძემ თავად დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ.

48 წლის გივი იუკურიძე აღნიშნულ თანამდებობაზე თებერვალში დაინიშნა, მანამდე იგი უშიშროების საბჭოში მუშაობდა. იუკურიძეს 30-წლიანი სამხედრო გამოცდილება აქვს. იგი დონეცკის სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებლისა და პოლიტაკადემიის კურსდამთავრებულია. მას ასევე დამთავრებული აქვს რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების გენშტაბის აკადემია მოსკოვში.

იუკურიძის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ ხმები რამდენიმე დღეა ვრცელდება. გენერალური შტაბის მუშაობითა და იქ მომხდარი სტრუქტურული რეორგანიზაციით უკმაყოფილებას სამთავრობო წრეებში დიდი ხანია გამოთქვამდნენ. იუკურიძის გადადგომის ოფიციალური მიზეზი, ჯერჯერობით, არ სახელდება. გუშინ ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში პრემიერმა ჟვანიამ აღნიშნა, რომ **"პრეზიდენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, არ იყო კმაყოფილი იმ ტემპით, რა ტემპითაც გენერალური შტაბი მუშაობდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ უწყებას უფრო აქტიურად მუშაობა შეუძლია".**

გავრცელებული ინფორმაციით, იუკურიძის გადადგომა ცხინვალში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ აღნიშნა, იუკურიძის გადადგომის მიზეზი ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენები და დაღუპული ქართველი სამხედროების რიცხვი გახდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები
A3 მთავარი თემა
A4 ეკონომიკა
A5 უცხოეთი
A6 საზოგადოება
A7 სამართალი
A8 მთავარი თემა

B2 რევიუ
B3 რევიუ
B4 სპორტი
B5 სპორტი
B6 ევროისტორია
B7 სხვადასხვა
B8 სხვადასხვა

## რუსები საელჩოსთან მიმდინარე აქციამ შეაწუხა

რუსეთის საკონსულომ საქართველოში 19 აგვისტოდან საქართველოს მოქალაქეებზე ტურისტული ვიზების გაცემა დროებით შეაჩერა. ერთ-ერთი ვერსიით, ეს პროცესი თბილისში, რუსეთის საელჩოსთან მიმდინარე საპროტესტო აქციას უკავშირდება.

როგორც საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩოს მეორე მდივანმა ევგენი ივანოვმა განაცხადა, საკონსულომ ვიზებისთვის შესაბამისი დოკუმენტების მიღება მხოლოდ დროებით შეზღუდა, რაც უახლოეს დღეებში აღდგება.

ივანოვის თქმით, შეზღუდვა საელჩოსთან მიმდინარე აქციას არ უკავშირდება, თუმცა საპროტესტო გამოსვლა უარყოფითად მოქმედებს საელჩოს თანამშრომლების მუშაობაზე. მისივე თქმით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან მათ მიერ გაგზავნილ ნოტაზე, მოეხდინათ რეაგირება აქციასთან დაკავშირებით, მიიღეს პასუხი, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლებას მიმდინარე აქციასთან კავშირი არა აქვს. "საქართველოს ხელისუფლებას არ უნდა, ან არ შეუძლია აღნიშნული საკითხის მოგვარება. ამით კი ირღვევა საერთაშორისო ნორმებით დაწესებული ურთიერთთანამშრომლობის მოქმედების პრინციპი დიპლომატიურ კორპუსთან," - აღნიშნა ივანოვმა.

*მედია-ნიუსი*

## "დემოკრატები" და "ნაციონალები" კვლავაც არ გაერთიანებულან

ჯერჯერობით, კვლავ უცნობია, როდის მოხდება ორი მმართველი პოლიტიკური ძალის შერწყმა. იმის მიუხედავად, რომ ცალკე - პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და ცალკე - პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ არაერთგზის განაცხადეს, რომ "ნაციონალური მოძრაობა" და "გაერთიანებული დემოკრატები" საზოგადოებამ უკვე ერთ პარტიად უნდა აღიქვას, ასეთი პოლიტიკური გაერთიანება იურიდიულად ჯერაც არ არსებობს. ასე რომ, ოფიციალურად, "გაერთიანებული დემოკრატები" და "ნაციონალები" ერთიან პოლიტიკურ გუნდს არ წარმოადგენენ.

ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, "ნაციონალებისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" პირველი დამფუძნებელი ყრილობა შემოდგომაზე უნდა გაიმართოს. თუმცა, ჯერ არარსებული პარტიის პოლიტსაბჭოს წევრების ნაწილი მაინც აცხადებს, რომ გამორიცხული არ არის, "პოლიტშეუღლების" ოფიციალურმა თარიღმა გადაიწიოს. ამის მიუხედავად, პოლიტსაბჭოს წევრებს ჯერაც არარსებული პოლიტიკური ძალის პარტიული მანდატები უკვე აქვთ.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, უკვე დასრულებულია "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების" წესდებასა და რეგლამენტზე მუშაობა და იგი "დემოკრატებისა" და "ნაციონალების" მსჯელობის საგანი სულ მალე გახდება. საგულისხმოა, რომ ჯერჯერობით, ამ დოკუმენტებს მხოლოდ მომავალი პარტიის პოლიტსაბჭოს წევრები იცნობენ.

საკმაოდ რთული სათქმელია, რატომ გაჭიანურდა ასე ამ ორი ძალის გაერთიანება. თუმცა, როგორც ამ გაერთიანებების ლიდერები აცხადებენ, შეფერხების მიზეზი ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გახდა. შესაბამისად, შიდაპარტიული ცხოვრების ასაწყობად არც სააკაშვილისა და არც ჟვანიას გუნდელებს ჯერ არ ეცალათ.

*24 საათი*

## ჰუმანიტარული აქციები გრძელდება

საქართველოს მთავრობა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ჰუმანიტარულ საქმიანობას აგრძელებს. გუშინ დილით, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლში მიხეილ ქარელმა, პრეზიდენტის სახელით, ფრონესა და დიდი ლიახვის ხეობებში პროდუქტებით დატვირთული რამდენიმე ავტომანქანა ჩაიყვანა. ავტომანქანები ხეობებში ცხინვალის გავლით ჩავიდნენ. თავდაპირველად, რუსი სამშვიდობოები ოსური მხარის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მხოლოდ ტვირთის უსაფრთხო გატარების გარანტიებს იძლეოდნენ და იხსნიდნენ პასუხისმგებლობას რწმუნებულის კორტეჟის უსაფრთხო და შეუფერხებელ გადაადგილებაზე. თუმცა, საბოლოოდ ტვირთის ჩატანაც და კორტეჟის გადაადგილებაც უსაფრთხოდ მოხერხდა.

*ინტერ-პრესი*

## ჭუბურხინჯის შეხვედრების განახლების თარიღი უცნობია

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთი მექანიზმი - ჭუბურხინჯის ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა, თითქმის ერთი თვეა, აღარ იმართება. სავარაუდოდ, მორიგი ოთხმხრივი შეხვედრა 26 აგვისტოსაც არ შედგება, რადგან აფხაზური მხარე შეხვედრაზე გამოცხადებას არ აპირებს. როგორც ცნობილია, რამდენიმე კვირის წინ სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ აფხაზური მხარე წყვეტს ყოველგვარ მოლაპარაკებათა პროცესს.

*მედია-ნიუსი*

### ოფიციოზი

**საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №714**

*2004 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი*

გ. გორგილაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ.

დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ქვეყნის ღირსეული სამსახურისათვის საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის სამსახურის უფროსი გიორგი გორგილაძე დაჯილდოვდეს ღირსების ორენით.

*მიხეილ სააკაშვილი*

**საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №750**

*2004 წლის 21 აგვისტო ქ. თბილისი*

"საქართველოს ენერგეტიკულ საწარმოთა ობიექტებზე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 25 ნოემბრის № 1467 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე.

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი, მე-4 და მე-7 ნაწილებით, 28-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 246-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან წინააღმდეგობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე ბათილად გამოცხადდეს "საქართველოს ენერგეტიკულ საწარმოთა ობიექტებზე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 25 ნოემბრის № 1467 განკარგულება.

2. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*მიხეილ სააკაშვილი*

## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განაცხადი!

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდა ჩატარდება მიმდინარე წლის 27 აგვისტოს, 11.00 სთ-ზე. მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით, დაწესდება სწავლის საფასურის შეღავათები და წამახალისებელი სტიპენდიები.**

**მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. N2.**
**ტელ: 59-50-05, 59-50-06, 59-50-07**

**შენიშვნა: უნივერსიტეტში სასწავლო ენა ინგლისურია.**

## გენშტაბში ამერიკული ორიენტაცია მკვიდრდება



*გივი იუკურიძე, ავადმყოფობის მიზეზით, კომენტარზე უარს აცხადებს.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ 16 ადამიანი დავკარგეთ. ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო. ამჟამად სამხედრო ექსპერტები ჩვენს რიგებში ასეთი დიდი დანაკარგების მიზეზებს სწავლობენ,"** - აღნიშნა ხაინდრავამ.

"24 საათი" გივი იუკურიძეს ტელეფონით დაუკავშირდა. გენშტაბის ყოფილმა ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მას თრომბოზი აწუხებს, იგი მეხუთე დღეა შეუძლოდ არის და სახლში მკურნალობს. ამდენად, "24 საათთან" გასაუბრება გივი იუკურიძემ ვერ შეძლო.

გენშტაბის მომავალი ხელმძღვანელის ვინაობა პრემიერ-მინისტრს გუშინ არ დაუსახელებია, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, გენერალური შტაბის ახალი უფროსი იუკურიძის პირველი მოადგილე ვახტანგ კაპანაძე იქნება.

კაპანაძის ადგილს კი, სავარაუდოდ, უშიშროების მინისტრის მოადგილე ლევან ნიკოლეიშვილი დაიკავებს.

**"გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა ერთიანი გუნდი იქნება, რომელიც აშშ-ში სერიოზულ სამხედრო განათლებამიღებულ ადამიანებს გააერთიანებს,"** - აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ.

რაც შეეხება გივი იუკურიძეს, იგი რუსეთში სამხედრო ატაშედ დაინიშნება.

## შეფუთული ღალატი

პირველი გვერდიდან

**"ქართველი ჯარისკაცების მიერ სამხრეთ ოსეთში გაღებული სისხლი, გარკვეულწილად, გამართლებული იყო. ამით ჩვენ მივაღწიეთ მიზანს - საქართველომ თავიდან აიცილა ფართომასშტაბიანი კონფლიქტი და ომი. შეწყდა კონტრაბანდა, ქართული სოფლები დაცულია, ადგილზე შეტანილია საკმარისი იარაღი და აღჭურვილობა, რათა ადგილობრივი ქართველები თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

თავის გამოსვლაში სააკაშვილი კიდევ ერთ საკითხს - სამხედრო სტრუქტურების რეორგანიზაციასაც შეეხო და ამასთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელის გივი იუკურიძის თანამდებობიდან გადაყენების საკითხზეც ისაუბრა.

**"იუკურიძემ გააკეთა ის, რისი გაკეთებაც შეეძლო, მაგრამ საქართველო ჯარის ნატოს სტანდარტებისთვის მორგებას ცდილობს და სამხედრო სტრუქტურებში დასავლური სამხედრო განათლების მქონე გუნდის მოსვლაა საჭირო,"** - თქვა მან.

რაც შეეხება იუკურიძის შემცვლელს, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ამიერიდან გენერალურ შტაბს ვახტანგ კაპანაძე უხელმძღვანელებს, რომლის მოადგილეებად უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე ლევან ნიკოლაიშვილი და დავით ნაირაშვილი იქნებიან. პრეზიდენტის მონაცემებით, ნიკოლაიშვილს საუკეთესო გამოცდილება აქვს ნატო-სთან ურთიერთობის სფეროში და არის კარგი ოფიცერი, დავით ნაირაშვილი კი საქართველოს წარმომადგენელი იყო ნატო-ში.

ქვეყნის უსაფრთხოების მიზნით, პრეზიდენტის ახალი ინიციატივით, რეზერვისტთა ქვედანაყოფები შეიქმნება. მისი განმარტებით, ეს სტრუქტურები, ძირითადად, რეგიონებში იმოქმედებენ და მუდმივად სრულ მზადყოფნაში იქნებიან. რეზერვისტთა იარაღი და ფორმები პოლიციის რეგიონულ სამმართველოებში შეინახება. რეზერვისტებს საჭიროებისამებრ გამოიძახებენ. ამასთან, ისინი ყოველწლიურად გაივლიან შეკრებას. აღნიშნული სამსახურების მოქმედების კოორდინაცია კი, რეგიონებთან ურთიერთობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს ზურაბ მელიქიშვილს დაევალა.

**"ყველა ადამიანი, ვისაც უნდა საქართველოს მომავალი, ვისაც აქვს ფიზიკური მონაცემები, იქნება რეზერვისტთა სამსახურში გაწევრიანებული. ჩვენ არ გვჭირდება ქვეყანაში ომი, ჩვენ არ ვემზადებით ომისთვის და ამ ეტაპზე თავიდან ავიცილეთ გარდაუვალი ომის საფრთხე, მაგრამ საქართველოს დაცვა ჩვენ დაგვჭირდება დღესაც, ხვალაც და ასი წლის შემდეგაც,"** - ხაზი გაუსვა ქვეყნის პრეზიდენტმა.

## სოხუმის ხელისუფლების ზეწოლა ქართველებზე

სოხუმის ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვს აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენილი ქართველი მოსახლეობისგან, აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამდე რუსეთის მოქალაქეობა მიიღონ.

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, უკანასკნელ პერიოდში ქართველი მოქალაქეების მიერ რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების მიღების მოთხოვნამ სისტემატური ხასიათი მიიღო. იმავე წყაროს ცნობით, სოხუმის ხელისუფლება აფხაზეთში დარჩენილი ქართველების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცესს ორი მიზეზით აჩქარებს: ერთი მხრივ, ხელისუფლება დაახლოებით 4-5 ათასი, ძირითადად, ასაკოვანი მოქალაქის ხარჯზე, 3 ოქტომბრისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობის გაზრდას ცდილობს. ხოლო მეორე მხრივ, იქ დარჩენილი ქართველების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, აფხაზეთში, ფაქტობრივად, აღარ იქნებიან მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოსთან იურიდიულად რაიმე აკავშირებთ. სოხუმიდან მიღებული ინფორმაციით, აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენილი დაუცველი ქართველები ქონების ჩამორთმევის საფრთხისა და რუსეთის პენსიის დანიშვნის პერსპექტივის გამო, იძულებულნი არიან, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ანგარიში გაუწიონ ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნას, რუსეთის მოქალაქეობის მიღების თაობაზე.

თავად აფხაზური შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები აფხაზეთში დარჩენილ, ეროვნებით ქართველ მოსახლეობაზე ზეწოლას კატეგორიულად გამორიცხავენ.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია 24 ოქტომბრის შუალედური არჩევნებისათვის მზად არის. ცესკო-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ ნონიკაშვილის თქმით, კანდიდატებმა ცესკო-ს საკუთარი განცხადებები 30 აგვისტომდე უნდა წარუდგინონ. აღნიშნული არჩევნები კრწანისის მე-4, დიდუბის მე-8, ზესტაფონის 51-ე და გორის 31-ე ოლქებში ჩატარდება. არჩევნების გამართვა მას მერე გახდა საჭირო, რაც ამ რაიონების დეპუტატები აღმასრულებელ ხელისუფლებაში სამუშაოდ გადავიდნენ. გუშინ ცესკო-მ იმსჯელა საოლქო კომისიების წევრებისთვის ხელფასების გაზრდის საკითხზეც. როგორც ნონიკაშვილი აცხადებს, ხელფასები დაახლოებით 100 პროცენტით გაიზრდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალის რეგიონში გუშინდელმა ღამემ მშვიდად ჩაიარა. თუმცა, კვლავ უცნობი რჩება რამდენიმე დღის წინათ ოსი ბოევიკების მიერ გატაცებული, ქარელში მცხოვრები გიორგი ხატოშვილის ადგილსამყოფელი. რამდენიმე დღეში კონფლიქტის ზონის დატოვება მოუწევს შერეული სამშვიდობოების სარდალს სვიატოსლავ ნაბზდოროვს, რომელსაც ჩრდილო კავკასიაში დისლოცირებული, რუსეთის 58-ე არმიის მე-19 დივიზიის მეთაური მარატ კულახმეტოვი შეცვლის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე რომან კუსიანი და კიდევ რამდენიმე დეპუტატი 26 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში ჩავლენ. ვასილ მაღლაფერიძის თქმით, დეპუტატები ერედვსა და ვანათში პირველ ჰუმანიტარულ ტვირთს, მათ შორის, სამშენებლო მასალებსა და კომპიუტერებს ჩაიტანენ. ტვირთი მთლიანად პარლამენტარების დახმარებას წარმოადგენს და იგი სოფლებში შექმნილ ნდობის ჯგუფებს გადაეცემათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალი სვიატოსლავ ნაბზდოროვი ქართველი პოლიციელების მიერ გუშინ, სოფელ კეხვში რუსეთის 3 მოქალაქის დაკავებას აპროტესტებს. დაკავებულებს გორიდან ცხინვალში სატვირთო მანქანით საზამთრო გადაჰქონდათ. ნაბზდოროვის მტკიცებით, ქართველმა პოლიციელებმა რუსეთის სამი მოქალაქე მხოლოდ იმის გამო დააკავეს, რომ მათ რუსეთის მოქალაქის დამადასტურებელი პასპორტები ჰქონდათ.

"სოფელ ქურთის საგუშაგოზე მყოფი ქართველი პოლიციელები ჩვეულებრივი ყაჩაღები არიან და მე, როგორც სამშვიდობოების სარდალმა, მათი ყაჩაღური საქმიანობის შესახებ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას პირადად ვაცნობე," - განაცხადა ნაბზდოროვმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი**. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სერგეი სმირი მიიჩნევს, რომ პრაქტიკულად ყველა საინიციატივო ჯგუფი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა არღვევს წინასაარჩევნო აგიტაციის მოთხოვნებს. სმირი სინანულს გამოთქვამს იმის გამოც, რომ არსებული კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, რა პასუხისმგებლობა ეკისრება აგიტაციის წესის დამრღვევს. სერგეი სმირი უარყოფითად აფასებს გაზეთ "რესპუბლიკა აბხაზიაში" გამოქვეყნებულ არძინბას ინტერვიუს, სადაც იგი მოუწოდებს მოსახლეობას, რაულ ხაჯიმბას კანდიდატურას მხარი დაუჭიროს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გორი.** სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში გაერო-ს ჰუმანიტარულ საქმეთა მუდმივი კოორდინატორი ლანს კლარკი ჩავიდა. მისი ვიზიტი ჰუმანიტარული დახმარების იმ პროგრამას უკავშირდება, რომლის განხორციელებას გაერო-ს მისია ცოტა ხანში კონფლიქტის ზონაში გეგმავს. დიპლომატის თქმით, გაერო-ს დევნილთა უმაღლესი კომისრის გადაწყვეტილებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდება. "ჩემი მიზანია, გაერო-ს განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის, კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარება კარგად შევისწავლო," - დასძინა მან. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პატრული - პოლიციის ავანგარდი

პირველი გვერდიდან

მანქანები კი საქართველოს ავტომაგისტრალებზე მოძრაობენ.

თითოეულ საგზაო პოლიციელს, წესით, სამ დღეში ერთხელ მოუწევს ოცდაოთხსაათიანი მორიგეობა, თუმცა, ეს დღე-ღამის მანძილზე გაუჩერებლად მოძრაობას არ ნიშნავს. მათ მოძრაობის მცოცავი გრაფიკი აქვთ - ჯერ ერთი, მანქანით გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ, მათ უფლება აქვთ, გაჩერდნენ და ისე ადევნონ თვალი სიტუაციას. მეორეც - მათი განაწესი მცირეხნიანი დასვენებისა და კვებისთვისაც ითვალისწინებს დროს. თუმცა, ამ დროს კონკრეტული მანქანის სამოქმედო არეალს ორი, მეზობელი ტერიტორიის მანქანა ფარავს.

მიუხედავად იმისა, რომ 700-მდე სწავლებაგავლილი პირი თანამდებობაზე დანიშვნას ჯერ კიდევ ელის, ეს არ ნიშნავს, რომ ვაკანტურ ადგილებს მაინცდამაინც ისინი დაიკავებენ. თითოეულ მათგანს წინ აქვს გასაუბრების გავლა, რომლის ვერდაძლევის შემთხვევაში, საპატრულო პოლიციაში ვერ მოხვდებიან. მათ ადგილს კი სხვები დაიკავებენ. ჩვენი ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, კიდევ რამდენიმე ნაკადის მიღება გამოცხადდეს, რომ სწავლებაგავლილთა შორის საუკეთესოების შერჩევის საშუალება არსებობდეს.

თბილისის საპატრულო პოლიციის პრეზენტაციისას საქართველოს პრეზიდენტის მიერ პატიოსანი ადამიანების გასაგონად გაკეთებული შეთავაზება, საპატრულო პოლიციაში ჯერ კიდევ არსებული ვაკანტური ადგილების დაკავების შესახებ, მსურველებმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიიღონ, თუ ახალი ნაკადის მიღება გამოცხადდა. ამ შემთხვევაში მათ თავიანთი საბუთები უნდა წარადგინონ პოლიციის აკადემიაში, რეგიონულ სამმართველოებსა ან შინაგან საქ-

# საპატრულო პოლიცია ჯერ მხოლოდ სიმპათიას იმსახურებს

*"თქვენს გამოჩენაზე ბავშვებს უნდა ელიმებოდეთ და ყველა უნდა ამაყობდეს თქვენით", - საქართველოს პრეზიდენტმა ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პოლიციის ახალ დანაყოფს - საპატრულო პოლიციას და მათ მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია დააკისრა: "თუ გვინდა, რომ საქართველო იყოს სახელმწიფო და არა ტერიტორია, როგორადაც მას ჯერ კიდევ მოიხსენიებენ ხოლმე, თავგანწირვა იქნება საჭირო".*



800 საპატრულო პოლიციელს შორის 40 ქალია.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

შეძლებს თუ არა საპატრულო პოლიცია ამ მნიშვნელოვანი მისიის შესრულებას, ცხადია, ამაზე საუბარი ნაადრევია - პოლიციის ეს დანაყოფი არსებობის სულ 10 დღეს ითვლის და, ჯერჯერობით, ყველაზე ცუდი, რაც მათი მუშაობის შესახებ გაგვიგია, ის გახლავთ, რომ ზოგჯერ დამრღვევ მძღოლებს არ აჯარიმებენ.

წესრიგის დაცვის ეგიდით თბილისში საპატრულო პოლიციის შექმნის იდეა ჯერ კიდევ შევარდნაძის დროინდელ უკანასკნელ შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს გაუჩნდა. ეს წამოწყება "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სათავეში მოქცეულმა გია ბარამიძემ აიტაცა, თუმცა, საპატრულო პოლიციის შექმნა და მისი ამოქმედება მნიშვნელოვნად დააჩქარა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ირაკლი ოქრუაშვილის გადანაცვლებამ.

საპატრულო პოლიცის საგზაო, ადმინისტრაციული და ეკოლოგიური პოლიციის ბაზაზე შეიქმნა და, შესაბამისად, მისი ფუნქციები გაცილებით ფართოა, ვიდრე საგზაო მოძრაობის წესების დაცვაზე მეთვალყურეობის გაწევა. მათ, მთლიანობაში, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ევალებათ.

ახალგაზრდები, კარგი აღნაგობით, განათლებულები, ზრდილნი და, რაც მთავარია, პატიოსნები - ჩანაფიქრში სწორედ ასეთი კადრებით დაკომპლექტებულმა საპატრულო პოლიციამ საზოგადოებაში, ტრადიციულად, მონსტრად აღქმული პოლიციის სრულიად ახალი სახე უნდა შექმნას და წინამორბედთა შელახული რეპუტაცია გააუმჯობესოს. ჯერჯერობით, ისინი ამას ახერხებენ და ის, რომ გამოუცდელობის გამო, ზოგჯერ გულუბრყვილოდ გამოიყურებიან, ეს ხალხში სიმპათიას უფრო იწვევს, ვიდრე გაღიზიანებას. თუმცა, ისიცაა, არაერთი მაგალითი არსებობს კარგად დაწყებული საქმის გაფუჭებისა. ამიტომ, არ არის გასაკვირი, თუ საპატრულო პოლიციის მიმართაც გამოითქმის პესიმისტური ეჭვი იმის თაობაზე, რომ "ახალი ცოცხი კარგად გვის", ცოტა ხანში კი ისინიც ისეთივე გზის რეკეტად გადაიქცევიან, როგორიც მათი წინამორბედი საგზაო პოლიციელები იყვნენ. ამის თავიდან ასაცილებლად კი, საკანონმდებლო უზრუნველყოფისა და მათივე ხელმძღვანელობის ურყევი ნების გარდა, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვეულებრივი მოქალაქეების სამოქალაქო თვითშეგნებას აქვს. საპატრულო პოლიციას, იმისათვის, რომ საკუთარი ფუნქციების შესრულება შეძლოს, გაგებით მოკიდებაც სჭირდება და, კანონმდებლობის ფარგლებში, კრიტიკული დამოკიდებულებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მონდომება და თანხები, რომელიც ამ დანაყოფის ჩამოყალიბებასა და აღჭურვას საქართველოს ხელისუფლებამ მოანდომა და გერმანელმა მუშებმაც, რომლებმაც შვებულების დრო გადაწიეს მათთვის არასერიული, პოლიციურად აღჭურვილი "ფოლკსვაგენ პასატები" რომ დაემზადებინათ, წყალში გადაყრილად შეიძლება ჩაითვალოს.

საპატრულო პოლიცია კი ამ ეტაპზე საკუთარ უფლება-მოვალეობას ასრულებს და არცთუ ცუდად. მაგალითად, მათი მუშაობის დაწყებიდან სულ რაღაც ექვსი დღის მანძილზე, დანაშაულის გამოვლენამ 40 პროცენტით იმატა. მათ კი 600-ზე მეტი დარღვევა, მათ შორის, მთვრალი მძღოლების ჯერ არნახული რაოდენობა - 93 კაცი გამოავლინეს. რამდენიმე ქურდის დაკავებაც კი შეძლეს, ერთ შემთხვევაში კი, საცხოვრებელ სახლზე საეჭვოდ მძრომი პირები შენიშნეს, გაყვნენ და ბინის გასაქურდად მისული ქურდები შემთხვევის ადგილზევე დააკავეს. რით არ არის კარგი შედეგები დამწყები საპატრულო პოლიციელებისთვის? მით უმეტეს, გვპირდე-

# განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ

*ფაქტია, საპატრულო პოლიციის დახმარებით დღეს საქართველოში პოლიციის რეპუტაციის ამაღლების, მათდამი მოსახლეობის ნდობის მოპოვების მცდელობას აქვს ადგილი და, შესაბამისად, საპატრულო პოლიციელისგან ბევრად უფრო მეტსა და მკაცრად ითხოვენ, ვიდრე სხვა დანაყოფების სამართალდამცველთაგან. ამ სიმკაცრეს სხვა დატვირთვაც აქვს - რომ დროთა განმავლობაში საპატრულო პოლიცია არ დაუბრუნდეს არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელ წარსულს და არ დაიბრუნოს საგზაო პოლიციელისთვის დამახასიათებელი სახე, რომელზეც საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ კატეგორიულად თქვა უარი.*

საპატრულო პოლიციის მუშაობაზე გაძლიერებული კონტროლია დაწესებული, როგორც უშუალო ხელმძღვანელობის, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მხრიდან.

**"ჯერჯერობით, მოქალაქეთა მხრიდან საპატრულო პოლიციის მისამართით რაიმე პრეტენზიას ჩვენამდე არ მოუღწევია,** - ამბობს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელი ზაზა ქაჩიბაია, - **ჩვენ კი თავად ვატარებთ ერთი საპატრულო პოლიციელის მიმართ მოკვლევას და თუ მისი მხრიდან დანაშაული გამოიკვეთა, მთელი სიმკაცრით დაისჯება. საერთოდ, საპატრულო პოლიციელთა მიმართ ნამდვილად გვაქვს შემუშავებული კონტროლის განსაკუთრებული მექანიზმები, თუმცა, მათი დაკონკრეტებისგან, ცხადია, თავს შევიკავებ - ეს სპეციფიკა თუ გავთქვი, მისი შეცვლა მოგვიწევს".**

კონტროლის მექანიზმებზე საუბრის თვალსაზრისით, გაცილებით გახსნილია თავად საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელობა. მათგან იმ ერთი საპატრულო პოლიციელის შესახებაც შევიტყვეთ, რომელმაც ერთი კვირის მუშაობის მანძილზე საკუთარი უფლებამოსილების გადამეტებაც მოახერხა და ამის გამო, პატრულთა რიგებიდან უმალ გაათავისუფლეს. როგორც ირკვევა, იგი, ყოფილი საგზაო პოლიციელი, მეწყვილის გარეშე დაედევნა სატვირთო მანქანას და ტექდათვალიერების ფირნიშის არქონის გამო 10 ლარი გამოსძალა. ამ შემთხვევის შესახებ თავად მძღოლმა აცნობა საპატრულო პოლიციელის ხელმძღვანელობას, რისთვისაც, აშკარა დარღვევის - ფირნიშების არქონის გამო საყვედური კი არა, უღირსი თანამშრომლის მხილების გამო მადლობა დაიმსახურა. საერთოდ, უშუალოდ მძღოლებთან მუშაობა საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელთა უკვე აპრობირებული ხერხია. მაგალითად, საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის თქმით, იგი ტვირთმზიდების მძღოლებს აჩერებს, საკუთარი ტელეფონის ნომერს აძლევს, ამ ნომრის სხვა მძღოლებში გავრცელებას და საპატრულო პოლიციელთა მხრიდან ნებისმიერი გადაცდომის შემთხვევაში პირადად მასთან დაკავშირებას სთხოვს. ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებსაც ბევრი მოქალაქე სამართალდამცველთა მხრიდან გამოვლენილი უკანონობის შესახებ ინფორმაციით მიმართავს.

გარდა ამისა, საპატრულო პოლიციას აქვს ცხელი ხაზი, ანუ სამორიგეო ნაწილის ნომერი, რომელზეც მოქალაქეებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ საპატრულო პოლიციას და როგორც რაიმე კანონდარღვევისა და ექსცესის შესახებ მიაწოდონ ინფორმაცია, ასევე საპატრულო პოლიციელთა მიმართ არსებული პრეტენზიების შესახებ აცნობონ.

საპატრულო პოლიციელთა კორუფციული გარიგებებისგან დასაცავად და მათ უკეთ გასაკონტროლებლად ამ ეტაპზე კიდევ ერთი წესი მოქმედებს. კერძოდ, თუ მომავალში გათვალისწინებულია ორი მუდმივი მეწყვილისგან შემდგარი ეკიპაჟების ჩამოყალიბება, ამ ეტაპზე ეკიპაჟების მუდმივი როტაცია მიმდინარეობს, რომ, მუშაობის საწყის ეტაპზე, სანამ საბოლოოდ გაირკვევა - ვინ ვინ არის, მეწყვილეებს შორის ანგარებითი შეთანხმება თავიდან იქნეს აცილებული.

**საპატრულო პოლიციის სტრუქტურა**




## რა მოეთხოვება საპატრულო პოლიციელს, გარდა ზრდილობისა

*საპატრულო პოლიციის ფუნქციები განსაზღვრულია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს დებულების მე-4 თავში დეტალურად არის ჩამოთვლილი, რა უფლებებით სარგებლობს თბილისის, აგრეთვე, რაიონული, საქალაქო და ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის დანაყოფები. გთავაზობთ უცვლელად ამ დოკუმენტს, რომლის ამონაჭერიც გაზეთიდან შეგიძლიათ წარუდგინოთ საპატრულო პოლიციელს, იმ შემთხვევაში, თუ შენიშნეთ, რომ მისი კონკრეტული ქმედება საპატრულო პოლიციელის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.*

**მე-4 თავი**

ქ. თბილისის, რაიონული, საქალაქო და ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის ფუნქციები

**მუხლი 12**

1. ქ. თბილისის, რაიონული და საქალაქო საპატრულო პოლიციის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება:

ა) საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში:

ა.ა) ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო საქმიანობა და მართვის უფლების მინიჭება;

ა.ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების უზრუნველყოფა;

ა.გ) სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილება, ცხელ კვალზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ადგილიდან მიმალული მძღოლების, გატაცებული ან მოპარული ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ძებნისა და დადგენის მიზნით განსახორციელებელ, მათ შორის, ავტოტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალებების გამოყენების ღონისძიებებში მონაწილეობა;

ა.დ) საგზაო მოძრაობის მოწესრიგების მიზნით სამართლებრივ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელება;

ა.ე) გზებზე სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის შეზღუდვა ან შეწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

ა.ვ) სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების შეჩერება და შეწყვეტა (გაუქმება) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

ბ) გარემოს დაცვის სფეროში სამართალდარღვევათა და დანაშაულის აღკვეთა-აცილება;

გ) არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა და დანაშაულის აღკვეთა-აცილება;

დ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში - სანებართვო საქმიანობა, სამართალდარღვევათა და დანაშაულის აღკვეთა-აცილება;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა;

ვ) საქართველოში ვიზიტით მყოფი, საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სხვა მნიშვნელოვანი პირების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის განხორციელება;

2. ქ. თბილისის, რაიონული და საქალაქო საპატრულო პოლიციას უფლება აქვს:

ა) ზედამხედველობა გაუწიოს საგზაო მოძრაობის წესების, ნორმატივების და სტანდარტების დაცვას;

ბ) აღკვეთოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღსაკვეთად, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, განახორციელოს ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა;

გ) სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი იმის მისაჩნევად, რომ იგი იმყოფება ნასვამ მდგომარეობაში, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალების ზემოქმედების ქვეშ და შეამოწმოს სიმთვრალის დასადგენად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

დ) აკრძალოს სატრანსპორტო საშუალების გამოყენება, თუ მათი კონსტრუქცია და ტექნიკური მდგომარეობა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

ე) სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში გააჩეროს, დაათვალიეროს სატრანსპორტო საშუალებები, შეამოწმოს მძღოლის მართვის მოწმობა და სხვა საჭირო დოკუმენტები;

ვ) დანაშაულის ფაქტზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებით და წესით ჩაატაროს ჩხრეკა, ამოღება და შემთხვევის ადგილის დათვალიერება;

ზ) ხე-ტყის პირველადი გადამუშავების, ხე-ტყისა და პირველადი გადამუშავების პროდუქტების ტრანსპორტირების წესის დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის სამსახურებს, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი;

თ) სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომელსაც არ აქვს მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

3. ქ. თბილისის, რაიონული და საქალაქო საპატრულო პოლიცია ვალდებულია:

ა) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე მძღოლებს და მგზავრებს აღმოუჩინოს სათანადო დახმარება, უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის დაცვა;

ბ) ავტომაგისტრალებზე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნისას, ავარიის, კატასტროფის, ხანძრის, სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო შემთხვევის დროს შეატყობინოს შესაბამის სამსახურებს მომხდარის შესახებ და კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს გადაუდებელი ზომები ადამიანთა დასახმარებლად და უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქონების დასაცავად.

**მუხლი 13**

1. ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიცია თავის საქმიანობას ახორციელებს მე-12 მუხლით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად.

2. ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის კომპეტენციაში არ შედის ავტოტრანსპორტის ტექნიკური ზედამხედველობის, სარეგისტრაციო-საგამოცდო და სანებართვო საქმიანობა.

## იცოდეთ თქვენი უფლებები!

*საპატრულო პოლიციის საქმიანობა, "საპატრულო პოლიციის შესახებ დებულებასთან" ერთად, "სისხლის სამართლის საპროცესო" და "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების" კანონმდებლობით, აგრეთვე, პოლიციის შესახებ კანონებით რეგულირდება. პარალელურად, საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობით და საერთაშორისო ნორმატიული აქტებით დაცულია იმ ჩვეულებრივ მოქალაქეთა უფლებებიც, რომელთა დაცვაც საპატრულო პოლიციას ევალება.*

საპატრულო პოლიციის უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე, მოქალაქეს მათ მიმართ, ძირითადად, სამ შემთხვევაში შეიძლება გაუჩნდეს პრეტენზია: როდესაც ეჭვი შეაქვს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო დაჯარიმების, აგრეთვე, დაკავებისა და ჩხრეკის კანონიერებაში.

რა უფლებები აქვთ მოქალაქეებს და როგორ უნდა დაიცვან თავი, რომ საპატრულო პოლიციამ მათი უფლებების შელახვა ვერ შეძლოს.

1. იმ შემთხვევაში, თუ მძღოლი თვლის, რომ საპატრულო პოლიციამ უკანონოდ გააჩერა და, მით უმეტეს, დააჯარიმა, მას შეუძლია საჩივრის განცხადება და დაჯარიმების ოქმი, რომლის ერთი პირი მას რჩება, წარადგინოს საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში, რომელიც ვალდებულია, საჩივარზე რეაგირება მოახდინოს. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება დაზარალებულად მიიჩნევს თავს, შეუძლია მიმართოს სასამართლოს და ზარალის ანაზღაურება მოითხოვოს.

2. თუ საპატრულო პოლიციამ დაგაკავათ - პატრული ვალდებულია, გითხრათ ვინაობა, თანამდებობა და სამუშაო ადგილი. ამასთან, უფლება გაქვთ, იცოდეთ, რისთვის დაგაკავეს, რა უფლებითა და მოტივით. რა დანაშაულში ხართ ეჭვმიტანილი და რა ადასტურებს ამ ეჭვს. დამკავებელი ვალდებულია, ამომწურავი განმარტება მოგცეთ თქვენთვის საინტერესო ყველა საკითხზე, რაც საქმის ირგვლივ არსებობს.

დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ შეგიძლიათ შეატყობინოთ ოჯახის წევრებს ან ახლობლებს და თქვენი ადგილმდებარეობა გააგებინოთ.

დაკავების მომენტში თუ ზედამხედველობის გარეშე გრჩებათ რაიმე ქონება, დამკავებელი, ამ შემთხვევაში - პატრული, ვალდებულია, მიიღოს ამ ქონების დაცვისთვის საჭირო ზომები და დაუყოვნებლივ გაცნობოთ.

3. პატრული ვალდებულია, ჩხრეკის პროცესს დაასწროს არანაკლებ ორი მოწმისა, ადგილზევე შეადგინოს ჩხრეკის ოქმი, რომელსაც ხელს ყველა მხარე აწერს და ასლი დაკავებულს ჩააბაროს. ამ ოქმის საშუალებით თქვენ შეგიძლიათ, ჩხრეკის ფაქტი გაასაჩივროთ.

თემის გაგრძელება A8 გვერდზე

# რუსთავის მერიას "რელასის" ქვითრებისა არ სჯერა

რუსთავის მერიამ "რელასს" ისევ შეუტია. ვიცე-მერის ზაზა იმედაშვილის განცხადებით, აბონენტები "რელასს" მერიაში უჩივიან, რადგან კომპანიისგან 500-1000 და 2000 ლარზე გამოწერილი ქვითრები მოსდით. ვითარებაში გარკვევისა და "რელასში" არსებული ქაოსის გამოკვლევის მიზნით, იმედაშვილმა "რელასის" კომპლექსური შემოწმება მოითხოვა.

"საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" აღიარებენ, რომ ქვითრებში მართლაც შეინიშნება ხარვეზები. **"ეს ჩვენი ბილინგ-სისტემის გაუმართაობის გამო ხდება. საქმე ისაა, რომ სანამ ყველა ფილიალისთვის ერთიანი, კომპლექსური პროგრამა გამზადდება, დროებითი ბილინგ-სისტემით ვსარგებლობთ. არსებული სისტემა ნაჩქარევად დამონტაჟდა, ბაზაში მონაცემები სრულყოფილად არ არის შეყვანილი და მის დასახვეწად დროა საჭირო. ახალი პროგრამის დანერგვის შემდეგ მსგავსი შემთხვევები გამოირიცხება და ბილინგ-ოპერატორის შეცდომის გამოვლენაც კი უმარტივესად მოხდება, მანამდე კი კომპანია ყველა მსგავს შემთხვევას ინდივიდუალურად შეისწავლის და შეეცდება, ყველა შეცდომა გამოავლინოს,"** - აცხადებენ კომპანიაში და სთხოვენ მოსახლეობას, ახალი პროგრამის გამზადებამდე ამ პრობლემას "გაგებით მოეკიდონ".

როგორც "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" ირწმუნებიან, ხშირ შემთხვევაში ქვითრებში ნაჩვენები თანხა სინამდვილეს შეესაბამება და აბონენტებს მართლაც დიდი დავალიანებები აქვთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კომპიუტერული პროგრამის შეცდომის გამო მთელი კომპანიის კომპლექსური შემოწმების მოთხოვნას კომპანიაში ცოტა გადაჭარბებულად მიიჩნევენ და ეჭვობენ, რომ რუსთავის მერიის გააქტიურება რუსთავის ფილიალში ახალი დირექტორის ლაშა ჭილლაძის დანიშვნას დაემთხვა. **"ჩვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, როგორც კი ენერგოკომპანიის რომელიმე ფილიალში ახალი სახე ინიშნება, ადგილობრივი ხელსუფლება მაშინვე ძალის დემონსტრირებას იწყებს ხოლმე. შესაძლოა, საქმე ახლაც ანალოგიურ მოვლენასთან გვქონდეს,"** - აცხადებენ აქ.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ბოლნისის რაიონის აზერბაიჯანული მოსახლეობით დასახლებულ სოფელ ყარაბულახსა და მის მიმდებარე ათ სოფელს ბოლო ორი თვის განმავლობაში დენი არ მიეწოდებოდა, რისი მიზეზიც "სახელმწიფო ელექტროსისტემის" 110/10 კილოვოლტიანი ტრანსფორმატორის ავარია იყო. "ელექტროსისტემამ" ტრანსფორმატორის შეკეთება უსახსრობის გამო ვერ მოახერხა. დენის გარეშე დარჩენილი სოფლების მოსამარაგებლად "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" მიმდებარე სოფლებიდან 4-კილომეტრიანი დაბალი ძაბვის ხაზის გადაჭიმვა გადაწყვიტა. ახალი ხაზის მშენებლობა კომპანიას დაახლოებით 40 ათასი ლარი დაუჯდება. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თელასი" კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართველი და ოსი ეროვნების ბავშვებისათვის საქველმოქმედო აქციას მართავს. ოთხშაბათიდან ცხინვალის რეგიონში მცხოვრები 30 ბავშვი, კომპანიის ხარჯებით, ქობულეთის პანსიონატ "ოქროს ნაპირში" 10 დღის განმავლობაში დაისვენებს. აქცია კომპანიის ადმინისტრაციის და პროფკავშირების ინიციატივით ტარდება. "თელასის" პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი ბავშვებს კომპანიის თანამშრომლების მიერ შეგროვილ საჩუქრებს და ტკბილეულს ჩაუტანს. **პრაიმ-ნიუსი**

## "ეი-ი-ეს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**26 აგვისტოს, 12.00 სთ-დან 14.00 სთ-მდე:**
ნავთლუღის დასახლების (ნაწილობრივ), მეტრომშენის დასახლების, მესხეთის, ყარყარაშვილის, ყვარლის, მთისძირის, ტვიშის, უშაკოვის, ამირეჯიბის, გეზათის, რატილის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# "ბრითიშ ეარვეისი" საქართველოში 1 ნოემბრიდან ბრუნდება

*ხანგრძლივი - 18-თვიანი შესვენების შემდეგ "ბრითიშ ეარვეისი" საქართველოს ავიასივრცეს უბრუნდება. ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ კომპანია საქართველოში რეისებს განაახლებს, "ბრითიშ ეარვეისმა" გუშინ გააკეთა.*

ნიკა მარიამიძე

**"ბრითიშ მედითერანეან ეარვეისი" და "ბრითიშ ეარვეისი" მოხარულნი არიან გაცნობონ, რომ 2004 წლის 1 ნოემბრიდან თბილისსა და ლონდონს შორის აღდგება საჰაერო მიმოსვლა. თბილისიდან რეისები განხორციელდება ყოველ ორშაბათს და შაბათს დილით, 10:30-ზე, ლონდონიდან კი პარასკევს და კვირას 13:20-ზე,"** - ნათქვამია კომპანიის განცხადებაში, რომელიც "ბრითიშ ეარვეისის" პრესსამსახურმა გუშინ გაავრცელა. კომპანია მგზავრებს ლონდონის ჰითროუს აეროპორტის მე-4 ტერმინალიდან ჩრდილო ამერიკის მიმართულებით "ბრითიშ ეარვეისის" შორეული რეისებით სარგებლობასაც სთავაზობს.

თბილისსა და ლონდონს შორის საჰაერო მიმოსვლას კვლავ "ბრითიშ მედითერანეან ეარვეისი" განახორციელებს. ეს პატარა კომპანია "ბრითიშ ეარვეისის" შორეული ფრენების ერთადერთი ფრანჩიზული პარტნიორია, რომელიც ახლო აღმოსავლეთში, აფრიკასა და შუა აზიაში დაფრინავს. კომპანია რეისებს "კლაბ უორლდისა" (ბიზნეს-კლასი) და "უორლდ თრეველერის" (ეკონომ-კლასი) კლასის სალონებით აღჭურვილი "ეარბას" A320 და A321 თვითმფრინავებით ახორციელებს.

რაც შეეხება 18-თვიან შესვენებას, ამ ერთი წლის წინ "ბრითიშ ეარვეისმა" საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არასასურველი კომერციული კლიმატით ახსნა. შეგახსენებთ, რომ მაშინ თურქული "თურქიშ ეარლაინზისა" და ბრიტანული "ბრითიშ ეარვეიზის" მხრიდან ქართული რეისების შეწყვეტა საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მხრიდან ზეწოლას - ავიაკომპანიებისათვის აღმოჩენილ დარღვევებს და დარიცხულ მილიონებს უკავშირდებოდა.

წინა ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ British Airways-მა საქართველოს 13 მილიონი ლარის ოდენობის გადასახადები დაუმალა, ხოლო Turkish Airlines-მა - 18 მილიონის. გარდა ამისა, უცხოური ავიაკომპანიები ვერ თანხმდებოდნენ "აირზენასთან", რომელიც მათთან პარიტეტულ ფრენას ითხოვდა. პრობლემის გამწვავების შემდეგ, რასაც მაშინ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მაშინდელი ადმინისტრაციის პოზიციამაც შეუწყო ხელი, "თურქიშ ეარლაინსმა" "აირზენასთან" პარიტეტული ავიარეისები დაუყოვნებლივ შეათანხმა და შეწყვეტილი ფრენა ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე განაახლა. "ბრითიშ ეარვეისთან" კი საქმე გართულდა და კომპანიამ თბილისში საკუთარი ოფისიც დახურა.

საქართველოში დაბრუნებაზე რეალური ფიქრი "ბრითიშ ეარვეისმა" მხოლოდ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ დაიწყო, როცა, ახალი ხელისუფლების პირობებში, პოლიტელიტა "გაბუტული" კომპანიების საქართველოს ავიაბაზარზე დაბრუნებაზე ალაპარაკდა. მოგვიანებით, საგადასახადო დეპარტამენტმა კომპანიასთან სადავო გადასახადების წარმოშობა გადაამოწმა და განაცხადა, რომ მათი დარიცხვა არასწორი მეთოდით მოხდა. მიუხედავად ამისა, "ბრითიშ ეარვეისის" საქართველოში დაბრუნების საკითხი კიდევ დიდხანს რჩებოდა გაურკვეველი. ავიარეისების აღდგენის თაობაზე გადაწყვეტილება კომპანიამ მხოლოდ მიმდინარე წლის ზაფხულში მიიღო.

# "თბილგაზის" ხელმძღვანელობას "გაზექსპორტთან" საუბარი სურს

დიანა ჩაჩუა

*მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთავრობა ამ კომპანიის მიმართ თავის სტრატეგიას და პოლიტიკას ჩამოაყალიბებს, - აცხადებს კომპანიის ახალი დირექტორი.*

რამდენიმე თვეა, თბილისს ბუნებრივი აირი შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება. გაზის მიწოდება შეწყვეტილი აქვთ თბილისის რაიონების ცალკეულ უბნებს. გაზის უბნებში გათიშვის მიზეზად ადრე "თბილგაზი" დაუფარავ გადასახადებს ასახელებდა, დღეს კი კომპანიაში აცხადებენ, რომ გადასახადების ამოუღებლობის გამო მთელი უბნები აღარ გამოირთვება და ურჩ გადამხდელებს ინდივიდუალურად დასჯიან. მაგრამ, ეს მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც თბილისის გაზის მომმარაგებელი რუსული კომპანია "გაზექსპორტი" ჩვეულ მიწოდებას აღადგენს.

"თბილგაზის" ახალი აღმასრულებელი დირექტორის დავით მორჩილაძის განცხადებით, კომპანია ბუნებრივ აირს თბილისის ყველა უბანს მისცემს, ურჩი გადამხდელების არსებობის შემთხვევაში კი აირის მიწოდება, მაქსიმუმ, სადარბაზოს შეუწყდება. **"გადასახადების ამოღება ჩემი პროლემაა. ამის გამო მოსახლეობა არ უნდა დაზარალდეს. თუმცა, ყოველივე ამისთვის გაზის საკმარისი რაოდენობის იმპორტის აღდგენაა საჭირო,"** - განაცხადა მორჩილაძემ.



ბესო გულაშვილის ფოტო

*დავით მორჩილაძე მზადაა, მოლაპარაკებებში ჩაერთოს.*

როგორც "თბილგაზში" აცხადებენ, კომპანიაში მთავარ პრობლემად "გაზექსპორტთან" დაძაბული ურთიერთობა რჩება. ბუნებრივი აირის იმპორტის გაზრდა ხომ "თბილგაზის" "გაზექსპორტის" მიმართ არსებული 12-მილიონიანი ვალის დაფარვასთან არის დაკავშირებული. **"გაზის იმპორტი სამთავრობოთაშორისო, რუსეთ-საქართველოს შორის არსებული პროლემაა. "თბილგაზის" პრეროგატივა გაზის შემოტანა კი არა, მისი განაწილება, გადასახადების ამოღება და კომპანიის მართვაა. მიუხედავად ამისა, მე მზად ვარ, "გაზექსპორტთან" მოლაპარაკებებზე წავიდე. მაგრამ ეს მას შემდეგ მოხდება, რაც მთავრობა ამ კომპანიის მიმართ თავის სტრატეგიას და პოლიტიკას ჩამოაყალიბებს. როგორც კი გაზის იმპორტთან დაკავშირებული ყველა პრობლემა გადაწყდება, თბილისს გაზის მიწოდება მთლიანად აღუდგება,"** - განაცხადა "თბილგაზის" ახალმა აღმასრულებელმა დირქტორმა.

მორჩილაძე არ აკონკრეტებს, რატომ იწელება მოლაპარაკებები "გაზექსპორტთან". ძველი ვალების რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაზეც ჯერ კიდევ კომპანიის ძველი ხელმძღვანელობა სვამდა აქცენტებს, დღეს აღარ საუბრობენ.

თუ პრობლემა მანამდე არ მოგვარდა, წინასწარი ინფორმაციით, დღეს არსებული მომარაგების პირობებში, სექტემბერში თბილისის მხოლოდ ორი უბნის მომარაგება იქნება შეაძლებელი. გაზის მიწოდების აღდგენის ვადებს კი "თბილგაზში" დღეისათვის ვერ აკონკრეტებენ.

## ახალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

### ბიზნეს სესხი დოლარში

მოკლევადიანი უკვე წლიური 13%-დან
გრძელვადიანი უკვე წლიური 14%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 60 თვე

### ბიზნეს სესხი ლარში

უკვე წლიური 17%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 18 თვე



*პროკრედიტ ბანკი - ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში*

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: | 20 16 16 თამარ მეფის გამზ. 18 | 20 17 17 ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 | 25 28 06 ქავთარაძის გამზ. 58

# ტექნიკური გაუმართაობა თუ ტერაქტი?

*რუსეთში ორი თვითმფრინავი თითქმის ერთდროულად აფრინდა მოსკოვის დომოდედოვოს აეროპორტიდან და აფრენიდან ცოტა ხანში, 3 წუთის შუალედით ორივე მათგანმა კატასტროფა განიცადა. რუსეთის ხელისუფლება ერიდება მომხდარისათვის შეფასების მიცემას, თუმცა კატასტროფის ყველაზე სარწმუნო მიზეზი ტერაქტია. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ პრეზიდენტმა პუტინმა განკარგულება გასცა გამოძიებაში "ფეესბე"-ს ჩართვის შესახებ და მთელი ქვეყნის მასშტაბით დაუყოვნებლივ იქნა გამკაცრებული კონტროლი აეროპორტებში. ჯერ-ჯერობით დაუდგენელია, რამ გამოიწვია თვითმფრინავების დაღუპვა - ტექნიკურმა გაუმართაობამ თუ ტერაქტმა.*



*რუსეთის ხელისუფლება ჭერჭერობით ერიდება მომხდარისათვის ტერაქტის კვალიფიკაციის მიცემას.*

ავიაკომპანია "ვოლგა-ავიაექსპრესის" თვითმფრინავი "ტუ-134", რომელიც მოსკოვიდან ვოლგოგრადში მიფრინავდა, მოსკოვის დროით 22.56 საათზე ტულის მახლობლად ჩამოვარდა. მის ბორტზე 35 მგზავრი და ეკიპაჟის 8 წევრი იმყოფებოდა. მომხდარიდან 3 წუთში, 22.59 საათზე დონის როსტოვიდან 139 კმ-ის დაშორებით რადარების ეკრანებიდან გაქრა ავიაკომპანია "სიბირის" თვითმფრინავი "ტუ-154", რომელიც მოსკოვი-სოჭის რეისს ასრულებდა. როგორც "ინტერფაქსი" იუწყება, ჩამოვარდნის წინ თვითმფრინავში ხომალდის გატაცების სიგნალიზაცია ამოქმედდა. წინასწარი მონაცემებით, ბორტზე ეკიპაჟის 8 წევრი და 38 მგზავრი იმყოფებოდა. არც ერთი მათგანი არ გადარჩენილა.

"ტუ-154"-ის ნამსხვრევები და დაღუპულ ადამიანთა ცხედრები როსტოვის ოლქის კამენსკ-შახტენსკის რაიონის სოფელ გლუბოკიდან სამხრეთით 9 კმ-შია ნაპოვნი. აღმოჩენილია ამ თვითმფრინავის ერთ-ერთი "შავი ყუთიც".

ზოგიერთი მონაცემებით, "ტუ-134" ჩამოვარდნის წინ ჰაერში აფეთქდა. კატასტროფის თვითმხილველები ამბობენ, რომ აფეთქების ხმა გაიგონეს. თვითმფრინავის ნამსხვრევები მაშველებმა ჯერ კიდევ ღამით კიმოვსკის რაიონის დასახლებულ პუნქტ ბუჩალკის მახლობლად აღმოაჩინეს. როგორც რადიოსადგური "ეხო მოსკვი" იუწყება, არსებობს საფუძველი იმისა, რომ ორი თვითმფრინავის კატასტროფას ტერაქტის კვალიფიკაცია მიეცეს. კერძოდ, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ორივე თვითმფრინავი ერთი აეროპორტიდან გაფრინდა და რადარების ეკრანებიდან თითქმის ერთდროულად გაქრა.

რა მოხდა მაინც 24 ივლისის ღამეს რუსეთის ცაში? აღსანიშნავია, რომ ტუპოლევის ავიასაკონსტრუქტორო ბიუროს კონსტრუქტორმა, "ტუ-134"-სა და "ტუ-154"-ის დამპროექტებელმა ანდრეი გრიშინმა უარი თქვა კომენტარზე. "მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი, - ორმა თვითმფრინავმა ყველაზე უსაფრთხო სიმაღლეზე ფრენისას, პრაქტიკულად ერთ და იმავე დროს განიცადა კატასტროფა, - ამბობს იგი, - დანარჩენზე საუბარი ნაადრევია."

თითქოს ყველაფერი მიუთითებს, რომ თვითმფრინავების კატასტროფა პროვოცირებული იყო. სხვათა შორის, ამ ვერსიაზე საუბრობდნენ დასავლური საინფორმაციო საშუალებებიც. ყველა სააგენტო ერთ კითხვას სვამდა: იყო თუ არა თვითმფრინავების ერთდროული ვარდნა ტერაქტის შედეგი? თუმცა, ჯერჯერობით რუსეთის ოფიციალური განცხადება ამასთან დაკავშირებით არ ყოფილა.

მართალია, მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაცია არ მინიჭებია, მაგრამ უკვე საუბრობენ შესაძლო ორგანიზატორებზე. რუსი ანალიტიკოსებისთვის ყველაზე მეტად დამაჯერებლად ჩეჩენი ტერორისტების ვერსია ჟღერს. სხვათა შორის, გუშინ "Wall Street Journal"-იც აღნიშნავდა, რომ თუ ტერორისტული აქტის არსებობა დადასტურდა, თავდასხმები, სავარაუდოდ, ჩეჩენი სეპარატისტების ნამოქმედარი იქნებოდა. თუმცა მეორე, საკმაოდ დაუჯერებელი ვერსიასაც აჟღერებს გავლენიანი ამერიკული გაზეთი - შესაძლოა ტერაქტის უკან "ალ ქაიდა" იდგეს. ამ დაჯგუფებას აქამდეც გამოუყენებია მსგავსი მეთოდები, თუნცდაც 11 სექტემბრის ტერაქტისას. ამერიკელ ჟურნალისტს თავისი ვარაუდის გასამყარებლად ისიც მოყავს, რომ რუსი სამართალდამცავების განცხადებით, ჩეჩნებს საკმაოდ მჭიდრო კავშირები აქვთ "ალ ქაიდას" ქსელთან. ამავდროულად, მეორე არანაკლებ ცნობილ ამერიკულ გაზეთში "Washington Post"-ში გუშინ წერდნენ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში "ალ ქაიდას" მონაწილეობა ნაკლებად სარწმუნოდ ჟღერს. მიუხედავად რუსეთის ბრალდებებისა, იჩქერიის მეომრების კავშირები "ალ ქაიდა"-სთან რაიმე სახის მტკიცებულებებით არ არის გამყარებული.

ნიშანდობლივია ერთი ფაქტი: სამშაბათს დილით, მოსკოვში აფეთქების შედეგად 4 ადამიანმა სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო. მილიციის ცნობით, გამოყენებული იქნა თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც კაშირის გზატკეცილზე ავტობუსის გაჩერებაზე იყო დამონტაჟებული.

ასეა თუ ისე, რუსეთშიც და საზღვარგარეთაც აქტიურად განიხილება ჩეჩენი ტერორისტების კატასტროფაში მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ ტრაგიკული ინციდენტები ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარების აშკარა გამწვავების ფონზე და ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა. შექმნილ ვითარებაში არაფერს ცვლის იჩქერიის პრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენლის აჰმედ ზაკაევის მტკიცება, რომ ჩეჩნეთის წინააღმდეგობის ძალებს ამ ინციდენტთან კავშირი არ აქვთ. "არც ასლან მასხადოვს და არც მის დაქვემდებარებაში მყოფ ძალებს კავშირი არ აქვთ თვითმფრინავების კატასტროფასთან," - აცხადებს ზაკაევი რუსეთის რადიოკომპანია "ეხო მოსკვი"-ს ეთერში. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგივე ზაკაევი უარყოფდა იჩქერიის ხელისუფლების მონაწილეობას "ნორდ-ოსტ"-ზე განხორციელებულ საბედისწერო ტერაქტში.

შეგახსენებთ, კვირას ჩეჩნეთში აჰმედ კადიროვის შემცვლელი უნდა "აირჩიონ". ჩეჩნური წინააღმდეგობა იმუქრებოდა, რომ ამ არჩევნებს ჩაშლიდა. დღეისათვის ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ჩეჩნეთში არჩევნების ნორმალურად ჩატარება სერიოზულ ეჭვს იწვევს.

## ორი სიტყვით

**პაკისტანი.** პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა ჩოუდრი შაჯათ ჰუსეინმა გუშინ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება. მისი შემცვლელი ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრი შაუკატ აზიზი იქნება. აზიზის კანდიდატურას მხარს ქვეყნის მმართველი პარტია მუსლიმთა ლიგა და პრეზიდენტი ფერვეზ მუშარაფი უჭერენ. ამ უკანასკნელის კომპეტენციაში შედის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ამა თუ იმ პირის დანიშვნა და გათავისუფლება. აზიზის სახელთანაა დაკავშირებული უკანასკნელ ხანს პაკისტანის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მიღწეული წარმატებები. ექსპერტთა შეფასებით, მინისტრთა კაბინეტის სათავეში ჩადგომის შემდეგ პაკისტანის პოლიტიკის ეროვნული კურსი -აშშ-სთან ერთად ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ინდოეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენა - არ შეიცვლება. შაუკატ აზიზი პრემიერ- მინისტრის პოსტზე ჯერ კიდევ 30 ივლისს იქნა დასახელებული. იმავე დღეს იგი შემთხვევითობის წყალობით გადაურჩა სიკვდილს. ტერორისტი-თვითმკვლელის მიერ ისლამაბადში განხორციელებული ტერაქტის შედეგად, რომელიც მომავალი პრემიერ-მინისტრის განადგურებას ისახავდა მიზნად, 9 ადამიანი დაიღუპა. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ერაყი.** ერაყელ შიიტთა სულიერი ლიდერი აიათოლა ალი ას-სისტანი გუშინ ერაყში დაბრუნდა. მისი დაბრუნების მიზანი ერაყელებისთვის ენ-ნაჯაფის გადასარჩენად იქ ფეხით წასვლის მოწოდება იყო. შიიტთა წმინდა ქალაქში, სადაც იმამ ალის მავზოლეუმი მდებარეობს, უკვე ორი კვირაა, ბრძოლები არ წყდება. ერაყის ხელისუფლების განცხადებით, ერაყის ნაციონალური გვარდია, რომელთაც მუსლიმთა სიწმინდე - იმამ ალის საფლავი - ალყაშემორტყმული აქვს, იერიშისთვის მზადაა. სატელევიზიო არხის "ალ-არაბიას" მიერ გადმოცემული ცნობებით, ნაციონალური გვარდიის გარდა ადგილზე იმყოფებიან ამერიკელი სნაიპერებიც. გაზეთი "ალ ზამანი" კი იუწყება, რომ მოსახლეობა მასობრივად ტოვებს საცხოვრებელ სახლებს, რომელიც ერაყის თავდაცვის მინისტრის ხაზიმ აშ-შაალანის განცხადებამ დააშინა. ამ უკანასკნელის განცხადებით, ერაყის ნაციონალური გვარდია მზადაა, პირისაგან მიწისა აღგავოს მთლიანად ქალაქი რადიკალი შიიტების, "მაჰდის არმიის" დაუმორჩილებლობის შემთხვევაში. ზოგიერთი საინფორმაციო წყაროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რადიკალ მუსლიმ შიიტთა ლიდერის მუქთადა ას-სადრის ნეჯეფში მყოფი მომხრეების ნაწილმა უკვე დატოვა ქალაქი და ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ქალაქებში ბასრაში, ნასირიასა და ელ-ამარში გადაინაცვლა, სამხედრო მოქმედებების ესკალაციისთვის მოსამზადებლად. **24 საათი**

■ ■ ■

**უზბეკეთი.** აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა უზბეკეთის ხელისუფლება ქვეყანაში დაგეგმილი ტერაქტების შესახებ გააფრთხილა. ამერიკელთა ინფორმაციით, ტერაქტები 2004 წლის სექტემბრის დასაწყისშია დაგეგმილი. აშშ-ს საგარეოპოლიტიკური უწყების ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: "აშშ-ს ხელისუფლებამ მიიღო ინფორმაცია უზბეკეთში დამოუკიდებლობის დღეს მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ. უზბეკეთში მყოფ აშშ-ს მოქალაქეებს მოვუწოდებთ უსაფრთხოების განსაკუთრებული ღონისძიებების მიღებისაკენ, კერძოდ, თავი აარიდონ ხალხმრავალ ადგილებზე მოხვედრასა და დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობას." უზბეკეთში ტერაქტების სერია არც თუ ისე დიდი ხნის წინ უკვე განხორციელდა. კერძოდ, 2004 წლის ივლისის ბოლოს ტერორისტმა-თვითმკვლელებმა თავი აიფეთქეს აშშ-სა და ისრაელის საელჩოებისა და გენერალური პროკურატურის შენობის სიახლოვეს. **როიტერი**

■ ■ ■

**სომხეთი.** ირანი სომხეთს ირან-სომხეთის გაზსადენის სომხეთის მონაკვეთის მშენებლობისათვის დაახლოებით 30 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტს გამოუყოფს. ამის შესახებ დღეს სომხეთის ენერგეტიკის მინისტრმა არმენ მოვსესიანმა განაცხადა. მისი თქმით, ამ სახსრებით ირანის მოსაზღვრე ქალაქ აგარაკიდან კაჯარანამდე გაზსადენის მონაკვეთი აშენდება. კრედიტი 7,5 წელიწადში უნდა დაიფაროს, წლიური გადასახადი 5 პროცენტია. "ეს პირობები სომხეთისთვის მისაღებია," - თქვა მინისტრმა. მოვსესიანმა დასძინა, რომ გაზსადენის სომხეთის მონაკვეთის მშენებლობა წლის ბოლომდე დაიწყება. რაც შეეხება კაჯარან-ერევნის მონაკვეთს, ის სომხური მხარის ხარჯებით აშენდება. სომხეთი კრედიტორს ანგარიშს ელექტროენერგიის მიწოდებით გაუსწორებს. ირანმა გაზსადენის საკუთარი მონაკვეთის მშენებლობა უკვე დაიწყო. **ინტერ-პრესი**

# მარგარეტ ტეთჩერის შვილს შეთქმულებაში ედება ბრალი

ლევან გელაშვილი

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიციის ელიტარულმა ქვედანაყოფმა "მორიელებმა" გუშინ ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეთჩერის შვილი, კეიპტაუნში მცხოვრები მარკ ტეთჩერი დააპატიმრა. მას ეკვატორულ გვინეაში ანტისამთავრობო შეთქმულების ხელშეწყობაში ედება ბრალი.

სპეცდანიშნულების რაზმის აგენტებმა "რკინის ლედის" 51 წლის ვაჟიშვილს ჩხრეკისა და დაპატიმრების ორდერი წარუდგინეს. პოლიციის განმარტებით, მას უცხო ქვეყნის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისათვის ედება ბრალი. პოლიციას იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში დამატებით ინფორმაციას და სამხილებსაც მოიპოვებს, რაც შეთქმულებასთან მის კავშირს დაადასტურებს. ჯერჯერობით არ არსებობს ინფორმაცია, გადასცემენ თუ არა პრემიერ-მინისტრის შვილს ეკვატორული გვინეის სამართალდამცავ ორგანოებს.



*"რკინის ლედის" ვაჟიშვილი ელიტარულმა "მორიელებმა" საკუთარ სახლში დააპატიმრეს.*

ამჟამად, ეკვატორული გვინეის დედაქალაქ მალაბოში 15 მსჯავრდებულის წინააღმდეგ, ანტისამთავრობო შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით, სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. სხვადასხვა წყაროებით, მათ შორის სამხრეთ აფრიკის, ყაზახეთისა და სომხეთის მოქალაქეებიც არიან. მეორე 70 კაციანი ჯგუფი, რომელიც ჰარარეს (ზიმბაბვე) აეროპორტში მიმდინარე წლის მარტში დააკავეს, ზიმბაბვეს სასამართლოს წინაშე წარდგა. თითქმის ყველა მათგანს დაკავების დროს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პასპორტები ჰქონდათ. ისინი მალაბოში შეთქმულების სხვა მონაწილეებს უნდა შეერთებოდნენ. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მათ სამუდამო პატიმრობა ან სიკვდილით დასჯა ელით.

ეჭვმიტანილთა შორის ბრიტანეთის სპეცდანიშნულების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი საიმონ მანიც გახლავთ. ერთ-ერთი ვერსიით, მანმა და ტეთჩერმა 70 უცხოელ დაიქირავებულ მეომარს 200 ათასი გირვანქა გადაუხადეს, რათა ეკვატორული გვინეის პრეზიდენტი თეოდორ ობიანგ ნგუემა მბასოგო ჩამოეგდოთ, რომელიც ქვეყანას 1979 წლიდან მართავს. როგორც ზიმბაბვეს შინაგან საქმეთა მინისტრი კემბო მოჰადი აცხადებს, შეთქმულებას ბრიტანეთის დაზვერვა - MI-6, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და ესპანეთის საიდუმლო სამსახური უწყობდა ხელს.

ცოტა ხნით ადრე, მარკ ტეთჩერი ანტისამთავრობო შეთქმულების მხარდაჭერაში თავად ეკვატორული გვინეის პრეზიდენტმა მბასოგომ დაადანაშაულა. "არსებული ინფორმაციის საფუძველზე შემიძლია ვამტკიცო, რომ მარკ ტეთჩერი და ბრიტანეთის მთავრობის ყოფილი მინისტრი, რომლის გვარსაც ვერ დავასახელებ, შეთქმულებას აფინანსებდნენ," - განაცხადა პრეზიდენტმა ფრანგულ ჟურნალ "ჟენ აფრიკ"-თან ინტერვიუში. მისი თქმით, აღნიშნული პირები, რამდენიმე ბრიტანელ ბიზნესმენთან ერთად, მის "ჩანაცვლებას" ოპოზიციაში მყოფი სევერო მოტოთი აპირებდნენ. ამჟამად მოტო ესპანეთში გადასახლებაში იმყოფება.

გუშინ სასამართლო პრცესზე ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა, სამხრეთ აფრიკელმა ნიკ დიუ ტუამ აღიარა, რომ მას ეკვატორულ გვინეაში გადატრიალების სანაცვლოდ დიდ გასამრჯელოს შეჰპირდნენ. მან იქვე დაამატა, რომ მარკ ტეთჩერი მიმდინარე წლის ივლისში საიმონ მანმა გააცნო. დიუ ტუას თქმით, ბრიტანეთის ყოფილი პრემიერის შვილი მის განკარგულებაში არსებული მთ-8 ტიპის სამხედრო ვერტმფრენების ყიდვას აპირებდა და მათი საუბარი მხოლოდ ამ გარიგებით შემოიფარგლა.

უნდა აღინიშნოს, რომ ცოტა ხნის წინ ეკვატორული გვინეის პრეზიდენტმა, მიყენებული მრავალმილიონიანი ზარალისა და მისი მკვლელობის მცდელობისათვის, ლონდონის უზენაეს სასამართლოში საიმონ მანის, სევერო მოტოს, ლონდონელი ბიზნესმენის გრეგ უეილსისა და ნავთობ-მაგნატის ელილ კალილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. გადატრიალების მცდელობაში ეჭვმიტანილმა ნიკ დიუ ტუამ დაკითხვისას აღიარა, რომ საიმონ მანმა მას სამხრეთ აფრიკაში გრეგ უეილსთანაც მოუწყო შეხვედრა, რომელსაც მარგარეტ ტეთჩერის ყოფილი არაოფიციალური მრჩეველი დევიდ ჰართიც ესწრებოდა.

unicef

გაეროს ბავშვთა ფონდი ეძებს წამყვან მკვლევარს, რომელიც ჩაატარებს კვლევას ახალგაზრდობის მონაწილეობის პროგრამის სფეროში. აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გაეროს ბავშვთა ფონდის მიმდინარე პროგრამებში ახალგაზრდების მონაწილეობისა და ახალგაზრდების, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის სფეროში.

კვლევის ჩასატარებლად უპირატესობა მიენჭება ჩართულობითი შეფასების ტექნოლოგიას. შეფასება უნდა მოიცავდეს რამოდენიმე ეტაპს: 1) მომზადება, 13-17 სექტემბერს კვლევისადმი მიძღვნილ სემინარში მონაწილეობა; კვლევის პროექტის, საკითხების და მეთოდოლოგიის შემუშავება ახალგაზრდებისა და, შესაძლოა, სხვა ძირითადი ორგანიზატორების წარმომადგენლებთან ერთად; 3) კვლევის გეგმის მოდელირება; 4) პროექტში შესაბამისი შესწორებების შეტანა; და 5)კვლევის ჩატარება, და შედეგების ანალიზი და დოკუმენტაცია, კვლავ ახალგაზრდებისა და სხვა ძირითადი ორგანიზატორების წარმომადგენლებთან ერთად; 6) საბოლოო ანგარიშის წარმოდგენა ინგლისურ და ქართულ ენებზე.

ხარისხობრივი მეთოდები უნდა შეიცავდეს ინტერვიუებს, დისკუსიებს ფოკუს ჯგუფთან, დაკვირვებას, და არჩეულ ჩართულობით მეთოდებს. რაოდენობრივი მეთოდები უნდა მოიცავდეს კითხვარებს, ხარჯებისა და სარგებლის ანალიზს და სხვა.

ზემოთ აღნიშნული პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
მნიშვნელოვანი გამოცდილება პროგრამის შეფასების სფეროში.
სახელმწიფო ენის ცოდნა
ინგლისურად კომუნიკაციის უნარი
ახალგაზრდებთან მუშაობის გამოცდილება და სურვილი
მონაწილეობის წახალისებისა და ჯგუფური მუშაობის ხელშეწყობის გამოცდილება (მაგ., ინტერაქტიული სემინარი)
სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის ძირითად მომწოდებლებთან (ახალგაზრდებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა საზოგადოებრივ პარტნიორებთან, მთავრობის წარმომადგენლებთან, დონორებთან და ა.შ.) ურთიერთობის კარგი უნარი
მართვის უნარი: მკვლევარების ჯგუფის მართვა და დაინტერესება
მონაცემთა ანალიზისა და ანგარიშის მომზადების უნარი

**სამუშაო დაიწყება 13 სექტემბერს და გასტანს 2004 წლის 13 ნოემბრამდე. დაინტერესებულმა კანდიდატებმა 7 სექტემბრის 18 სთ-მდე გაეროს ბავშვთა ფონდის ოფისში (ერისთავის ქ. 9, გაეროს სახლი, მე-4 სართ.) დალუქული კონვერტით უნდა წარადგინონ CV (რეზიუმე) და განცხადება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება კვლევის გეგმა და ჰონორარი. დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ მაია ქურციკიძეს ან გიორგი საყვარელიძეს შემდეგ ტელეფონებზე: 232388, 251130.**

Mercy Corps btc SCP

**საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის საჩუქარი მოსწავლეებს**

2004 წლის 23 აგვისტოს ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ბი-პისა და მისი BTC და SCP პროექტების მიერ დაფინანსებული საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა, მერსი ქორმა და მისმა პარტნიორებმა დაიწყეს მოსწავლეთათვის სასკოლო საჩუქრების გადაცემა. ამ საჩუქრებისათვის გამიზნული თანხა წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაცია მერსი ქორის სათაო ოფისის წვლილს აღნიშნული პროგრამისათვის.

საჩუქრის შეკვრაში შედის ფერადი ფანქრები, ფერადი ქაღალდები, რვეული, მაკრატელი და სხვა სასკოლო ნივთები, რომელიც გადაეცემა მილსადენის გასწვრივ მდებარე საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამაში ჩართული და მათ ახლომდებარე სოფლების, ასევე ქალაქების - თეთრიწყაროს, გარდაბანისა და მარნეულის სკოლების მოსწავლეებს. თავდაპირველად გათვალისწინებული იყო საჩუქრების მხოლოდ დაწყებითი კლასების მოწავლეებისათვის დარიგება, თუმცა ახლა ამ შეკვრებს ზემოთ აღნიშნული სკოლების ყველა ასაკის 21525 მოსწავლე მიიღებს.

# მრავალი შვილი და ცოტაც ფული

*თბილისში მცხოვრები 32 წლის სერგი მელიქმარუტოვი ექვსი შვილის მამაა. ორი თვის წინათ, ოთხი შვილის შემდეგ, ტყუპი გოგონები შეეძინა და სახელმწიფოსაგან საჩუქარიც მიიღო. გუშინ თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურში მრავალშვილიან მამას 1 200 ლარი გადასცეს. ახალგაზრდა მშობლები ამ თანხით რაიმე განსაკუთრებული ნივთის შეძენას არ გეგმავენ. მელიქმარუტოვის მსგავსად, ფულადი დახმარება გუშინ კიდევ 29 მრავალშვილიანმა ოჯახმა მიიღო.*

თამარ დვალი

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც თბილისში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები თითო ბავშვზე ყოველთვიურად ხუთი ლარის ოდენობის დახმარებას ღებულობენ. მიმდინარე წელს მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურში 24 პროგრამის განხორციელებას გეგმავენ. პრიორიტეტად სოციალურად დაუცველი ფენების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა დახმარება გამოცხადდა.

აგვისტოს დასაწყისში ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების ერთი ნაწილი ურეკში გაემგზავრა. პროგრამის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა კურორტზე სულ 650 ბავშვი დაისვენებს. მეორე პროგრამა გუშინ დაიწყო და იგი მრავალშვილიანი ოჯახების ფულად დახმარებას გულისხმობს. პროექტის დასაფინანსებლად დედაქალაქის ბიუჯეტში 45 ათასი ლარია გათვალისწინებული. გუშინ 30-მა მრავალშვილიანმა ოჯახმა უკვე მიიღო კუთვნილი თანხა. მეოთხე შვილზე 200 ლარია გათვალისწინებული, მეხუთეზე და უფრო მეტზე 500 ლარი. აღნიშნული პროგრამა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

მომავალი წლიდან ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური მრავალშვილიანი დედებისათვის ყოველ ახალშობილზე თანხის დიფერენცირებულად გაცემას აპირებს. 2005 წელს მრავალშვილიანი დედები მეოთხე ახალშობილზე 400 ლარს, მეხუთეზე 500 ლარს, ხოლო მეექვსეზე 600 ლარს მიიღებენ.

**"ახალი პროგრამები უკვე შემუშავებულია და ახლა საკრებულოს მხარდაჭერის დიდი იმედი გვაქვს. ეს არის ფართო სპექტრით გაშლილი სოციალური დახმარების პროგრამა, რომლითაც მოსახლეობა გარკვეულ შვებას იგრძნობს. თანხა, რომელსაც დღეს დავარიგებთ - ერთჯერეადია. მას იმ ახალშობილის მშობლები მიიღებენ, რომელთაც მეოთხე ან უფრო მეტი შვილი შეეძინათ. განაცხადის გაკეთების შემდეგ, ჩვენ ვადგენთ დოკუმენტაციას და კანონით გათვალისწინებულ თანხას მრავალშვილიანებს ვურიგებთ. აქამდე, ოთხ შვილზე 200 ლარს იღებდნენ, ხუთ შვილს ზემოთ კი 500 ლარს. ახლა სქემა შევცვალეთ და თითოეულ ბავშვზე დიფერენცირებულად მიიღებენ თანხას. დღეს ექვსი შვილის მამას 1200 ლარი გადავეცით. ეს პროგრამა კვლავ გაგრძელდება და სავარაუდოდ თანხაც გაიზრდება. ამჟამად მრავალშვილიანი დედები გამგეობიდან ყოველთვიურად ხუთ ლარს ღებულობენ, თუმცა გვინდა, რომ ეს თანხაც გავზარდოთ,"** - გვითხრა მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ზაზა გოროზიამ.

**ბილეფელდის გერმანულ ქართული საზოგადოება დაინტერესებულ ფირმებსა და კერძო პირებს გეპატიჟებათ დიზაინისა და ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც 29-31 ოქტომბერსა და 12-14 ნოემბერს გერმანიის ქალაქ გუტერსლოსა და ბილეფელდში გაიმართება. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: 0049 171547017, ელ-ფოსტა iberieli@email.de**

# "საზამთროს სეზონი მაილიოს და მერე კისერიც გიტეხიათ"

ნანა ქადაგიშვილი

*კახელების დიდმა ნაწილმა მევენახეობა-მეღვინეობაზე ხელი რომ აიღო, თბილისის ქუჩებსაც ეტყობა. დედაქალაქში ყოველი ფეხის ნაბიჯზე გამოფენილი საზამთრო, ძირითადად, კახეთიდან ყოფილა შემოტანილი. საზამთროს მოყვანა უფრო მომგებიანია და იმიტომო, ვენახის წინაშე თავს იმართლებენ კახელები. თუმცა, ამჯერად კახელების საქციელის გაკრიტიკებას სულაც არ ვაპირებთ. თბილისის მოსახლეობის ჯანმრთელობა არანაკლებ გვადარდებს.*



ვახო ბესელიას ფოტო

*"მაგითიღა ვჭამთ პურსა და ეგეც უნდა აგვიკრძალონ? ცოტა მაიცადონ, საზამთრო მაილიოს და მერე კისერიც უტეხიათ".*

გარევაჭრობის, ასე თუ ისე, აკრძალვა ქალაქის ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავრი მიღწევაა. თუმცა, საზამთროს სეზონის დადგომისთანავე ამ პრობლემამ ხელახლა იჩინა თავი. სატვირთო მანქანებსა თუ პირდაპირ ასფალტზე დაწყობილი ამ უგემრიელესი ხილის ყიდვა, გამორიცხული არ არის, ძალზე ძვირად დაგვიჯდეს. მართალია, როგორც სანიტარული ზედამხედველობის სამსახური აცხადებს, მოსახლეობის საზამთროთი მოწამვლის შემთხვევები აღრიცხული არ არის (ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად), მაგრამ სანიტარული სამსახური მაინც გვაფრთხილებს, რომ საშიშროებისგან დაცული არ ვართ.

**"ხილი საკვებად ვარგისიც რომ იყოს, მტვერსა და მანქანების გამონაბოლქვში დაწყობის შემდეგ, ადამიანის ჯანმრთელობას უკვე საფრთხეს უქმნის,"** - აცხადებს საქართველოს სანიტარული ინსპექციის უფროსი დავით მესხიშვილი. პრობლემას ისიც ართულებს, რომ გარე ვაჭრობის ტერიტორიაზე გამოტანილი საკვების შემოწმება, როგორც წესი, არც ერთი უწყების კომპეტენციაში არ შედის. **"საზამთროთი მოვაჭრეთაგან ბევრი უნებართვოდ ვაჭრობს, მაგრამ, მგონი, ზოგს გამგეობის ნებართვაც აქვს. არადა, რამე რომ მოხდეს, პასუხისმგებლობას ჩვენ გვაკისრებენ. ჯობს ეს ნებართვები ჩვენს უწყებასთან შეათანხმონ, პასუხისმგებლობა ბარემ ოფიციალურად დაგვეკისრება,"** - აცხადებს მესხიშვილი.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი თემურ ჭეიშვილი გვარწმუნებს, რომ მისი გამგეობიდან საზამთროთი ვაჭრობაზე ერთი ნებართვაც არ გაცემულა. **"პირიქით, გარე მოვაჭრეებს ადმინისტრაციულ პოლიციასთან ერთად ვებრძვით, მაგრამ დღეს რომ ავყრით ადგილიდან, მეორე დღეს ისევ ჩნდებიან. ამ საკითხზე ადმინისტრაციულ და საპატრულო პოლიციას უნდა მოველაპარაკო და გამოსავალი ერთად მოვიფიქროთ,"** - ძალზე კატეგორიულია ჭეიშვილი.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებელი გიორგი ხახნელიძე კი, პირიქით, გარე ვაჭრობაზე ნაბართავების გაცემას აპირებს და გასამართლებელ მიზეზად ბიუჯეტის გეგმას ასახელებს. **"ბიუჯეტის შემოსავლების გეგმაში გარევაჭრობიდან მიღებული თანხებიც არის გათვალიწინებული. სწორედ ეს მიქმნის პრობლემას. ქალაქის ქუჩები ძლივს გაიწმინდა, მაგრამ იძულებულნი ვართ, გარევაჭრობაზე ნებართვები ისევ გავცეთ. სხვანაირად, ბიუჯეტს ვერ შევავსებთ,"** - აცხადებს ხახნელიძე.

ამ ინფორმაციას მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ამირან ჯებისაშვილიც ადასტურებს და განმარტავს, რომ ქალაქის მთავრობა სასექტემბროდ ბიუჯეტის კორექტირებას აპირებს. **"პირველ სექტემბერს გარევაჭრობა ოფიციალურად აიკრძალება, ეს კი ბიუჯეტის კორექტირების საშულებას მოგვცემს. ბიუჯეტის გეგმაში გარევაჭრობიდან მიღებული შემოსავალი გათვალისწინებული აღარ იქნება,"** - აცხადებს ჯებისაშვილი.

**"მაგითიღა ვჭამთ პურსა და ეგეც უნდა აგვიკრძალონ? ცოტა მაიცადონ, საზამთრო მაილიოს და მერე კისერიც უტეხიათ,"** - თბილისის მთავრობის მისამართით ამბობენ კახელი მოვაჭრეები. თუმცა, მათ სანერვიულო არაფერი აქვთ, ბიუჯეტის კორექტირებამდე საზამთროს სეზონი ნამდვილად

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შესარჩევი კონკურსის - "მომავალი იწყება დღეს" გამოცხადების შესახებ

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო გეგმების შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარე, მასწავლებელთა ვაკანტურ თანამდებობებზე კვალიფიციური კადრების შერჩევაში ამ რეგიონების საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელშეწყობის მიზნით, მასწავლებელთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არსებული დაბალი დაინტერესების გათვალისწინებით, დაწესებულებების ადმინისტრაციებთან შეთანხმებით, "განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნათა შესასრულებლად,

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შესარჩევი კონკურსი (შემდგომში კონკურსი) დანართი 1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს "ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატურების შესარჩევი კონკურსის დებულება" (დანართი 2).
3. შეიქმნას ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატურების შესარჩევი საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   - ა) ვახუშტი კოტეტიშვილი
   - ბ) დავით მუსხელიშვილი
   - გ) სიმონ ჯანაშია
   - დ) ია კუტალაძე
   - ე) რატი ამაღლობელი
   - ვ) ბელა წიფურია
   - ზ) რუსუდან ზურაბაშვილი
   - თ) თინათინ ჩუბინიძე
   - ი) კახა გაბუნია
   - კ) ზაალ სამადაშვილი
   - ლ) გვანცა ჩხენკელი
   - მ) ზურაბ დავითაშვილი
4. იმ მასწავლებლებს, რომლებიც წარმატებით გაივლიან კონკურსს და შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორების მიერ დაინიშნებიან შესაბამის ვაკანტურ თანამდებობებზე, 2004-2005 სასწავლო წლის განმავლობაში დაენიშნოთ დანამატი ხელფასზე გრანტის სახით თვეში 300 ლარის ოდენობით (დაქვითვის გარეშე), 100 ლარი (დაქვითვის გარეშე) საცხოვრებელი ხარჯებისათვის, 30-დან 100 ლარამდე მანძილის მიხედვით (დაქვითვის გარეშე) ტრანსპორტის ხარჯებისთვის;
5. მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების დაფარვა მოხდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს "ქართული ენის სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამიდან";
6. კონკურსის ორგანიზებაზე კონტროლის გაწევა დაევალოს მინისტრის მოადგილეს - ქ-ნ ბელა წიფურიას.
7. მე-5 პუნქტის შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის მოადგილეს - ბ-ნ თეიმურაზ სამადაშვილს.

**დანართი 1: ფურც.**
**დანართი 2: ფურც.**

*მინისტრი*
*ალექსანდრე ლომაია*

*დანართი 1*

**ვ ა კ ა ნ ს ი ე ბ ი**

მარნეულის რაიონი

| N | სკოლის დასახელება | სწავლების ენა | საგანი | [illegible] | ვაკანსიების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 14 km | 1 |
| 2 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 14 km | 1 |
| 3 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 7 km<br>12 km | 1<br>1 |
| 4 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 9 km | 1 |
| 5 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 9 km | 1 |
| 6 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 29 km | 2 |
| 7 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 8 km<br>16 km | 1<br>1 |
| 8 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 20 km | 1 |
| 9 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 10,5 km | 1 |
| 10 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 18 km | 1 |
| 11 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 14 km | 1 |
| 12 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 29 km | 2 |

გარდაბნის რაიონი

| N | სკოლის დასახელება | სწავლების ენა | საგანი | [illegible] | ვაკანსიების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | [illegible] | [illegible] | [illegible] | 5 km | 1 |

წალკის რაიონი

| N | სკოლის დასახელება | სწავლების ენა | საგნის დასახელება | [illegible] | ვაკანსიების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | [illegible] | [illegible] | [illegible] | 33 km | 2 |
| 2. | [illegible] | [illegible] | [illegible] | 27 km | 2 |

ნინოწმინდის რაიონი

| N | სკოლის დასახელება | სწავლების ენა | საგნის დასახელება | [illegible] | ვაკანსიების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | [illegible] | [illegible] | [illegible] | 18 km | 1 |
| 2. | [illegible] | [illegible] | [illegible] | 20 km | 1 |
| 3. | [illegible] | [illegible] | [illegible] | 21 km | 1 |
| 4. | [illegible] | [illegible] | [illegible] | 33 km | 1 |

ახალქალაქის რაიონი

| N | სკოლის დასახელება | სწავლების ენა | საგნის დასახელება | [illegible] | ვაკანსიების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | [illegible] | [illegible] | [illegible] | 18 km | 1 |
| 2. | [illegible] | [illegible] | [illegible] | 21 km | 1 |
| 3. | [illegible] | [illegible] | [illegible] | 17 km | 1 |

ახალციხის რაიონი

| N | სკოლის დასახელება | სწავლების ენა | საგნის დასახელება | [illegible] | ვაკანსიების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | [illegible] | [illegible] | [illegible] | 26 km | 1 |
| 2. | [illegible] | [illegible] | [illegible] | 26 km | 1 |
| 2. | [illegible] | [illegible] | [illegible] | 14 km | 1 |

*დანართი 2*

**ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შესარჩევი კონკურსის - "მომავალი იწყება დღეს" ჩატარების დებულება**

**1. კონკურსის ორგანიზება**

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატურების შესარჩევ კონკურსს ატარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 12 აგვისტოს N144 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისია ამ ბრძანებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

**2. კონკურსში მონაწილეობის კანდიდატები**

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება შესაბამისი პედაგოგიური კვალიფიკაციით და რომლის მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილი არ არის ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.

**3. კანდიდატთა მიერ წარსადგენი დოკუმენტები**

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
ბ) საკონკურსო განაცხადი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემუშავებული ფორმის მიხედვით)
გ) პირადობის დამადასტურებელი და რეგისტრაციის მოწმობის ასლები;
დ) შესაბამისი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე) ავტობიოგრაფია;
ვ) 1 ფოტოსურათი;
ზ) სამოტივაციო წერილი (კანდიდატის კონკურსში მონაწილეობის მოტივები და მიზნები);
თ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ი) პროფესიული გადამზადების და/ან შესაბამისი კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი მოწმობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
კ) არა უმეტეს 2 რეკ ომენდაციისა (სასურველია).

**4. საკონკურსო დოკუმენტების წარდგენის ვადა**

საკონკურსო განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის მიღება წარმოებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 52) 2004 წლის 3 სექტემბრამდე.

**5. კანდიდატების შერჩევა წარმოდგენილ დოკუმენტაციის საფუძველზე**

საკონკურსო კომისია 2004 წლის 5 სექტემბერს გამოაცხადებს იმ კანდიდატების ნუსხას, რომელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება დებულების მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

**6. კანდიდატების შერჩევა გასაუბრების საფუძველზე**

1. მე-5 პუნქტის საფუძველზე საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას 2004 წლის 7-8 სექტემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

2. გასაუბრებისას საკონკურსო კომისია შეაფასებს კანდიდატის პიროვნული თვისებებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან. კომისია ითვალისწინებს აგრეთვე კანდიდატის მარლთშეგნებას, მის მიერ განხორციელებულ სამოქალაქო აქტივობებს.

3. გასაუბრების შედეგები გამოცხადდება 2004 წლის 9 სექტემბერს.

**7. გასაუბრების გავლის შედეგები**

1. გასაუბრების შედეგად საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რეკომენდაციას გაუწევს შესაბამისი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის შესაბამისი ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებების დირექტორების წინაშე.

2. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების მიერ 1-ლი ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანდიდატების შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში ამ მასწავლებლებზე გავრცელდება "ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატურების შესარჩევი კონკურსის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 12 აგვისტოს N144 ბრძანებით გათვალისწინებული სახელფასო დანამატები და შეღავათები, რომლებიც დაირიცხება მასწავლებლების პირად საბანკო ანგარიშებზე.

**8. კონკურსის შედეგების გასაჩივრება**

კონკურსის შედეგების გასაჩივრება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

# აბაშიძეებისა და მათი ახლობლებისთვის ქონების ჩამორთმევაზე სასამართლო იმსჯელებს

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ჩამორთმევა თუ არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილ ლიდერს ასლან აბაშიძეს, მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს 100 მილიონ ლარად შეფასებული ქონება, და გახდება თუ არა ის სახელმწიფო საკუთრება, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.*


იური ლობოდინის ფოტო

*"ასლან აბაშიძის და მისი ნათესავების სახელფასო შემოსავლები მათი თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში 130 ათას ლარს არ აღემატებოდა და, ბუნებრივია, ამ ოდენობის ქონების დაგროვების საშუალება კანონიერი გზით მათ არ ჰქონდათ".*

გუშინწინ საღამოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორმა გიორგი პაპუაშვილმა რეგიონის უმაღლეს სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომლის მიხედვითაც დასაბუთებულია, რომ ქონება უკანონოდ და დაუსაბუთებლად აქვთ შეძენილი არა მხოლოდ ასლან აბაშიძესა და მის ქალ-ვაჟს, არამედ ყოფილი მეთაურის გარემოცვის წევრებს. სასამართლო პროცესი, რომელზეც ავტონომიის ყოფილი მეთაურისა და მისი ახლობლებისთვის დაუსაბუთებელი და უკანონოდ შეძენილი ქონების ჩამორთმევა-არჩამორთმევის საკითხზე უნდა იმსჯელონ, სავარაუდოდ, ხანგრძლივი იქნება, რადგან სხვადასხვა დროს, პროცესზე 30 მოპასუხეს მოუწევს თავისი პოზიციების დაცვა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მიერ სასამართლოში შეტანილ სარჩელში 30-კაციანი სიაა მითითებული, რომელთა ქონებაც პროკურორის მოთხოვნითვე, სახელმწიფო საკუთრებაში უნდა გადავიდეს.

**"ასლან აბაშიძის და მისი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და საბანკო ანგარიშები 100 მლნ ლარადაა შეფასებული. ასლან აბაშიძის და მისი ნათესავების სახელფასო შემოსავლები მათი თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში 130 ათას ლარს არ აღემატებოდა და, ბუნებრივია, ამ ოდენობის ქონების დაგროვების საშუალება კანონიერი გზით მათ არ ჰქონდათ," -** განაცხადა გუშინ საგანგებოდ მოწვეულ ბრიფინგზე გენერალური პროკურორის მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ.

რაც მთავარია, პროცესზე გამოსაძახებელ 30 მოპასუხეს შორის, თავად ასლან, დიანა და გიორგი აბაშიძეებიც არიან. გაგაზავნიან თუ არა ისინი ნდობით აღჭურვილ საკუთარ წარმომადგენელს სასამართლო პროცესზე, წინასწარ ძნელი სათქმელია. ის, რომ ავტონომიის მეთაური და მისი შვილები სასამართლო განხილვას თავად არ დაესწრებიან, ამაში ეჭვი არავის ეპარება.

აჭარის პროკურატურა უკვე კარგა ხანია სწავლობს რეგიონის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძისა და მისი ოჯახის კუთვნილი ქონების კანონიერად შეძენა-არშეძენის საკითხს. შეგახსენებთ, დაახლოებით ორი თვის წინ, მაშინ, როცა, გამოძიება ჯერ დასრულებული არ იყო, ასლან აბაშიძის ოჯახის ქონების ნაწილს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ყადაღა დაედო. მაშინ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ გამოსავალი იპოვა და გამოძიების პროცესში, აბაშიძეების კუთვნილი ქონების გასხვისების საშიშროება რომ არ შექმნილიყო, ანუ სხვებზე არ გადაფორმებულიყო, აბაშიძეების ქონების ნაწილის დაყადაღება გამოძიების დასრულებამდე მოითხოვა. სასამართლოს გადაწყვეტილება აღმასრულებლებმა გადაწყვეტილების გამოტანის დღესვე სისრულეში მოიყვანეს. მაშინ, დაყადაღებული ქონების საერთო ღირებულებამ, საბოლოო ჯამში, 60 მილიონ ლარი შეადგენა. სამართალდამცველები მაშინვე ვარაუდობდნენ, რომ გამოძიების მსვლელობისას თანხა კიდევ უფრო გაიზრდებოდა.

აჭარის პროკურატურის მოთხოვნისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს საბოლოო ვერდიქტით ყადაღა დაედო აბაშიძეების კუთვნილ ორ საცხოვრებელ სახლს დაბა მახინჯაურში, მისი ნაკვეთებითა და შემოზომილი ტერიტორიებით. დაყადაღდა აბაშიძეების ოთხსართულიანი სახლი, რომელიც, როგორც აჭარის პროკურატურაში აცხადებენ, აბაშიძეებს უკვე გაყიდული აქვთ და შპს "ორიენტ ტერმინალის" ბაზაზე ირიცხება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, აბაშიძეების დასაყადაღებელი ქონების ნუსხაში მოხვდა 15 შპს, მათ შორის - ასლან აბაშიძის მიერ დაარსებული კომპანიები "აღორძინება-M", "აღორძინება-N", "პლანეტა-4", "ბათუმი", "ტერმინალი", ჩოგბურთის კლუბი "ბათუმი". დაყადაღებულია ასევე სავაჭრო და დასასვენებელი კომპლექსი "რივიერა", და ბათუმის ნავთობტერმინალი. როგორც აჭარის პროკურატურაში განგვიცხადეს, ეს ის ობიექტებია, რომლის ასპროცენტიანი წილი ასლან აბაშიძეს და მის ქალ-ვაჟს ეკუთვნის. ეს რაც შეეხება უკვე დაყადაღებულ ქონებას. აბაშიძეებისა და მათი ახლობლების იმ ქონებისა და საკუთრების ჩამონათვალი კი, რომლის ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ ამ კვირაში აჭარის უმაღლესი სასამართლო იმსჯელებს, საკმაოდ ვრცელია. სარჩელით, მოპასუხედ დასახელებულ პირებს ეკუთვნით შემდეგი ქონება: ასლან აბაშიძეს - საცხოვრებელი ბინა თბილისში (ზაქარიაძის ქუჩაზე), საცხოვრებელი ბინა ბათუმში (გოგებაშვილის ქუჩაზე), მის ანგარიშზე რიცხული თანხა "საზღვაო ბანკში";

გიორგი აბაშიძეს - შენობა-ნაგებობები და მიწის ფართობი ბათუმში, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ყოფილი საწყობი, მშენებარე აფთიაქი ბათუმში, მიწის ნაკვეთი ოფისისთვის ბათუმში, საბანკო ანგარიშებზე აკუმულირებული თანხები "საზღვაო ბანკში" 82.712 ლარი და 39.815 აშშ დოლარი, მსუბუქი ავტომანქანები - საერთო ღირებულება 180.500 ლარი, საცხოვრებელი ბინა ბათუმში , მიწის ფართობი ბათუმში, ანგარიში "ინტელექტბანკის" ბათუმის ფილიალში - 771.087 აშშ დოლარი;

დიანა აბაშიძეს - საცხოვრებელი ბინა ბათუმში, საერთო ფართით 155.06 კვადრატული მეტრი, ღირებულება - 191.499 ლარი; არასაცხოვრებელი ფართი ბათუმში, ღირებული 100.000 ლარად.

**"იმ შემთხვევაში, თუ აჭარის უმაღლესი სასამართლო პროკურატურის სარჩელს დააკმაყოფილებს, აღნიშნული ქონება, როგორც დაუსაბუთებელი და უკანონო გზით შეძენილი, მთლიანად სახელმწიფოს გადაეცემა," -** აცხადებს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი ჯანაშია.

# "აზოტის" ყოფილი გენერალური დირექტორი დააკავეს

კიდევ ერთი მაღალჩინოსანი, რომელიც გუშინ, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურაში ხანგრძლივი დაკითხვის შემდეგ წინასწარი დაკავების საკანში გაისტუმრეს, "აზოტის" ყოფილი გენერალური დირექტორი გიორგი გოგოლაძე გახლავთ. გიორგი გოგოლაძეს გამოძიება მისი დირექტორად მუშაობის პერიოდში სახელმწიფოსათვის მიყენებულ ზარალს ედავება. რამდენიმესაათიანი დაკითხვისას გიორგი გოგოლაძე ეჭვმიტანილად ცნეს და ბრალიც გუშინვე წარუდგინეს. თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება - ეს არის ის ბრალდება, რომელზე პასუხის გაცემაც "აზოტის" ყოფილ გენერალურ დირექტორს მოუწევს.

გამოძიების მტკიცებით, გოგოლაძის დირექტორობის პერიოდში მისი ხელმოწერით ბრიტანულ ფირმასთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი გემი ამონიუმის გვარჯილით დაიტვირთა და საქართველოს საზღვრები დატოვა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა - 1 200 000 ლარი წინასწარ უნდა ყოფილიყო გადახდილი, თუმცა ასე არ მოხდა. გვარჯილით დატვირთულმა გემებმა საქართველოს ტერიტორია ისე დატოვეს, რომ გვარჯილის ღირებულება დღემდე არ არის ანაზღაურებული. გარდა ამისა, როგორც ირკვევა, ბრიტანული ფირმა, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა, რეგისტრირებული არ არის.

**"ეს გახლავთ გიორგი გოგოლაძის მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი ეპიზოდი. არ არის გამორიცხული, გამოძიების მსვლელობისას, სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის საფასური მნიშვნელოვნად გაიზარდოს," -** აცხადებს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი ჯანაშია. როგორც ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურაში ვარაუდობენ, ბრიტანული კომპანია, რომელთანაც გიორგი გოგოლაძემ გვარჯილის უცხოეთში გატანაზე ხელშეკრულება გააფორმა, ლონდონში უნდა იყოს რეგისტრირებული. თუმცა, გამოძიებამ შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტი ჯერჯერობით ვერ მოიძია, რის გამოც ჩნდება ეჭვი, რომ ეს უცხოური კომპანია საერთოდ არ არსებობს. არადა, მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 7000 ტონა გვარჯილა ფოთის პორტიდან დაუდგენელი მიმართულებით იქნა გატანილი.

**"გოგოლაძე ყველა პროცესუალური ნორმის დაცვით, ადვოკატის თანდასწრებით დაიკითხა. ხვალ ქვემო ქართლის პროკურატურა სასამართლოს მისთვის აღმკვეთი ღონისძიების - წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით მიმართავს," -** განაცხადა ჩვენთან საუბრისას ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორმა გია ჯიქიამ.

**24 საათი**

# კაზინოების მყუდროება დაირღვა

თამარ კაკიტაძე

*თბილისში კაზინოები საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდიდან დაარსდა და მათი მუშაობა დღემდე, ყოველ შემთხვევაში - ოფიციალური სტრუქტურებისათვის, საიდუმლოებით მოცული რჩება. პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს და პარლამენტის ტრიბუნიდან გაკეთებულ ზოგად განცხადებებს თუ არ ჩავთვლით, რომლებსაც არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, დღემდე კაზინოების მუშაობით და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებით არავინ დაინტერესებულა.*



*ირაკლი პირველის ინფორმაციით, ფინანსური პოლიცია, კაზინოების პარალელურად, სათამაშო ავტომატების მუშაობითაც დაინტერესდება.*

გუშინწინ ღამით კი, ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის სამმართველოს თანამშრომლებმა თითქმის ათწლიან ტაბუდადებულ "სამყაროს" სიმყუდროვე დაურღვიეს.

**"სახელმწიფოს ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, შექმნილია ოპერატიული ჯგუფი, რომელიც სათამაშო ბიზნესის მუშაობის ანალიზს აკეთებს და სწავლობს, რამდენი სამორინეა დედაქალაქში, აქვთ თუ არა მათ ლიცენზია და იხდიან თუ არა ბიუჯეტში გადასახადს. კაზინოების რაოდენობის და გადასახადების ანალიზმა გვაჩვენა, რომ აღნიშნული ბიზნესიდან ბიუჯეტში მხოლოდ 12-18 პროცენტი შედის. სამორინეებით სწორედ ამიტომ დავინტერესდით," -** აღნიშნა ჩვენთან საუბარში ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი პირველმა.

ამჯერად, ფინანსური პოლიციის რისხვა ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე სამორინე "მაკაო"-ს და კოსტავას ქუჩაზე მდებარე "ლოტოს"-ს დაატყდა. ორივე კაზინოში ფინანსური პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმი მოულოდნელად, სწორედ იმ დროს შევიდა, როდესაც იქ აქტიური მუშაობა მიდიოდა. მაკონტროლებლების გამოჩენისას სამორინეს ხელმძღვანელობას უცდია, დოკუმენტები შენობიდან გაეტანა და კრუპიეები გაეშვა, თითქოს არ მუშაობდნენ, მაგრამ ფინანსურმა პოლიციამ მოასწრო როგორც დოკუმენტაციის და კომპიუტერების დალუქვა, ასევე კაზინოს თანამშრომლებისთვის და კლიენტებისთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა.

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, "მაკაო" მიმდინარე წლის ივნისიდან ფუნქციონირებს, მაგრამ მის ხელმძღვანელობას დღემდე ბიუჯეტში არც ერთი თეთრი არ გადაუხდია. არადა, ისევ ფინანსური პოლიციის დასკვნით, მხოლოდ ფიქსირებული გადასახადის სახით, დასახელებულ სამორინეს, სადაც ექვსი სათამაშო მაგიდაა, ბიუჯეტში 42 ათასი ლარი უნდა ჩაერიცხა.

**"სამორინე ქალაქის თვალსაჩინო ადგილას მდებარეობს და იგი ღიად, შეუნიღბავად და განათებული რეკლამით ფუნქციონირებდა. მაგრამ, გაუგებარი მიზეზით, იგი ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციისთვის რატომღაც შეუმჩნეველი რჩებოდა," -** განაცხადა ირაკლი პირველმა.

რაც შეეხება სამორინე "ლოტოსს", ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, მისმა ხელმძღვანელებმა გადასახადის დამალვის ახლებური ტაქტიკა აირჩიეს. პირველის განცხადებით, ისინი გადასახადს თვეგამოშვებით იხდიდნენ. "ლოტოსი"-დან, რომელიც ხუთ მაგიდას ამუშავებს (ერთი მაგიდიდან ყოველთვიური გადასახადი 7 ათასი ლარია), მხოლოდ აგვისტოში ბიუჯეტში 35 ათასი ლარი უნდა შესულიყო.

**"მიმდინარეობს მოკვლევა, რის შემდეგაც დადგინდება დამალული თანხის ზუსტი რაოდენობა და მოხდება მათ ამოღება. ასევე გაირკვევა ვაკე-საბურთალოს საგადასახადოს იმ პასუხისმგებელი ხელმძღვანელი და რიგითი თანამშრომლების ვინაობაც, ვინც თანამდებობის ბოროტად გამოყენებით ხელს უწყობდა არალეგალური ბიზნესის აყვავებას და ბიუჯეტის თანხების მითვისებას," -** გვპირდება ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიული სამმართველოს უფროსი.

სამორინეებიდან ამოღებულ დოკუმენტაციაზე დანიშნულია ექსპერტიზა, ფინანსური პოლიცია ვარაუდობს, რომ კაზინოებში არა მარტო ბიუჯეტისათვის დამალული გადასახადები გამოვლინდება, არამედ სხვა დანაშაულებსაც აეხდება ფარდა. კერძოდ, ირაკლი პირველის განცხადებით, როგორც დაკითხული კრუპიეები ამბობენ, მათ ხელფასი 40 ლარი ჰქონდათ, რაც ოფიციალურად არსად არ არის დაფიქსირებული. არადა, როგორც ცნობილია, კრუპიეს ხელფასი გაცილებით მაღალია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამორინეები საშემოსავლო გადასახადებსაც მალავდნენ. რაც შეეხება, "ლოტოსი"-ის და "მაკაო"-ს დირექტორებს დავით დოდაშვილს და შალვა ცქვიტინიძეს, ისინი ამჟამად მიმალვაში იმყოფებიან.

ერთი სიტყვით, ფინანსურმა პოლიციამ სამორინეებს მყუდროება დაურღვია და როგორც თვითონ ირწმუნებიან, ეს მხოლოდ დასაწყისია. ირაკლი პირველის ინფორმაციით, ფინანსური პოლიცია, კაზინოების პარალელურად, სათამაშო ავტომატების მუშაობითაც დაინტერესდება, თუმცა იქ შედარებით ნაკლებ თანხებზე იქნება საუბარი, რადგან სათამაშო ავტომატები ყოველთვიურად ბიუჯეტის სასარგებლოდ 50-დან 200 ლარს იხდიან. გააჩნია, რამდენად პრესტიჟულ უბანში მდებარეობენ.

## მოკლედ

### პროკურატურაში რეფორმა დასრულდა

გუშინ, გვიან საღამოს, გენერალურ პროკურატურაში საკადრო ოპტიმიზაციასთან დაკავშირებულ ბრძანებებს მოეწერა ხელი. ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურატურაში რეფორმა დასრულებულია. როგორც გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი ჯანაშია აცხადებს, გაუქმებულია სამხედრო, სასჯელაღსრულების, ტრანსპორტის პროკურატურები. პროკურატურის სისტემაში თანამშრომელთა რაოდენობა 1497-დან 978 პირამდე შემცირდა. გარდა ამისა, გაუქმდა ორი ოლქის - გურიისა და რაჭა-ლეჩხუმის პროკურატურები. ქალაქის 73 პროკურატურიდან კი დარჩა მხოლოდ 25 - სარაიონთაშორისო.

*24 საათი*

### ჩეჩნებმა საპატრულო პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს

სამართალდამცველებმა გუშინწინ, გვიან ღამით, თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე ჩეჩენი ეროვნების სამი მოქალაქე დააკავეს. როგორც ცნობილი გახდა, დაკავებამდე ჩეჩნებმა ავტოსაგზაო შემთხვევა მოახდინეს და გაიქცნენ. მათ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები დაედევნენ და გაჩერება მოსთხოვეს. **"ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეები საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს არ დაემორჩილნენ, მათ წინააღმდეგობა გაუწიეს -სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსმა დავით იაშვილმა. დაკავებული ჩეჩნები გუშინვე წინასწარი დაკავების საკანში მოათავსეს. გავრცელებული ვერსიით, ისინი დევნილები არიან. როგორც ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსი აცხადებს, მათი პიროვნებებისა და საქმიანობის შესასწავლად და საცხოვრებელი ადგილის დასადგენად პოლიციასთან ერთად მუშაობა პროკურატურამ და უშიშროების სამსახურმაც დაიწყო.

*24 საათი*

### ცხინვალის მილიციის უფროსის მოადგილე ჩაცხრილეს

ცხინვალის მილიციის უფროსის მოადგილე, "ჯორცხენას" სახელით ცნობილი ნოდარ ძაგოევი გუშინ, ქალაქის ცენტრში, საკუთარი საცხოვრებელი სახლის წინ ჩაცხრილეს. ძაგოევი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლითაა მოკლული. ერთ-ერთ მთავარ ეჭვმიტანილად ცნობილი არცეველი კრიმინალის, მარეკ დუდაევის ძმა, ერიკი სახელდება, რომელიც ბოლო დროს ჩრდილოეთ ოსეთს აფარებდა თავს. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებს ნოდარ ძაგოევის ჩაცხრილვის ფაქტთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ. არაოფიციალური ინფორმაციით კი, ძაგოევის მკვლელობა ქართულ მხარესთან მის კარგ ურთიერთობებს უკავშირდება. საქმე ისაა, რომ ნოდარ ძაგოევს დედა და მეუღლე ქართველები ჰყავს. აქედან გამომდინარე, მას ხშირად უხდებოდა ქართული მხარის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გადაადგილება და საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ქართველებთან. სარწმუნო წყაროს ცნობით, დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერი ედუარდ კოკოითი მაქსიმალურად ცდილობს ცხინვალის ხელისუფლებაში მყოფი იმ პირების შევიწროებას, რომლებსაც ქართული მხარის წარმომადგენლებთან გარკვეული ურთიერთობები აქვთ.

*ინტერ-პრესი*

### 5 ლარი - ცრუმოწმეობის საფასურად

თავისუფლების ინსტიტუტის ქუთაისის ოფისი ქალაქის პოლიციას უპირისპირდება და აცხადებს, რომ ქუთაისის პოლიციაში ე.წ. ცრუ მოწმეების ტრადიცია გრძელდება. როგორც თავისუფლების ინსტიტუტის ქუთაისის ოფისის წარმომადგენელი გოჩა ჩხეტია აცხადებს, ორგანიზაციის ოფისს ორმა პიროვნებამ - ვლადიმერ მსხილაძემ და ვიტალი ბელორუსოვმა მიმართა, რომელთა მტკიცებით, მათ პოლიციაში ცრუმოწმეობა გარკვეული ანაზღაურების საფასურად ჩაიდინეს. საქმე ეხება ქუთაისში ორი პიროვნების დაკავების ფაქტს. თავისუფლების ინსტიტუტის ქუთაისის ოფისის მონაცემებით, ეგრეთ წოდებული ცრუ მოწმეები, ძირითადად, სოციალურად დაუცველ ფენას წარმოადგენენ და პოლიცია მათ ცრუ ჩვენების მიცემაში 5 ლარს უხდის.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**ზუგდიდი.** გუშინ, გამთენიისას, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. დანებითა და ავტომატებით შეიარაღებული სამი ნიღბიანი პირი თავს დაესხა სიჭინავების ოჯახს. ოჯახის წევრებმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწიეს, რის შედეგადაც დაიჭრა ოჯახის უფროსი მურმან სიჭინავა. მისმა მეუღლემ მაყვალა სიჭინავამ მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინა. ჩხოროწყუს პოლიციის უფროსის ბადრი პაჭკორიას ხელმძღვანელობით შექმნილმა ოპერატიულმა ჯგუფმა ერთ-ერთი ბოროტმოქმედი - ვეფხია სიჭინავა ცხელ კვალზე დააკავა. ორი თავდამსხმელი მიიმალა, მიმდინარეობს მათი ძებნა. ვეფხია სიჭინავას საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულია ნიღბები, დანა და 19 გრ ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანა". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** აჭარის პროკურატურასთან გუშინ, საღამოს, ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ლიდერის დის ქმარი თეიმურაზ კომახიძე გამოჩნდა. ის აჭარის პროკურატურის მიერ აბაშიძეებისთვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის მოთხოვნით სასამართლოში სარჩელის შეტანას აპროტესტებს. აბაშიძეებისა და მათი ახლობლებისთვის ჩამოსართმევი ქონების ნუსხაში კომახიძის მეუღლის ნარგიზ აბაშიძის ქონებაც მოხვდა. თეიმურაზ კომახიძე აცხადებს, რომ ამ ჩამონათვალში შეიტანეს მისი ქალიშვილის, ხათუნა აბაშიძის ოროთახიანი ბინა, ნარგიზა აბაშიძის კუთვნილი "მერსედესი" და ორი მაღაზია ერას ქუჩაზე, რომელიც ოჯახს ამ დროისათვის გაქირავებული აქვს. კომახიძე ირწმუნება, რომ ამ მაღაზიებიდან შემოსულ თანხებს ოჯახი ეკლესიების მშენებლობისთვის რიცხავდა. **ინტერ-პრესი**



# "ჩვენი მიზანი ვინმეს დასჯა კი არა, წესრიგის დაცვაა"



"წესიერება და პატიოსნება - ეს იყო ის ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც საპატრულო პოლიციაში მოხვედრის მსურველებს უყენებდნენ."

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*საპატრულო პოლიცია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, თუმცა მისი მუშაობის პრიორიტეტები უკვე მკვეთრად გახლავთ გამოკვეთილი. "ჩვენი მიზანი ვინმეს დასჯა კი არა, წესრიგის დაცვაა," - ამბობს საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი სოსო ჩიხლაძე.*

**- როგორც ცნობილია, საპატრულო პოლიციაში მოსახვედრად მსურველებს გარკვეული, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების დაკმაყოფილება სჭირდებოდათ. რა პრინციპით შეირჩა კადრები საპატრულო პოლიციისთვის?**

- წესიერება და პატიოსნება - ეს იყო ის ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც საპატრულო პოლიციაში მოხვედრის მსურველებს უყენებდნენ. სუფთა, შეუბღალავი ბიოგრაფიის მქონე ხალხს ათი საფეხურით მაღლა ვაყენებდით კადრების შერჩევისას, ვიდრე მეტად მცოდნე, მაგრამ შელახული რეპუტაციის პრეტენდენტებს. ამასთან, აუცილებელი გახლდათ, არა მაინცდამაინც იურიდიული განხრით, მაგრამ უმაღლესი განათლების ქონა. თუმცა, მიუხედავად დიპლომის წარმოდგენისა, ჩვენ შესაბამის ცოდნას მაინც ვამოწმებდით, რადგან ცნობილია, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი ბევრს აქვს, შესაბამისი ცოდნა კი ხშირად არ გააჩნიათ. ტესტირების დროს კითხვები არც ისე რთული იყო, მაგრამ ბევრი ამასაც კი ვერ ძლევდა. შესაბამისად, სამი ნაკადის ფარგლებში 6000 მსურველიდან 1500 საუკეთესოსი კი არა, შედარებით უკეთესის შერჩევაც კი გაჭირდა. ასე რომ, ახლაც ვერ ვიტყვი, რომ ეს შერჩეული ხალხი ის დონეა, რისი მიღწევაც საბოლოო ჯამში გვინდა და მათ ზედმიწევნით კარგად შეუძლიათ იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც მოეთხოვებათ. მაგრამ, ისიც მინდა ვთქვა, რომ ძირითადი ნაწილი მაინც ის ადამიანები არიან, რომელთაგანაც უახლოეს მომავალში კარგი საპატრულო პოლიციელები დადგება. მათ გაიარეს ორკვირიანი დაჩქარებული კურსი, თუმცა კურსების გავლა არ გახლდათ საბოლოო ეტაპი საპატრულო პოლიციაში მუშაობის დასაწყებად. ახლა, თითქმის ყოველდღე ხდება იმ კურსებგავლილი პრეტენდენტების ტესტირება, რომლებიც საპატრულო პოლიციელებად შესაძლოა დაინიშნონ. ანუ, მუშაობის დაწყებამდე ორმაგი გადარჩევა ხდება, მერე კი მათ მუშაობის პროცესში ვაკვირდებით.

კადრების შერჩევა ვიზუალურადაც ხდებოდა. ვერ გეტყვით, რომ გვქონდა ზუსტი სტანდარტი, ვთქვათ, სიმაღლის, სპორტული ფორმის თვალსაზრისით, მაგრამ ვცდილობდით, რომ კარგი შესახედაობის მქონეები შეგვერჩია - ისეთები, რომლებიც ფიზიკურადაც განაწყობენ ადამიანს კონტაქტისკენ.

ასევე, ელემენტარული ეთიკის ნორმების ცოდნას ვთხოვდით, სულ ცოტა, კარგი მისალმება უნდა სცოდნოდათ. თითქოს ხომ სასაცილოა, მაგრამ წარმოიდგინეთ, ამ თვალსაზრისით ძალზე ბევრი დავიწუნეთ.

**- საბოლოო დაკომპლექტების შედეგად ყოფილ საგზაო პოლიციელთაგან ბევრი თუ აღმოჩნდა საპატრულო პოლიციაში?**

- ნამდვილად, გარკვეული ნაწილი მათ შორის, ვინც საპატრულო პოლიციელად დაინიშნა, ყოფილი საგზაო პოლიციელია. ჯერ ერთი, რომ ჩვენ არ გვინდოდა, ამ საქმისთვის ყველა მათგანი ჩამოგვეშორებინა, მით უმეტეს, რომ ახალი თანამშრომლები ზოგიერთ საკითხებში აბსოლუტური დილეტანტები არიან და გვერდით მათ გამოცდილი ადამიანები სჭირდებათ. მეორე გახლავთ ის, რომ, ვიცით, როგორ მუშაობდნენ ისინი, მაგრამ ამას მეორე მხარეც აქვს - მათ გააჩნიათ დიდი გამოცდილება, ადრე კი მუშაობდნენ ისე, როგორც ავალებდნენ. ახლა მათ გამოცდილებას თუ სასიკეთოდ გამოვიყენებთ, ცხადია, ურიგო არ იქნება. ცხადია, მათზე, ისევე როგორც სხვა ყველაზე, უმკაცრესი კონტროლია დაწესებული. ამასთან, ყველა გაფრთხილებული მყავს, რომ თუ ვინმესგან მიიღებენ ისეთ დავალებას, რომლის შესრულებაც მათ ფუნქციებში არ შედის, ან ვინმე რაიმე არასათანადო თხოვნით მიმართავს, მაშინვე დამიკავშირდნენ, ჩემი ტელეფონის ნომერი ყველა მათგანმა იცის. მართლაც უსინდისო უნდა იყოს ადამიანი, რომ კარგი ხელფასის მქონემ, როდესაც ფორმით, მანქანით, საწვავით უზრუნველყოფილია, კიდევ რაიმე უწესობა ჩაიდინოს. მაგრამ ასეთები მაინც არიან.

**- საპატრულო პოლიციის აღჭურვილობაში ცეცხლსასროლი იარაღისა და ელექტროშოკის აპარატის გამოჩენამ ბევრის აღშფოთება გამოიწვია. რა შემთხვევებში შეუძლიათ მათ იარაღისა და ელექტროშოკის გამოყენება?**

- ახლავე მინდა ყველა გავაფრთხილო - საპატრულო პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევას არავის ვურჩევ. ჯერ ერთი, მათი მანქანის შესაძლებლობების გათვალისწინებით, მათგან გაქცევა წარმოუდგენელია. ისინი ყოველმხრივ კარგად არიან აღჭურვილნი - ფარნით, მანქანისა და გადასატანი რადიომიმღებებით, ისრაელის წარმოების იარაღით "იერიჰონი", ელექტროშოკის აპარატით. ყველა ამ საშუალებას ისინი შესაბამისად გამოიყენებენ. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ გამოიყენონ ხელჯოხი, ელექტროშოკი, ცხადია, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ისევე როგორც იარაღის - მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კანონის დამრღვევი შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს, რის შედეგადაც მის ან მოქალაქის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

**- საპატრულო პოლიციას დიდი უფლება-მოვალეობები აქვს მინიჭებული. და მაინც, აქცენტი რაზე კეთდება?**

- ცხადია, ასე ვერ გამოვყოფ რომელიმე მიმართულებას. როგორც მოგეხსენებათ, საპატრულო პოლიცია სამი გაუქმებული სტრუქტურის უფლება-მოვალეობებს ითავსებს. ესენია - საგზაო, ადმინისტრაციული და ეკოლოგიური პოლიციები. ყველა ის ფუნქცია, რომელიც საპატრულო პოლიციას აკისრია, ზედმიწევნით უნდა შესრულდეს. თუმცა, უპირველესი მაინც ის გახლავთ, რომ საპატრულო პოლიციამ ხალხის ნდობა მოიპოვოს, ისეთ დანაყოფად ჩამოყალიბდეს, რომლის დახმარების და სამართლიანობის იმედიც ექნებათ. მათი მიზანი ვინმეს დასჯა კი არა, წესრიგის დაცვაა. ამიტომაც ვაფრთხილებ ჩემს თანამშრომლებს, ნურასოდეს იმოქმედებენ ჩასაფრებულის პოზიციიდან, ღამით ყოველთვის ციმციმებჩართული მანქანით იმოძრაონ - ეს დანაშაულის პრევენციას შეუწყობს ხელს: ხალხმა იცოდეს, ახლოს რომ არიან, რომ ცუდის მქმნელი ავის ჩადენას მოერიდოს, პოტენციურმა მსხვერპლმა კი იცოდეს, რომ პატრული ახლოსაა და მათი იმედი უნდა იქონიოს.

ჩემმა თანამშრომლებმა ისიც იციან, რომ უმნიშვნელო დარღვევისთვის ადამიანი არ უნდა დააჯარიმონ. კი, რა თქმა უნდა, გააჩერებენ, მიანიშნებენ, რომ დაარღვია, მაგრამ თუ დარღვევა უმნიშვნელოა და მძღოლიც ამის გამო ბოდიშს იხდის, არ დააჯარიმებენ, არ დასჯიან, მოუწოდებენ, რომ ეს აღარ გაიმეოროს. სამაგიეროდ, ვაფრთხილებ, რომ არ მოერიდონ არავის, კოლეგა იქნება, მაღალი თანამდებობის პირი თუ სხვა. ამასთან, ყველას, მით უმეტეს - გავლენის მქონე პირებს, მოვუწოდებ, რომ გაგებით მოეკიდონ საპატრულო პოლიციელთა საქმიანობას და მათ მითითებებსა და მოთხოვნებს დაემორჩილონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ დი-

---

**თუ შეამჩნევთ, რომ ქუჩასა თუ ავტომაგისტრალზე ვინმე არღვევს საგზაო მოძრაობის წესებს, რითიც საფრთხე ექმნება ადამიანების უსაფრთხოებას, თუ შენიშნეთ რაიმე კანონდარღვევა, ან შეიქმნებით ექსტრემალური სიტუაციის მომსწრე, დარეკეთ:**

# 80-02

**ამ ნომერზე მობილური ტელეფონიდანაც კი უფასოდ დაუკავშირდებით საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამორიგეო ნაწილს. იგივე სახის ინფორმაცია შეგიძლიათ მიაწოდოთ ტელეფონის ნომერზე:**

# 53-11-50

**თუ კანონდარღვევა დედაქალაქშია შემჩნეული, ამის შესახებ უნდა აცნობოთ თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამორიგეოს ტელეფონის ნომერზე:**

# 77-50-61

## ხალხის აზრი

**ხათუნა ბრეგვაძე, 24 წლის**: სანაპიროზე მეგობრები ჩემი მანქანით მოვდიოდით. მოულოდნელად საბურავი გამისკდა და შუა გზაში გავჩერდი. საბურავის გამოსაცვლელად ხელსაწყოები არ მქონდა, თანაც, მოგეხსენებათ, ქალისთვის საკმაოდ რთული და არცთუ სასიამოვნო სამუშაო მელოდა. ცოტა ხანში საპატრულო პოლიციის მანქანა გაჩერდა. პატრულმა გვკითხა, რა გვიჭირდა. სიმართლე გითხრათ, მათი დახმარების იმედი არც მქონია, რადგან რამდენიმე წელია მანქანა მყავს და შეჩვეული ვარ, პრობლემის შემთხვევაში, საგზაო პოლიციის მხრიდან გულგრილად, ირონიული რეპლიკების სროლით, გვერდით ჩავლას. პატრულებმა კი, ჩვენი პრობლემა რომ გაიგეს, მანქანა შუა გზიდან გვერდზე გადააყენეს, შემდეგ თვითონვე გამოგვიცვალეს საბურავი, ზრდილობიანად დაგვემშვიდობნენ და წავიდნენ. მე და ჩემი მეგობრები გაკვირვებულები დავრჩით.

**ზვიად აფხაზავა, 32 წლის:** როგორც მოგეხსენებათ, აქამდე საგზაო წესების დარღვევა ნებისმიერი მძღოლისთვის ჩვეულებრივ მომენტად ითვლებოდა. იმ შემთხვევაში, თუ საგზაო პოლიციელი გაგვაჩერებდა, 2 ან 5 ლარს ვიხდიდით და პრობლემაც ამით მთავრდებოდა. თანაც, დასახელებული თანხის გადახდა აქამდე არაფრად მიგვაჩნდა.

მას შემდეგ, რაც საპატრულო პოლიცა გამოვიდა, მეც და ჩემი მეგობრებიც, რომლებსაც მანქანა ჰყავთ, ვაღიარებთ, რომ აშკარად ვცდილობთ, საგზაო წესები არ დავარღვიოთ. მართალი გითხრათ, ძალიან გვიჭირს. ამ რამდენიმე დღის წინ ვაჟა-ფშაველას გამზირზე მოვდიოდი. მოგეხსენებათ, ამ ქუჩაზე ცალმხრივი მოძრაობაა და დაწესებული სიჩქარის დაცვას არავინ ფიქრობს. მოულოდნელად გავაცნობიერე, რომ ყველა მანქანა, მათ შორის - მეც, 40 კილომეტრი სიჩქარით ვმოძრაობდით. ამის მიზეზი კი ჩვენს წინ მიმავალი საპატრულო პოლიციის მანქანა იყო. წარმოიდგინეთ, ვერც ერთმა მძღოლმა ვერ შეძლო, რომ მისთვის გადაესწრო. ასე ვიარეთ იქამდე, ვიდრე პატრულებმა არ გადაუხვიეს.

ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ საპატრულო პოლიციის გამოჩენის შემდეგ ყველა მძღოლი ცდილობს, კანონმორჩილი გახდეს. ამის ერთი-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ჯარიმა საკმაოდ გაიზარდა. უფრო სწორად, არაოფიციალური გადასახადის ნაცვლად, ახლა ჯარიმის გადახდა გვიწევს. ოფიციალურად, ელემენტარული საგზაო წესების დარღვევა 20-25 ლარი ღირს. ეს კი ის თანხაა, რისი გადახდაც ყოველწუთს, ან თუნდაც ყოველდღე, ხელფასზე მყოფი ადამიანისთვის იოლი არ არის.

**სამარშრუტო ტაქსის მძღოლი, 47 წლის** (იგი საკუთარი გვარის დასახელებისგან მაინც თავს იკავებს): მართალია, რომ სამარშრუტო ტაქსის მძღოლებს საგზაო წესების დარღვევა სისტემატურად გვიწევს, მაგრამ ეს ხშირად მხოლოდ ჩვენი მიზეზით არ ხდება, მოგეხსენებათ, ქალაქში კანონს არავინ იცავს, მაგრამ აქცენტი მხოლოდ ჩვენზე კეთდება. არსებობს სხვა მიზეზებიც. იმ შემთხვევაში, თუ კანონს ვარღვევთ, ჯარიმას ვიხდით. ძირითადად, ვარჩევთ, თანხა საპატრულო პოლიციასვე გადავუხადოთ, რათა ბანკში წასვლით დრო არ დავკარგოთ. ისინი ოქმს, ჯერჯერობით, ყოველთვის ადგენენ, მაგრამ არ მგონია, მომავალშიც ასე გაგრძელდეს. არის შემთხვევები, როდესაც პატრული უმიზეზოდ გვდებს შარს. რამდენიმე დღის წინ შუქნიშანი მწვანეს ანიშნებდა და უპრობლემოდ გავიარე, ცოტა ხანში საპატრულო პოლიცია დამეწია და გამაჩერა. თავიდან გამიკვირდა, ვიცოდი, რომ არანაირი დარღვევა არ მქონდა. პატრული მიმტკიცებდა, წითელზე გაიარეო. ისინი სამნი იყვნენ, მე კი სამარშრუტო ტაქსში მხოლოდ ერთი მოხუცი ქალი მეჯდა, რომელსაც შუქნიშანი საერთოდ არ დაუნახავს. რას გავხდებოდი? ასე გადამახდევინეს 25 ლარი.

24 საათი

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს სახელმწიფო დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მიწოდების სტაბილურობა.

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

## რეფორმა თუ სკანდალი



ქორეოგრაფიული სასწავლებლის საქმე სასამართლოში

B2

## "იმედია, მედეას ჩემი სიტყვები არ ესმის"



რატომ ჩამოვიდა ჰანს შაიბი?

B3

## დიდი სიხარულის მოლოდინში



"ლამაზმანი" ახალ ცხოვრებას იწყებს

B7

# მე ამისგან გავაკეთებ!..

*ვინც ვერ გაიგო, რომ სიყვარული ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადი, ის ვერასოდეს აფრინდება. თუ ამ ჭეშმარიტებას ჩასწვდები და ცაში აიჭრები, აქ, ამ ცოდვილ მიწაზე, აუცილებლად შერეკილად შეგრაცხავენ. ვერავინ დაიჩემებს, რომ ყველა აკვიატებული აზრი მეცნიერული აღმოჩენის საწინდარია. იდეის მარცხი ხშირად შოკსაც იწვევს (პლუს-მინუს უსასრულობა), მაგრამ რომ არა ასეთი აზრები, ჩვეულებრივი ბორბალი ველოსიპედად ვერ გარდაიქმნებოდა.*

სოფიო თოდუა

### არის იდეა

აკვიატებული იდეებით შეპყრობილი ადამიანები კი, იცოცხლე, მრავლად არიან. იდეასაც გააჩნია. ზოგი თვლის, რომ ასომთავრულ დამწერლობაში მეორედ მოსვლის საიდუმლოა დამარხული. ზოგმა ზუსტად იცის, სად უნდა გათხაროს თამარ მეფის საფლავი. ისეთებსაც წააწყდებით, ქართულ ორნამენტებში კაცობრიობის ისტორიის ამოკითხვას რომ ახერხებენ. ჩვენგან შორს ასეთივე ალტყინებით ეძებენ გრაალის თასს, მეფე ართურის საფლავს და, თქვენ წარმოიდგინეთ, პერპეტუუმმობილეს შექმნაზეც მუშაობენ. სიცოცხლის ელიქსირის მიღებაზე თანამედროვე ჰომო საპიენსმა ხელი ჩაიქნია, მაგრამ შუა საუკუნეების ადამიანიც ასეთივე პესიმისტი რომ ყოფილიყო, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ჩამოყალიბება გაცილებით გვიან მოხდებოდა.

ოცდამეერთე საუკუნე თანამედროვე გამომგონებლებს ახალ პირობებს კარნახობს. იმისათვის, რომ იყო გამომგონებელი, მხოლოდ აკვიატებული იდეები აღარ კმარა - პირველ რიგში საჭიროა ფული, რომ იდეა რეალობად იქცეს და მასზე დახარჯული თანხა ერთი-ორად გაიზარდოს. ამიტომ გონიერი ხალხი ყველა ახალ გამოგონებას ან გაუმჯობესებას იმთავითვე სახელს არქმევს და ინტელექტუალურ საკუთრებას იურიდიულად იკანონებს. "საქპატენტის" არსებობის 12 წლის თავზე დიაგრამებსა და გრაფიკებში გამოსახული სტატისტიკური მონაცემები ბევრზე მეტყველებს, ერთის გარდა: მათ მიერ მოწონებული პროექტებიდან რამდენი დაინერგა და სად იყრის თავს დაწუნებული წინადადებები?

"საქპატენტის" ბიულეტენები ცხადყოფს, რომ ქართველი გამომგონებლები წარმოსახვის უნარს მოკლებულნი არ არიან. ამთავითვე მინდა განვმარტო, რომ პატენტი ენიჭება გამოგონებას, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშს, სასაქონლო ნიშანზე კი ნებართვა გაიცემა. ეს ნიშნავს: თუ მფრინავ თეფშს ააწყობ, გამოგონების ავტორი გახდები; თუ უკვე არსებული მფრინავი თეფშის ძრავას გააუმჯობესებ, მაშინ სასარგებლო მოდელის პატენტს მოგანიჭებენ. მფრინავ თეფშს დიაზაინს თუ შეუცვლი, სამრეწველო ნიმუშის პატენტს გამოჰკრავ ხელს, ხოლო თუ რომელიმე მფრინავ თეფშზე ამ საფრენი აპარატის გამომშვების ემბლემას დააფიქსირებ, სასაქონლო ნიშნის სრული ბატონ-პატრონი ხდები და ასეთი მფრინავი თეფში მხოლოდ შენი საკუთრება ხდება. კანონის თანახმად, "საქპატენტმა" შემოსულ წინადადებაზე დასკვნა 6 თვის განმავლობაში უნდა გასცეს, მაგრამ იმავე კანონის ფარგლებში, ამ ვადის საგრძნობლად გაჭიანურებაც დასაშვებია. უმთავრესად ეს იმ გამოგონებებს ეხება, რომელთაც შესაძლოა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდეთ. ასეთ შემთხვევაში პატენტის გაცემამდე "კომპეტენტური" სტრუქტურების დასკვნაა საჭირო. ისევ სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე მეტი განაცხადი გამოგონებებზე 1992-93 წლებში შემოსულა. მიზეზი გასაგებია - არა საბჭოთა მოდელს მორგებული "საქპატენტი" 1992 წელს დაარსდა, თანაც ეს ის დროა, როცა გარეთ გასვლას ყველა ერიდებოდა და საღამოობით ლამფის შუქზე, ვინ იცის, რაზე არ ოცნებობდა შეჭირვებული ქართველი.

მაგრამ ქართველების გარდა საქართველოში უცხოელებზეც გაიცემა პატენტი, შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებსაც აქვთ თავიანთი გამოგონებების სხვაგან დაპატენტების უფლება. ზოგჯერ ციფრებითაც მიხვდები, როგორ სახელმწიფოში გიხდება ცხოვრება: უცხოელი აქ იშვიათად აპატენტებს გამოგონებას და სამრეწველო ნიმუშებს, სამაგიეროდ სრულად ითვისებს საქართველოს ბაზარს, სხვადასხვა დანიშნულების საქონელი შემოაქვს და მოწმობებიც სასაქონლო ნიშნებზე უმთავრესად მათზეა გაცემული. ისეც ხდება, რომ ჯერაც არაფერი გვსმენია ამა თუ იმ პროდუქციაზე, მისი სასაქონლო ნიშანი კი უკვე რეგისტრირებულია, რადგან ქართველი ბიზნესმენისაგან განსხვავებით, უცხოელები მოგებას რამდენიმე წლის თავზე ელიან და თადარიგს წინასწარ იჭერენ. სხვათა შორის, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი კომფორტული შენობა, სადაც ამჟამად "საქპატენტია" განთავსებული, სწორედ წინდახედული უცხოელების დამსახურებაა, რადგან ქართველ გამომგონებლებთან შედარებით, მათ ქართული პატენტის მოპოვება საკმაოდ ძვირი უჯდებათ. თუ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს გამოგონებაზე პატენტის აღება საშუალოდ 30 ლარი უჯდება, იგივე უცხოელს 600 დოლარი დაუჯდება. ამას ემატება პატენტრწმუნებულის მომსახურების ხარჯებიც, რადგან სხვა ქვეყნის მოქალაქე საქართველოში პატენტს აქაური პატენტრწმუნებლის გარეშე ვერ აიღებს. შესაბამისად, როცა საქართველოს მოქალაქე გადაწყვეტს სადმე სხვაგან თავისი გამოგონების დაპატენტებას, მან პირველ რიგში იმ ქვეყნის პატენტრწმუნებლს უნდა მიმართოს. პატენტრწმუნებული - ეს ნიშვავს, ერთდროულად იყო პატენტმცოდნე, იურისტი და ტექნიკური დარგის სპეციალისტი. ასეთები კი ჩვენს ქალაქში ნაკლებად არიან და აქტიურად ამ საქმით მხოლოდ ხუთი-ექვსი კაცი თუა დაკავებული.

როცა საქმე სერიოზულ გამოგონებასთან გაქვს, წინასწარ იცი, სახელმწიფო გვერდში არ ამოგიდგება და შენი იდეა იდეადვე (იქნებ იდეა ფიქსადაც?) დარჩება, ბუნებრივია, შენც გიჩნდება უცხოეთში დაპატენტების სურვილი. ამ სურვილის ასრულებას საკმაოდ სოლიდური თანხა სჭირდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პატენტს გამოგონებაზე დროთა გავმავლობაში ვადა გასდის და დაახლოებით ოცი წლის შემდეგ იგი ყველასათვის ხელმისაწვდომია. ტექნიკის განვითრების ტემპის გათვალისწინებით, ყველა გამოგონება, ადრე თუ გვიან, ძველდება და მისი ახლით შეცვლა აუცილებელა. ამდენად სიახლის დროული დანერგვა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. ერთი სიტყვით, სქემა ასეთია: არის იდეა (გამომგონებელი), არის ამ იდეის გაფორმების საშუალება ("საქპატენტი"), მაგრამ არ არის უკვე გამოგონებულის დანერგვის საშუალება. ასე, რა თქმა უნდა, ჩვენთან ხდება, თორემ კარგ ქვეყნებში არათუ მოწონებულ პროექტებს ახორციელებენ, დაწუნებულ წინადადებებსაც საგულდაგულოდ ინახავენ და თუ საჭირო გახდება, მათგანაც გამოადნობენ რაღაცას.

დღევანდელი გადმოსახედიდან "საქპატენტი" შეიძლება გამართულად მუშაობს, მაგრამ ეს ის სტრუქტურაა, რომელიც ერთდროულად რამდენიმე ფუნქციას ითავსებს: ყველა განაცხადი "საქპატენტში" იყრის თავს, მათი განხილვაც აქვე ხდება და ვერდიქტიც მათვე გამოაქვთ. მინდა მჯეროდეს, რომ აქ მართლაც პროფესიონალები მუშაობენ და გამომგონებლებსა და "საქპატენტის" თანამშრომლებს შორის გარიგებები არ იდება. მაგრამ ამ სამსახურის ალტერნატიული სტრუქტურა რომ არსებობდეს, ან რომელიმე რგოლს სხვა განაგებდეს, ალბათ გამომგონებელი უფრო გულდამშვიდებული შეაღებს "საქპატენტის" კარს. პატენტის გაცემის შემთხვევაში მისი მიმღები დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იგი ინეტლექტუალური საკუთრების ერთადერთი მფლობელია და მის გამოგონებას თუ გაუმჯობესებულ მოდელს ანალოგი არ მოეძებნება. სამწუხაროდ, "საქპატენტში", მეტადრე სასარგებლო მოდელების შემთხვევაში, ვერავინ დაიჩემებს, რომ იგივე სიახლე სხვაგანაც არაა დანერგილი. ეს კი ნიშნავს, რომ ერთხელაც შეიძლება ვინმემ იჩივლოს და მერე უკვე სასამართლოს გზით დადგინდეს, ვინა არის ბოლოს და ბოლოს ინტელექტუალური საკუთრების ავტორი.



*შალვა ლეფსვერაძე რამდენიმე სასარგებლო მოდელის ავტორია მექანიზაციის დარგში. მისი ბოლო ორი მოდელი "ვაზის თავის გადასაჭრელი მანქანა" და "ზურგსაკიდი სასხურებელი" დიდად წაადგება ქართველ გლეხს.*

### არაჩვეულებრივი გამოფენა

მაინც, რას იგონებენ ქართველი გამომგონებლები? რას არა - მედიკამენტებით დაწყებული, ბოთლის თავსახურებით დამთავრებული. ვიღაც იგონებს ყვავილის ქოთანს, ვიღაც კი თმის საიმპლანტაციო მიკროხვეულების რაოდენობის აღრიცხვის ხერხს ადგენს. ყვავილის ქოთანი რომ საჭიროა, მეც და თქვენც ვიცით, მაგრამ თმის გადანერგვის პრობლემა თუ არ გიდგათ, მაშინ თითოეული გადასანერგი თმის დათვლა სიგიჟედ მოგეჩვენებათ. არიან ისეთებიც, საფრინველეს ანუ საქათმეს რომ აპატენტებენ და ასეთი საქათმე აუცილებლად განსხვავდება ჩვეულებრივი საქათმეებისაგან. ტყემალსაც ყველა ოჯახში ადუღებენ, მაგრამ ვინმე თუ საწებელას აპატენტებს, უნდა ირწმუნოთ, რომ ამ საწებელის მსგავსი არც ერთ სუფრაზე არ გაგისინჯავთ. უფრო იოლი დასაჯერებელია, რომ საქართველოშიც შეიძლება გამოიგონონ წყლის ფილტრი, ესა თუ ის კოსმეტიკური საშუალება, რაღაც ახლებური სკის სექციური ჩარჩო, განსხვავებული დარაბა, ავტომატური პისტოლეტი, ტრავმატოლოგიური ფიქსატორი თუ სულაც საარჩევნო ბიულეტენი, რომლის გაყალბება არც ისე იოლია. ამ ერთი შეხედვით უცნაური, ზოგჯერ სასაცილო გამოგონებების უკან მხოლოდ მათი ავტორები არ დგანან - ესეც, სხვათა შორის, კაპიტალია, მაგრამ ამ კაპიტალს რატომღაც ჩვენი ხელისუფლება ეჭვის თვალით უყურებს.

ალბათ გინახავთ სადღესასწაულო ტორტი - აი, ისეთი, ქორწილებში ნეფე-პატარძალს რომ მიართმევენ. სადღაც მესამე ფენზე ამაყად ყელყელაობს თეთრი გედი, რომელსაც ბოლოს ოფიციანტები უსინჯავენ გემოს. ყელაშავი დამწვარი ბული ეს გედი კონსტრუქციული სიახლეა და მისი ავტორი **მანანა ქაროსანიძე გახლავთ.** დღეითობით გამოჯდილ კონდიტრებს, ყველა შეძლებს ასეთი გედით ტორტის მორთვას? არადა, ეს სასარგებლო მოდელი ერთობ პროზაული სახელწოდებითაა დაპატანტებული: **გედის ფორმის საკონდიტრო ნაწარმი.**

მაინც, რატომ არის "**სიგარეტიანი კოლოფი**" სასარგებლო მოდელი? მწეველების გასაგონად ვამბობ: მოწევა რომ გულის დაავადებებს იწვევს, ეს ხომ თქვენც იცით, მაგრამ სიგარეტის გაბოლება ჰეპატიტის ან რაღაც მსგავსი ინფექციური დაავადების მიზეზი რომ არ გახდეს, იქნებ ექიმ-სექსოპათოლოგს **არჩილ ბაქრაძეს** შეაწიოთ რამდენიმე სიტყვა და თამბაქოს მწარმოებელი მსხვილი თუ წვრილი ფაბრიკანტები დაარწმუნოთ, რომ სიგარეტის ღერები კოლოფში თავდაყირა ჩააწყონ. როცა თამბაქოს გაბოლება ექსტრემალურ პირობებში გიხდებათ და ხელის დაბანვას ვერ ახერხებთ, კოლოფის გახსნისას ფილტრს არ შეეხებით და, შესაბამისად, მავნე მიკრობი თქვენს ორგანიზმში აღარ მოხვდება. ესეც შენი გამოგონება - მარტივი და სასარგებლო, თანაც ისეთი, არანაირ დანახარჯებს რომ არ მოითხოვს.

**შალვა ლეფსვერაძე** რამდენიმე სასარგებლო მოდელის ავტორია მექნიზაციის დარგში. მისი ბოლო ორი მოდელი "**ვაზის თავის გადასაჭრელი მანქანა**" და "**ზურგსაკიდი სასხურებელი**" დიდად წაადგება ქართველ გლეხს. პირველის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს დანადგარი მინიტრაქტორზე მაგრდება და თუ საშუალოდ ერთი ჰექტარი ვენახის გასხლვას ხელით ხუთი კაცი სჭირდება, იგივე სამუშაოს მინიტრაქტორზე დამაგრებული აპარატით ერთი კაცი ერთ საათში მოათავებს. ასეთი მანქანის დამზადება არც ისე ძნელია და სერიული წარმოების შემთხვევაში დაახლოებით 160 ლარი ეღირება. რაც შეეხება მეორე მოდელს (მისი ფასი სავარაუდოდ 75 ლარს არ აღემატება), ისიც მევენახეობაში გამოიყენება და ჩვეულებრივ შესასხურებელ აპარატებისაგან იმით განსხვავდება, რომ ხელის ტუმბოს ნაცვლად ავტომატური მექანიზმი ცვლის. გლეხების არ ვიცი, ჩემზე ჯანსაღები არიან, ალბათ, მაგრამ მე მგონია, მათაც არ უნდა ეხალისებოდეთ დიდად ვენახის "ტრადიციული" მეთოდით შეწამლვა.

მაწონზე მოგახსენებთ. მაღაზიებშიც იყიდება კარგი მაწონი, მაგრამ ისეთი არა, მემაწვნეებს რომ დააქვთ სახლებში. ჰოდა, საქპატენტის ბიულეტენებში ასეთი ჩანაწერიც ჩნდება: "**ქართული გლეხური მაწვნის მიღების ხერხი**" ("**თ. მ. და კომპანია**"). ხერხი არ ახალია, ძველია, სამაგიეროდ მაწონია ეკოლოგიურად სუფთა. სხვათა შორის, საქართველოში კამეჩის მაწვნის გემოც იციან და მისი მიღების წესიც ცნობილია. იყო დრო, პლეხანოვზე საგანგებო მაღაზიაში მხოლოდ კამეჩის მაწონი იყიდებოდა. დღეს არათუ ასეთ მაღაზიას, კამეჩსაც იშვიათად შეხვდებით. ამის მიუხედავად, იმედი მაქვს, გლეხური მაწვნის მიღების წესში მხოლოდ ძროხის რძისგან დამზადებული პროდუქტი არ იგულისხმება და ჩვენ თუ არა, უცხოელები მაინც გაუსინჯავენ გემოს ქართული კამეჩის მაწონს. ამას იმადაც მოგახსენებთ, რომ ეს მსხვილფეხა პირუტყვი მხოლოდ აზიისა და აფრიკის სამხრეთით ბინადრობს და დედამიწის დანარჩენ ნაწილში უცხო პროდუქტი, არა კეფირი და არა იოგურტი, წარწერით - made in Georgia - იქნებ უკეთაც გაიყიდოს.

ჰაერში აფრენა და საფრენი აპარატების გამოგონების მცდელობა ძალზე სერიოზული სიმპტომია მათთვის, ვისაც მხოლოდ ხუთი გრძნობა გააჩნია. მაგრამ ერთხელ თუ გარისკავ და საჰაერო ბურთით რამდენიმე მეტრზე მაინც მოწყდები მიწას, ... **ვლადიმერ მალოვიჩკო, გიორგი კოლაძე და კონსტანტინე სლოვინსკი** ასეთ სასარგებლო მოდელს აფიქსირებენ: "**ჰაერზე მსუბუქი აირით შევსებული მისაბმელი აეროსტატი ან დირიჟაბლი**". ჰაერზე მსუბუქი ჰელიუმია, მისაბმელი აეროსტატი კი ისეთი საჰაერო ბურთია, ძალიანაც რომ გინდოდეს, შორს ვერ გაფრინდები, თუმცა ამ გამოგონების ავტორების სიტყვით საჰაერო ბურთებით ბევრი უფრენიათ დიდ დისტანციებზე. მისამხედრო საჰაერო ბურთი სპეციალური ბაზალტის საფარითაა დაცული და მას ტყვია ვერაფერს დააკლებს. ასეთ საჰაერო ბურთებს უმთავრესად სათვალთვალოდ იყენებენ, რადგან მასზე დამაგრებული რადარი 40 კილომეტრის რადიუსში ყველა გადაადგილებას ზემიწევნით ზუსტად აღრიცხავს. ჰოდა, დაკიდეთ ჰაერზე მსუბუქი ბურთი სადაც გინდათ და მერე უკვე თქვენი გადასწყვეტია, ლალი ირმების ჯოგს დააკვირდებით თუ ნარკობარონების ჯიპებს. სხვათა შორის, ასეთ ბურთებში ბავშვებიც შეგიძლიათ ჩასხათ და უსაზღვრო სიამოვნება მიანიჭოთ. ბარემ აქვე გეტყვით, ერთხელაც ცაში თუ აიხედავთ და ბევრ საჰაერო ბურთს დაინახავთ მოწმენდილ ცაზე, იცოდეთ, ამ ქარავან-ფიესტამ დიდი აბრეშუმის გზა ჰაერ-ჰაერ გამოიარა და თბილისს მოადგა. ამ პროექტის ავტორები ვინც იქნებიან, ისედაც ნათელია - ხომ გვეუბნებოდნენ, ავფრინდებითო.

**H2O** წყლის ფორმულაა და ამ წყალს ჩვენ ყოველდღიური დანიშნულებით დღეში რამდენჯერმე მოვიხმართ. წყალი რომ საწვავად გარდაიქმნეს, ეს იდეა დიდი ხანია კაცობრიობას აწუხებს, მათ შორისაა **დავით ჩაჩანიძეც**. ეს უკანასკნელი კი ამტკიცებს, რომ მან ძრავა წყალზე აამუშავა და წვის შედეგად ისევ წყალი მიიღო. მოვიგეთ ჩვენც და ჩვენმა ქვეყანამაც. მისი ავტორი აწილა ელოდება პატენტს, თუმცა ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოგონება გრიფით "საიდუმლო" დიდხანს დაელოდება კომპეტენტური ექსპერტების დასკვნას. წარმოვიდგინე, ვდგავარ ჩემი სოფლის ღელესთან ბიდონით ხელში და გაკრიალებული ფილტვებით სუფთა ჰაერს ღრმად ვისუნთქავ... მაგრამ მერე გერმანელი გამომგონებლის რუდოლფ დიზელის უცნაური გაუჩინარება მახსენდება და ასე მგონია, მორიგ "ბონდიანას" საქართველოში გადაიღებენ. ეს ხუმრობით, სერიოზულად კი - გაუფრთხილდით წყალს, ვინ იცის, რა ხდება.

ამ ჩამონათვალის გაგრძელება უსაშველოდ შეიძლება, ზოგი უფრო მნიშვნელოვანია, ზოგიც - ნაკლებ მნიშვნელოვანი, თუმცა ყველა მათგანი საბოლოოდ მხოლოდ ქაღალდზე რჩება გამოგონებად თუ გაუმჯობესებულ მოდელად. უცნაურია, მაგრამ ქართველი გამომგონებლების დიდ ნაწილი მხოლოდ იმ მიზეზით ამბობს უარს უცხოურ დაფინანსებაზე, რომ ასეთ შემთხვევაში მათი გამოგონება სხვა ქვეყნის საკუთრება ხდება. სამწუხაროდ, არასახელმწიფო სექტორი გამომგონებლობის დარგში ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ორგანიზაციით, "საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებითაა" წარმოდგენილი, რომელსაც გამომგონებელი და პატენტრწმუნებული თამაზ შილაკაძე ხელმძღვანელობს. 1994 წლიდან დღემდე ქართველი გამომგონებლები სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე რომ იღებენ მონაწილეობას, ეს სწორედ ამ საზოგადოების დამსახურებაა. უნგრეთი, ბელგია, მაროკო, საფრანგეთი... ოქროს მედლები, კომპლიმენტები, სარფიანი წინადადებები... და ისევ უსახსრობის გამო მორიგი გამოფენა-კონკურსების შემდეგ გამარჯვებული ქართული მოდელები საზღვარგარეთ ვეღარ ინერგება. საზოგადოება შემოდგომისთვის საქართველოში აპირებს გამოფენის მოწყობას, მეტიც, ისინი ფონდის დაარსებასაც ფიქრობენ. სიახლეები, რასაკვირველია, უცხოეთშიც დაინერგება და ამით იხეირებს როგორც გამოგონების ავტორი, ასევე სახელმწიფო და თავად ფონდი, რომ სხვა გამოგონებები უკვე საქართველოში დაინერგოს. შემოდგომამდე ცოტა დრო დარჩა. ახალი ექსპოზიცია უდავოდ ახალ პერსპექტივებს დასახავს. საკითხავია, მიხვდებიან თუ არა ქართველი ბიზნესმენები, რომ ცაში ასაფრენად აუცილებელია დოლი, ნაბადი და, რაც მთავარია, საუკეთესო ღვინით სავსე ტიკი.

**P.S.** ბოდიშს ვუხდი იმ უამრავ გამომგონებელს, რომელთა გამოგონებებზე გასაგები მიზეზების გამო ამ წერილში არაფერი თქმულა. იმედს გამოვთქვამ, მათ შესახებ ბევრი საინტერესო პუბლიკაცია დაიწერება და ჩვენი საზოგადოება მეტ გულისხმიერებას გამოიჩენს ამ მართლაც არაჩვეულებრივი ადამიანების მიმართ.



*დავით ჩაჩანიძე ამტკიცებს, რომ მან ძრავა წყალზე აამუშავა და წვის შედეგად ისევ წყალი მიიღო.*

# რეფორმა თუ სკანდალი

## ქორეოგრაფიული სასწავლებლის საქმე სასამართლოში

ვერა ნეფარიძე

*თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ სასწავლებელს ახალი დირექტორი ჰყავს; ძველი კი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევს. სამინისტროში თამაზ ვაშაკიძის თანამდებობიდან გათავისუფლებას სასწავლებელში კარსმომდგარ რეფორმებს უკავშირებენ, თავად ვაშაკიძეს კი მიაჩნია, რომ მის უფლებებს არღვევენ. ამიტომაც ქორეოგრაფმა საქმის გარკვევა სასამართლოს მიანდო.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ქორეოგრაფიული სასწავლებლის ბედზე გუშინ სამინისტროში თამარ ქვარიანი, სასწავლებელში კი თამაზ ვაშაკიძე და ოთარ ბერიშვილი მსჯელობდნენ*

ვიდრე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი ათენში ქართველ სპორტსმენებს გულშემატკივრობს, გიორგი გაბაშვილის უწყება მორიგ "საზაფხულო სკანდალში" გაეხვია. თუკი პირველის (ბორჯომის ფესტივალი) შემთხვევაში წარმატებული გამოდგა მესამე მხარის (ბიზნესმენის) ჩარევა, ამჯერად სამინისტროსა და ქორეოგრაფიული სასწავლებლის საქმეში შუამდგომლობა სასამართლოს მოუწია. ყოველ შემთხვევაში, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს იმედი აქვთ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის ყოფილ დირექტორს, თამაზ ვაშაკიძესა და ადვოკატ ოთარ ბერიშვილს.

ამ ტანდემს კულტურის სამინისტროსთან წარმატებული ბრძოლის გამოცდილება 1996 წელს აქვს მიღებული. ოთარ ბერიშვილმა რვა წლის წინათ თამაზ ვაშაკიძის საქმე მაშინდელი მინისტრის, ვალერი ასათიანის წინააღმდეგ მოიგო. იურისტი დარწმუნებულია, რომ საქმე ამჯერად გაცილებით იოლადაა. "მაშინ ამდენი იურიდიული დარღვევა არ იყო სამინისტროს მხრიდან, ახლა რომაა", - ამბობს ქორეოგრაფიული სასწავლებლის იურისტი. გუშინ, ვიდრე თამაზ ვაშაკიძე ოთარ ბერიშვილთან ერთად პრესკონფერენციაზე სამინისტროში შექმნილი ბრძანებულების იურიდიულ მხარეზე ისაუბრებდა, ქორეოგრაფიული სასწავლებლის გარშემო შექმნილ სიტუაციაში ჩვენი გარკვევა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ თამარ ქვარიანმა სცადა.

სამინისტროში გამართულ გუშინდელ პრესკონფერენციაზე პირველად გაცხადდა, რომ ქორეოგრაფიულ სასწავლებელს 17 აგვისტოს სამინისტროში გაცემული ბრძანების საფუძველზე ახალი დირექტორი ჰყავს. მინისტრის პირველი მოადგილის, გუგა სულხანიშვილის ხელმოწერილი ბრძანების თანახმად სასწავლებელში თამაზ ვაშაკიძე ზვიად ბაქრაძემ შეცვალა. "ჩვენი გადაწყვეტილებით ბატონ ზვიადს დაევალა შეადგინოს სასწავლებლისთვის ახალი დებულება, ჩამოაყალიბოს ახალი სტრუქტურა, რადგანაც სამინისტრო არ იწონებს არსებულ დებულებას და მიაჩნია ის არამართებულად", - განაცხადა გუშინ თამარ ქვარიანმა. მისივე თქმით, როდესაც ახალი დებულება მზად იქნება, სასწავლებელში დაემატება სამხატვრო ხელმძღვანელის შტატი, რომელსაც ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი შეითავსებს. "აუცილებელი იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება. დღეს ქართულ ბალეტს სჭირდება გადარჩენა, ძველი დიდების აღდგენა. ქართულ ბალეტში დღეს კრიზისია და ეს კრიზისი უნდა დაიძლიოს ქორეოგრაფიული სასწავლებლის რეორგანიზაციით. მოვუწოდებ თამაზ ვაშაკიძეს, ნუ შეუშლის ხელს ბალეტის განვითარების პროგრამას. ვაფასებთ მის ღვაწლს, როგორც შემოქმედისას, მაგრამ არა როგორც ორგანიზატორის", - თქვა მინისტრის მოადგილემ და ისიც დაამატა, რომ პირადად მომხრე იქნება, თუკი თამაზ ვაშაკიძე, როგორც პროფესიონალი, დარჩება სასწავლებელში ქორეოგრაფად. ამას გარდა, იმ პრეტენზიებთან ერთად (რაც თამარ ქვარიანმა წინა პრესკონფერენციაზე გააცნო ჟურნალისტებს), მინისტრის მოადგილემ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში არსებული შიდა დაპირისპირებები და გარჩევები ახსენა: "ქორეოგრაფიული სასწავლებელი არ არის შიდა გარჩევების ადგილი. ბალეტი უნდა იყოს შემოქმედებითი, კარგად ორგანიზებული სფერო. მინდა განსაკუთრებით მივაქციოთ ყურადღება, რომ იქ ჩვენი ბავშვები სწავლობენ". მოგვიანებით, ქორეოგრაფიულ სასწავლებელში გამართულ საპასუხო პრესკონფერენციაზე თამაზ ვაშაკიძემ ვერ გვიპასუხა, თუ რას შეიძლება გულისხმობდეს მინისტრის მოადგილე "შიდა გარჩევებში". სამაგიეროდ, ქორეოგრაფმა ისაუბრა იმ ხარვეზებზე, რომელიც, მისი აზრით, უამრავია სამინისტროში შედგენილ ბრძანებულებასა და ზოგადად, ქორეოგრაფიული სასწავლებლის საქმის წარმოებისას.

"უხეშად ირღვევა ჩემი უფლებები. საუბარი არაა მხოლოდ ცილისწამებაზე. სამინისტრო ამჟღავნებს დილეტანტიზმს, კანონს არღვევს ყოველ ნაბიჯზე, მდგომარეობა საგანგაშოა. მოვითხოვ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, შეწყდეს სამინისტროს მიერ კანონის დარღვევა", - განაცხადა თამაზ ვაშაკიძემ; ქორეოგრაფი მინისტრის მოადგილეებს ადანაშაულებს, რომ დროულად არ მიაწოდეს ცნობა დირექტორობიდან გათავისუფლების შესახებ: "ბრძანება ჩემი დირექტორობიდან გათავისუფლებაზე, 23 აგვისტოს შევიტყვე, როდესაც ბრძანება მივიღე ფოსტით; ახალი დირექტორი კი თურმე 17 აგვისტოს დანიშნეს". ამას გარდა, თამაზ ვაშაკიძისთვის გაუმართლებელია მოტივი, რის საფუძველზეც იგი მოხსნეს. იურიდიულად ეს ყველაფერი იურისტმა ასე განმარტა: კანონიერად ჩვენთან იმ შემთხვევაში ათავისუფლებენ თანამდებობის პირებს, როდესაც ისინი არაკვალიფიციურები არიან, ან როდესაც მიზეზი ჯანმრთელობის გაუარესებაა. თამაზ ვაშაკიძის შემთხვევაში ჯანმრთელობა რომ არაფერ შუაშია, ფაქტია; სხვათა შორის, არც კვალიფიკაცია დაუყენებიათ ეჭვქვეშ სამინისტროში. ჯერჯერობით კი, ქორეოგრაფიული სასწავლებლის ირგვლივ ცოტა ბუნდოვანი სიტუაციაა; სასწავლებელს ამჟამად ორი დირექტორი ჰყავს - ერთი ფაქტობრივი, მეორე კი, ბრძანების საფუძველზე.

# "მე საქართველოდან ვარ"

## თემურ ყვითელაშვილი თბილისიდან არასოდეს წასულა

მადი სერებრიაკოვა

*არსებობს სტერეოტიპი, რომ როკ თუ ჯაზ-მუსიკოსები საკუთარ ჰიტებს ძირითადად ალკოჰოლის, ნარკოტიკების, ან ჰალუცინოგენების ზეგავლენით ქმნიან. ეს მხოლოდ მითია. ალკოჰოლი და ნარკოტიკები მუსიკასთან არავითარ კავშირში არ არის. მაგალითად თემურ ყვითელაშვილი ავიღოთ. ცნობილი ქართველი მუსიკოსი, ერთ-ერთი პირველი გიტარისტი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, რომელმაც დასავლეთში სერიოზული აღიარება მოიპოვა და წამყვანი მუსიკალური კომპანიების სახე გახდა, არ ეწევა, არ სვამს, უყვარს სპორტი, ხოლო მის მუსიკას თავად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II აღიარებს. თემურ ყვითელაშვილი, რომელიც უმეტეს დროს უცხოეთში ატარებს, ამჯერად თბილისშია და ბოლო დროის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად - პატრიარქთან შეხვედრას მიიჩნევს.*

უკანასკნელად თბილისში თემურ ყვითელაშვილი 6 მაისს, გიორგობას ჩამოვიდა, რათა კომპანია "ლომისის" სპეციალური მოწვევით, მონაწილეობა მიეღო თემურ წიკლაურის კონცერტში. ამ კონცერტზე მან შუბერტის Ave Maria-ს საკუთარი ინტერპრეტაცია შეასრულა. კონცერტს თავად პატრიარქიც დაესწრო და ამ კონცერტის შემდეგ რამდენჯერმე გამოთქვა თემურ ყვითელაშვილთან შეხვედრის სურვილი. რამდენიმე დღის წინათ გიტარისტი თბილისში კვლავ ჩამოვიდა და პატრიარქთან შეხვედრაც მოეწყო. ილია II-სთან შეხვედრა 22 აგვისტოს, კვირა დღეს შედგა. **"ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ პატრიარქთან პირისპირ ვისუბრებდი. მას ყველაფერი სცოდნია ჩემს შესახებ, იცნობს მუსიკას. ჩემთვის დიდი პატივი იყო, რომ უწმინდესმა და უნეტარესმა საკუთარი ნახატები მაჩვენა და მის მიერვე შექმნილი საგალობლებიც მომასმენინა."** ილია II-მ მუსიკოსს ილია წინასწარმეტყველის ხატიც უსახსოვრა.

გუშინ თემურ ყვითელაშვილი "24 საათის" სტუმარი იყო და გასული წლის მის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ გვესაუბრა. უკვე მესამე წელია ქართველი გიტარისტი ლოს ანჯელესში მუსიკალური პროდუქციის ყველაზე მსხვილმასშტაბიან გამოფენაში Numm-show-ში იღებს მონაწილეობას. იგი სამი მსხვილი მუსიკალური კომპანიის - DR, ENGL და ჟურნალ MusicBox-ის სახეს წარადგენს. ამ აქციისთვის ლოს ანჯელესში მსოფლიოს ყველაზე ცნობილი მუსიკოსები ჩამოდიან. ქართველმა გიტარისტმა სოლო-კონცერტი კლუბ Lavelee-ში გამართა, სადაც ყოველდღიურად ისეთი ცნობილი გიტარისტების კონცერტები ეწყობოდა, როგორებიც ფრენკ გამბალე, ალ დი მეოლა, სკოტ ჰენდერსონი და სხვები არიან. ამ უკანასკნელთან თემურ ყვითელაშვილს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს. მან ქართველი მუსიკოსი ჰოლივუდის გიტარის ინსტიტუტში მასტერ-კლასების ჩასატარებლად მიიწვია.

რამდენიმე ხნით ადრე, თავად ჰენდერსონს მოსკოვში ჰქონდა კონცერტები და მასტერ-კლასები. თემურ ყვითელაშვილი ერთადერთი მიწვეული მუსიკოსი იყო, რომელმაც ვარსკვლავის კონცერტში მიიღო მონაწილეობა. როგორც ჟურნალი Music-Box-ი წერდა, **"ყვითელაშვილი ძალზედ ღირსეულად გამოიყურებოდა მსოფლიო ვარსკვლავის ფონზე".** სკოტ ჰენდერსონმა მასტერ-კლასის დროსაც განსაკუთრებული პატივით მოიხსენია ქართველი მუსიკოსი და ის მაკლაფლინის, სანტანას, ჰენდრიქსის, სკოფილდის და სხვათა გვერდით, თავის საყვარელ გიტარისტებს შორის დაასახელა. ახლო მომავალში ჰენდერსონი თემურ ყვითელაშვილთან ერთად რამდენიმე კომპოზიციის ჩაწერასაც აპირებს.

ამერიკული გასტროლის გარდა, რაც ქართველი გიტარისტისთვის უკვე ჩვეული, ყოველწლიური საქმიანობაა (იგი მომავალ წელსაც მიიღებს Numm-show-ში მონაწილეობას), თემურ ყვითელაშვილმა კიდევ ერთი განხორციელებული პროექტი გაგვაცნო. კომპანია Bafors-ის მხარდაჭერით ცოტა ხნის წინათ მან ახალი კლიპის გადაღება დაასრულა. გადაღება ბაიკალზე მიმდინარეობდა. სიმღერა კლიპისთვის რევაზ ჩირინაშვილს ეკუთვნის. იგი ორ ენაზე - ქართულ და რუსულ ენებზე შეიქმნა. ამ პროექტში ყვითელაშვილი არა მხოლოდ გიტარისტის, არამედ ვოკალისტის ამპლუაშიც გვევლინება და მისი ვოკალური ღირსებების შოუ-ბიზნესის ბევრ ვარსკვლავს შეშურდება. თავად თემურ ყვითელაშვილი შოუ-ბიზნესზე არცთუ დადებითად საუბრობს. **"შოუბიზნესში ყველაფერი ათასჯერ გაზვიადებულია, ყველაფერი ინტრიგასა და სიყალბეზეა აგებული. მსუბუქი მუსიკა და მსუბუქი ყოფა-ქცევის მუსიკოსები კარგად არიან მასებთან. სერიოზული მუსიკოსი ბევრ რამეს ვერ იკადრებს."** ქართველი გიტარისტი თავის საქმიანობას განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდება და არავითარ კომპრომისზე წასვლას არ აპირებს. როგორც თავად აღნიშნავს, მთავარი - დისციპლინა და პროფესიონალიზმია: **"ხელოვანი მასობრივი მსმენელის გემოვნებამდე კი არ უნდა დავიდეს, არამედ უნდა აღზარდოს იგი, თანდათანობით გააუმჯობესოს, ასწიოს დონე."**



*თემურ ყვითელაშვილი ბოლო დროის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად პატრიარქთან შეხვედრას მიიჩნევს.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*სტუმრად "24 საათში".*

მორიგ პროექტს თემურ ყვითელაშვილი 11 სექტემბრის ტრაგიკულ მოვლენებს უძღვნის. შეერთებულ შტატებში ეს დღე მემორიალური კონცერტით აღინიშნება. თემურ ყვითელაშვილი მასში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს. მართალია, გიტარისტი ძირითადად მოსკოვშია, მაგრამ ის თავს მაინც ქართველ მუსიკოსად მიიჩნევს და მისივე სურვილი იყო, რომ კონცერტზე იგი საქართველოს სახელით გამოსულიყო. ამ მოვლენისთვის იაკობ ბობოხიძემ სპეციალურად შექმნა მელოდია, თემურ ყვითელაშვილმა თავისებური ინტერპრეტაცია მოამზადა, მერაბ მამულაშვილმა კი არანჟირება გაუკეთა. კომპოზიციას "ფიქრები 11 სექტემბერზე" დაარქვეს. თუმცა, ამ გეგმას ჩაშლის საფრთხე დაემუქრა. საქართველოში კომპეტენტურ ორგანოებს სულაც გადაავიწყდათ ამერიკაში გასამგზავრებელი ოფიციალური დელეგაციის შესახებ.

სექტემბერში ყვითელაშვილი მოსკოვში ფესტივალ "მუსიკა 2003"-ში მიიღებს მონაწილეობას. ეს მუსიკალური პროდუქციის ტრადიციული დათვალიერებაა და ყვითელაშვილი გარდა ზემოთნახსენები სამი კომპანიისა, კიდევ ერთის, Shektor-ის სახესაც წარადგენს. ოქტომბერში მოსკოვში მსოფლიოს ყველაზე ცნობილი გიტარების მწარმოებელი კომპანიის Gibson-ის დღეები მოეწყობა. ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მასში მხოლოდ ერთი გიტარისტი - თემურ ყვითელაშვილი მიიღებს მონაწილეობას, სამ ამერიკელ კოლეგასთან ერთად. სავარაუდოდ, მალე ყვითელაშვილი Gibson-ის სახეც გახდება, ეს კი მხოლოდ მსოფლიოს საუკეთესო გიტარისტების პატივია.

მომავალ წელს თემურ ყვითელაშვილს 45 წელი უსრულდება. მუსიკოსი ამ თარიღის აღნიშვნას სამშობლოში სოლო-კონცერტითა და მეხუთე ალბომის გამოშვებით აპირებს. თუმცა, ჯერჯერობით დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებს. მისი ბოლო ალბომი ამერიკაში გამოვიდა და შტატებში საკმაო წარმატებით იყიდება; გამოხმაურებები აქვს პრესაში და პროფესიონალებს შორის. ალბომს "I'm from Georgia" (მე საქართველოდან ვარ) ჰქვია. კითხვაზე, ხომ არ აერევათ ამერიკელებს ის შტატ ჯორჯიაში, ყვითელაშვილს მარტივი პასუხი აქვს: **"ალბომის პირველი კომპოზიცია "თბილისო"-ა და იგი საქართველოსა და თბილისს ეძღვნება. ამით უკვე ყველაფერი ნათელია."**

კიდევ ერთი დეტალი საქართველოდან თითქმის წასული მუსიკოსის შესახებ. **"რომ მეკითხებიან სად ხარ? ვპასუხობ - თბილისში. რადგან ჩემი გული ყოველთვის აქ არის. სამწუხაროდ, აქ არსებობისთვის არანაირი პირობები არ გამაჩნია, ჩემი სახლი თბილისში ფაქტობრივად დაინგრა. საშუალება, რომ მქონდეს, აქედან ფეხსაც არ გავადგამდი"** - აღნიშნავს სამშობლოს მონატრებული მუსიკოსი.

# წიგნი თბილისის სიმბოლიკის შესახებ

ვერა ნეფარიძე

*"თბილისის ჰერალდიკა" მალე ქართველი ჰერალდიკოსების სამსჯავროზე მოხვდება. გუშინ კი "დიოგენეს" გამოცემული ზაქარია კიკნაძის წიგნი-პროექტი თბილისის მერიაში წარმოადგინეს.*

უახლოეს მომავალში თბილისის ჰერალდიკა უნდა ჩამოყალიბდეს. იმის გარდა, რომ უნდა შეიცვალოს დედაქალაქის გერბი, უნდა შეიქმნას ცალკეული რაიონების ახალი გერბები, შტანდარტები და ბეჭდები. გუშინდელი პრეზენტაცია, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიზნით გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო.

პრეზენტაცია ქალაქის მერმა, ზურა ჭიაბერაშვილმა გახსნა. მერი კმაყოფილი ჩანდა წარმოდგენილი პროექტით, თუმცა, რასაკვირველია ეს საკმარისი არაა იმისათვის, რომ ზაქარია კიკნაძის პროექტი საბოლოოდ მიიღონ. უახლოეს დღეებში ჭიაბერაშვილი პროექტს ქალაქის საკრებულოს წარუდგენს განსახილველად; პარალელურად, მერიაში მზად არიან მიიღონ სხვა პროექტებიც.

რაც შეეხება თავად წიგნს. ავტორისა და გამომცემლობის, ასევე, "ქართული ჰერალდიკის ასოციაციის" (სწორედ ამ ასოციაციის ეგიდით გამოიცა ის) მიზანი, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გერბების რედაქტირება-შექმნა, მათი ერთიან სისტემაში მოყვანაა. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ასეთი სამუშაო პირველად განხორციელდა. "თბილისის ჰერალდიკა" ქართული ჰერალდიკის შესახებ გამოცემული რიგით მესამე წიგნია "საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკისა" და "ქართული გერბმცოდნეობის" შემდეგ.

"თბილისის ჰერალდიკა" ილუსტრირებული ალბომია, სადაც ავტორს განხილული აქვს თბილისის გერბის ისტორია, ჰერალდიკის ზოგადი კანონები და ნორმები. ნაშრომის მიზანია აღდგეს თბილისის ისტორიული გერბი ახალი რედაქციით; შეიქმნას შტანდარტი, ბეჭედი, ქალაქის გასაღები და თბილისის მერის ყელსაკიდი მედალი; ასევე, მკაცრი ჰერალდიკური ნორმების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს თბილისის რაიონების გერბები, შტანდარტები, ბეჭდები. წიგნში ვიზუალურად წარმოდგენილია ავტორისეული ვარიანტები; ახსნილია სხვადასხვა ჰერალდიკური ფიგურების მნიშვნელობა; რაც შეეხება ავტორს, ზაქარია კიკნაძე "ქართული ჰერალდიკის ასოციაციის" ერთ-ერთი ინიციატორია. წლების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის კომისიის წევრია; ნამუშევარი აქვს 1991 წელს გამოცემულ წიგნზე - "საქართველოს დროშები და გერბები ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით"; კითხულობს ლექციებს (როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ) ქართული ხელოვნების, ჰერალდიკა-ვექსილოლოგიისა და თავად-აზნაურობის შესახებ.

"ჩვენი სახელმწიფო სიმბოლიკა ისეთ სავალალო მდგომარეობაშია, რომ სახელმწიფო გერბისა და დროშის სტატუსიც კი არ არის ნათლად განსაზღვრული. გაუმართავი და სტატუსის არმქონე სახელწმიფო ჰერალდიკისგან განსხვავებით, ჩვენში დღეს საქალაქო ჰერალდიკა საერთოდ არ არსებობს", - წერია წიგნში, რომლის გამოცემამაც ჩვენში ჰერალდიკის პოპულარიზაციასაც შეუწყობს ხელს და პოლემიკასაც, რაც იძლევა იმის იმედს, რომ ახალი სიმბოლიკის მიღებისას ნაკლები გაუგებრობა წარმოიშვება.

ჰერალდიკით დაინტერესებულებს კი უკვე აქვთ საშუალება გაეცნონ "თბილისის ჰერალდიკას". ხოლო, თუკი თბილისის სიმბოლიკასთან საკუთარი ვერსიები გაუჩნდებათ, ქალაქის მერია მზადაა მიიღოს ყველა პროექტი განსახილველად.

# BEAT GENERATION

## ჯეკ კერუაკი

მაგდა ანიკაშვილი



*"მე დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკა პასუხს აგებს ჩვენი ეპოქის სამარცხვინო დამღაზე, შრომის გაფეტიშებაზე. ეს იდიოტური იდეოლოგიაა, რომელიც მატერიალურ პროგრესზე და უტოპიის, პოეზიის და ადამიანის სულის სრულყოფისაკენ სწრაფვის სიძულვილზე დაფუძნდა" - ჯეკ კერუაკი.*

უკვე ვახსენე, რომ 60-იანელთა აზროვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა ამ ეპოქის ლიტერატურამ. ეს ის შემთხვევა იყო ლიტერატურის ისტორიაში, როდესაც ნაწარმოებები არა ერთი ადამიანის, არამედ მთელი თაობის მიერ იქმნებოდა და ეს თაობა ხელმძღვანელობდა და გრძნობდა ყოველ სიტყვას რომანიდან თუ პოემიდან ისე, როგორც ცოცხალ ორგანიზმს. ლიტერატურული მიმდინარეობა საზოგადოებრივ მოძრაობად გადაიქცა და მასში ისინიც ერთიანდებოდნენ, ვისაც არავითარი კავშირი ჰქონდა მწერლობასთან. ისინი, ყველანი ერთი თაობის, ბითნიკების თაობის, წარმომადგენლები გახდნენ.

Beat თაობა, ანუ დამსხვრეული თაობა: ჯეკ კერუაკი, ალენ გინზბერგი, უილიამ ბეროუზი და მათი მეგობრები იყვნენ. მათ შეხვედრას ალენ გინზბერგი მოგვიანებით ასე იხსენებდა: "ბითნიკების მოძრაობა სადღაც 1944-45 წლებში დაიწყო, როდესაც ერთმანეთი გავიცანით მე, ჯეკ კერუაკმა, უილიამ ბეროუზმა და კიდევ რამდენიმე ჩვენმა მეგობარმა. ბეროუზი უკვე წერდა, კერუაკიც პოეტი და მწერალი იყო, უკვე რამდენიმე წიგნის ავტორი, ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით და შემდეგი რამდენიმე წელი ექსპერიმენტებს ვატარებდით ისეთ თემებზე, როგორიცაა მეგობრობა, ერთობის გრძნობა, ახალი ხედვა და აზროვნება. 1945 წლიდან სულიერი თავისუფლება მოვიდა, 1950-55 წლებში სიტყვა გათავისუფლდა ცენზურისგან, 1955-62 წლებში კი სიტყვა მივიდა მკითხველამდე" - ასე იწყება Beat ისტორია.

1953 წელს ახალგაზრდა პოეტი ლოურენს ფერლინგეტი სან-ფრანცისკოში ჟურნალ "City Lights"-ის გამოცემას იწყებს. კოლამბუსის ქუჩაზე ამავე სახელწოდების წიგნის მაღაზიაც იხსნება. სწორედ აქ იბეჭდება და იყიდება პირველად ამ თაობის ნაწარმოებები: ჯეკ კერუაკის პროზაული ნაწარმოებების კრებული, ესსეები და მთავარი რომანი "გზაზე", ალენ გინზბერგის "How!" და სხვა პოემები. აქედან გადაიქცა ლიტერატურული მიმდინარეობა თაობის აზროვნებისა და ცხოვრების წესად. ახალგაზრდებმა იგრძნეს, თუ რას ნიშნავდა beat მდგომარეობაში ყოფნა, თუ რას სთავაზობდა მათ ეს ახალი აზროვნება.

ჯეკ კერუაკს სპონტანური პროზის იდეა ეკუთვნის. არავითარი ხელოვნურობა, სტილიზაცია. ის წერდა ყველაფერს, რაც თავში მოსდიოდა, რაც ადგებოდა ენაზე. იყენებდა სლენგს. წერდა თუ როგორ ცხოვრობდა, რაზე ფიქრობდა და რას აკეთებდა მეგობრებთან ერთად. ასე დაწერა 1957 წელს თაობის მანიფესტი, რომანი "გზაზე".

ახალგაზრდა ბიჭი სელ ფერიდაისი მოგზაურობს, ხვდება მეგობრებს, ნაცნობებს, გადადის ქალაქიდან ქალაქში. სხვა რომანში არაფერი ხდება, სიუჟეტიც არ არის მკაფიო, მაგრამ ძალიან კარგად ჩანს განწყობა, გარემო, რომელშიც არსებობს სელი. ის უბრალო ბიჭია, მაგრამ მკითხველი ხვდება, რომ ასეთივე ჩვეულებრივ ცხოვრებას სხვა, ათასობით ბიჭიც ეწევა. კერუაკმა რომანი სამ კვირაში დაწერა. დაჯდა და არ ამდგარა, როგორც ამბობდნენ, უბრალოდ დაბეჭდაო. არაფერს ასწორებდა. ასეთი იდეაც ჰქონდა, არ გამოეყენებინა სასვენი ნიშნები.

50-იანი წლების ამერიკისთვის ჯეკ კერუაკის წერის სტილი ძალიან უცხო იყო. თუმცა, საზოგადოების ნაწილამდე მაინც მივიდა ეს შეტყობინება და რომანი სენსაციად იქცა. მალე კერუაკი თაობის კერპი გახდა. 25-მდე წიგნი გამოსცა. მან და მისმა მეგობრებმა აღმოაჩინეს ბუდიზმი ამერიკაში, რაც მოგვიანებით ძალიან მოდური გახდა. კერუაკი იგონებდა, რომ პირველად სიტყვა beat 1944 წელს თაიმ სქვერზე გაიგო. იმ დროს უცნაურად ჩაცმული გრძელთმიანი ადამიანები გამოჩნდნენ, მათ ჰიპსთერებს ეძახდნენ და ძალიან აღიზიანებდნენ მოსახლეობას. "ერთი ტიპი ჰანქი ჩიკაგოდან, ჩემთან მოვიდა და მითხრა, ეი, ბიჭო, დამსხვრეული ვარო (Man, I'm beat). მაშინვე მივხვდი რასაც გულისხმობდა" - ამბობდა კერუაკი. კერუაკი სხვა მოწესრიგებული და პერსპექტიული ახალგაზრდებისგან განსხვავებით ღამ-ღამობით ნიუ-იორკის ჯაზ-კლუბებში დადიოდა. ამ დროს ჯაზის ახალი სტილი ბი ბოპი იქმნება, რაც გააერთიანებს ნიუ-იორკის ანდერგრაუნდსა და შავკანიან ახალგაზრდებს. ჯეკ კერუაკსაც უამრავი მეგობარი ჰყავდა მუსიკოსებს შორის: ჩარლი პარკერი, დიზი გილესპი, ბეგზ ჯექსონი. კერუაკი იგონებდა: "ამ კლუბებში ტიპები ბანდიტებს ჰგავდნენ, მაგრამ ისინი იმაზე ლაპარაკობდნენ, რაც მე მაინტერესებდა. მოჰქონდათ ჩანაწერები საკუთარი ზმანებების შესახებ, ღამეული ვნებების აღსარებები, იმ ვნების, რომელიც აკრძალული იყო. ამის გამო იქ ქაოსი ბობოქრობდა, სიგიჟე და ახალგაზრდა სულის ხეტიალი იყო". ჯეკ კერუაკის ნაწარმოებებს ხშირად ჯაზურ კომპოზიციებს ადარებენ.

დროთა განმავლობაში ის უხეში და გულჩათხრობილი გახდა. დიდხანს ებრძოდა ნარკოტიკებსა და სასმელს. ამ ბრძოლით დაღლილი 1969 წელს გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლოს ამბობდა, რომ ეზიზღებოდა ბითნიკებზე შექმნილი მითი, ამბობდა: "არავითარი სურვილი არ მაქვს ყველა რადიკალის, პაციფისტის და ჰიპის მამა ვიყოო". მაგრამ მაინც ახალგაზრდობის იდეების ერთგული დარჩა, იმ იდეების, რაზეც მუდამ ოცნებობდა: "საჭიროა ქვეყანა ზურგჩანთიანმა მოგზაურებმა გაავსონ, რომლებმაც უარი თქვეს მასობრივი პროდუქციის მოხმარებაზე და ზოგადად, მომხმარებლობაზე. ამის გამო, ხომ ადამიანებმა თავდაუზოგავად უნდა იმუშაონ. ეს სისულელეა! მათ არ სჭირდებათ ეს ყველაფერი. მე ვხედავ ზურგჩანთიანთა რევოლუციას. მილიონი ახალგაზრდა ამერიკელი მოგზაურობს ზურგჩანთამოკიდებული. ადიან მთებზე, წერენ ლექსებს, რომლებიც თავში მოსდით. ისინი კეთილნი არიან, უცნაურად იქცევიან და ცოცხალ არსებაში მარადიული თავისუფლების შეგრძნებას ამაგრებენ". აქ კიდევ ერთხელ ჩნდება კერუაკის მთავარი იდეა მოგზაურობის შესახებ – მოგზაურობა, როგორც განდგომა მატერიალისტური სამყაროსგან, ხორციელი კეთილდღეობის უარყოფა, და გზის თემა, რომელიც მის რომანზე დაყრდნობით არაერთხელ გაათამაშეს კინოში.

კერუაკის ეს სიტყვები პასუხია მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ტრისტან ცარას მიერ ნათქვამ სიტყვებზე: "მე დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკა პასუხს აგებს ჩვენი ეპოქის სამარცხვინო დამღაზე, შრომის გაფეტიშებაზე. ეს იდიოტური იდეოლოგიაა, რომელიც მატერიალურ პროგრესზე და უტოპიის, პოეზიის და ადამიანის სულის სრულყოფისაკენ სწრაფვის სიძულვილზე დაფუძნდა. მე ვეწინააღმდეგები ამ ზეგავლენას ყველაზე ძალადობრივი ნაბიჯით – იდეით, და ყველაზე შემოქმედებითი სამუშაოთი – უსაქმურობით".

# "იმედია, მედეას ჩემი სიტყვები არ ესმის"

## რატომ ჩამოვიდა ჰანს შაიბი

ანა კორძაია-სამადაშვილი

### მედეა

დიდად უცნაური ქალბატონი ბრძანდებოდა ხელმწიფისა და ოკეანიდას ასული და მზის ღმერთის შვილიშვილი მედეა. ხანდახან ძალიან მეჯავრება ხოლმე, ხანდახან კი სრულიად აღტაცებული ვკითხულობ მისი დიდი ვნებების ამბავს. ცხადია, მის მიმართ მხოლოდ მე არ მაქვს ასეთი დამოკიდებულება, თორემ რატომ გადაირეოდა მთელი მსოფლიო მამის მოღალატე, ძმისა და შვილების მკვლელი ჯადოქარი მედეას გამო?

მედეა იმ მცირერიცხოვან გმირთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც არა მარტო ხელოვანთა მარადიული მუზა არიან, არამედ მრავალი საუკუნის განმავლობაში "რიგითი მოკვდავების" საუბრების, მდაბიურად რომ ვთქვათ, ჭორაობის საგანიც: კარგი გოგო იყო თუ საძაგელი? ნეტა, ჟღალი იყო და კუპრივით შავთმიანი? მედეა ერთნაირად იზიდავს მამაკაცებსაც და ქალებსაც, და გულის სიღრმეში ალბათ ყველას მითის გვიანდელი ვარიანტი მოსწონს, სადაც მედეა საბოლოოდ ნეტართა კუნძულებზე აღმოჩნდა: ამდენი საშინელების და ამდენ არამზადასთან ურთიერთობის შემდეგ ის ამას ნამდვილად იმსახურებდა... მაგრამ შესაძლოა, თქვენ სულ სხვაგვარად ფიქრობთ – მედეას შესახებ ხომ ყველას საკუთარი აზრი აქვს.

### ჰანსი

ჰანს შაიბი, პოტსდამში დაბადებული და ბერლინში გაზრდილი, დრეზდენის სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი იყო. მისი ნამუშევრები უამრავ ქვეყანაში, უამრავ მუზეუმსა და გალერეაში იყო გამოფენილი, მას მრავალი ჯილდო აქვს მიღებული, და თუკი 2001 წელს "ტმს-გალერეაში" გამართული გამოფენა გახსოვთ, დამეთანხმებით, რომ ჰანს შაიბი შესანიშნავი ხელოვანია.

მის ბიოგრაფიაში წერია, რომ "1976 წლიდან იყო მოქანდაკე ბერლინში (აღმოსავლეთი), 1985 წლიდან არის მოქანდაკე ბერლინში (დასავლეთი)". მართლა ასე წერია. ის ძალიან საინტერესო ქალაქისა და ძალიან საინტერესო დროის შვილი ბრძანდება და, შესაბამისად, ერთობ სასიამოვნო მოსაუბრე და უჩვეულო პროექტების ავტორიც გახლავთ.

ამჟამად ის საქართველოში იმყოფება და ქართველ მოქანდაკეებთან – გოჩა ღულელაურთან, ზურაბ აფხაზაშვილთან, კახა ბურდულთან, გიორგი ტაბატაძესთან, უჩა ჯანელიძესთან და იმედა ტასაშვილთან ერთად შუასაუკუნეების მსგავსი სახელოსნოს მოწყობას აპირებს. თბილისში, ყოფილი აბრეშუმის ქარხნის ტერიტორიაზე, ეს შვიდი ხელოვანი ერთად იმუშავებს და დიდ, მრავალფიგურიან კომპოზიციას შექმნის, თემაზე "მედეა".

რატომ – მედეა? "საუკეთესო მიზეზის გამო," – წერს ჰანს შაიბი პროექტის კონცეფციაში, რომელსაც პირობითად "სახელოსნო კოლხეთში" ჰქვია. "მითი მედეას, იასონის, არგონავტების შესახებ ჩვენი ფესვებია, აზიასა და ევროპას შორის არსებული ხიდი. ის დიდ ადამიანურ თემებს მოიცავს: ეროსი – სიკვდილი, წარსული – მარადისობა, მამაკაცი – ქალი – ბავშვი, წარმომავლობა – სამშობლო – უცხო, გმირობა – დაბრმავება – სისულელე, სიყვარული – პასუხისმგებლობა – ერთგულება – ღალატი..." ჰანსის თქმით, ანტიკური მითები ჩვენი "ურთიერთგაგებისა და თვითგამორკვევის, ისტორიისა და აწმყოს შეცნობის ენაა".

ამრიგად, პროექტის ყოველი მონაწილე, ჰანს შაიბის ჩათვლით (რომელსაც გუნება უფუჭდება, როცა მასწავლებელს უწოდებენ, და თავს პროექტის რიგით მონაწილედ თვლის), საკუთარ საქმეს, თავის მედეას მიხედავს.

როგორ გამოვა ეს ამბავი, ძნელად წარმომიდგენია და თან ძალიან მაინტერესებს, რადგან ყველას ხომ თავისი მედეა ჰყავს, და ის, რაც დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ ჰელიოსის შვილიშვილმა დაატრიალა თუ მის თავს დატრიალდა, ყველას სხვადასხვანაირად აქვს წარმოდგენილი. ალბათ, ასე ჯობს კიდეც, და დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოოდ, ანუ რამდენიმე კვირის შემდეგ გამართულ გამოფენაზე უაღრესად საინტერესო მედეას ან მედეებს შევხვდებით. რამდენადაც ჰანს შაიბს და მის შემოქმედებას ვიცნობთ, ამის იმედი ნამდვილად უნდა გვქონდეს.



*მედეა იმ მცირერიცხოვან გმირთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ხელოვანთა მარადიული მუზა არიან. ასეთია ეჟენ დელაკრუას "მედეა".*

■ ■ ■

"ჩვენ ხეში ვიმუშავებთ. ჩვენ ბევრი ხე დაგვჭირდება, შეძლებისდაგვარად ძველი, ანუ დიდი ხნის წინ მოჭრილი, რომ ზედმეტი ბზარი არ გაჩნდეს. ალვის ხე კარგი იქნებოდა, ან მუხა. ისე, ნებისმიერი სხვაც გამოდგება," – წერდა ჰანსი თავის ქართველ კოლეგას, გოჩა ღულელაურს. ეს წერილი, უფრო სწორად, პროექტის ერთ-ერთი პირველი ვარიანტი ახლა მაგიდაზე მიდევს, და რაც მეტს ვფურცლავ, მით უფრო მიკვირს: რანაირი კაცია ეს ჰანს შაიბი? რამდენიმე გვერდზე ხის დასამუშავებელი ხელსაწყოების სახელწოდებები და მათი მუშაობის პრინციპები აქვს ჩამოწერილი, და იქვე ჰაინერ მიულერის და კატია ლანგემიულერის "მედეების" ტექსტი აქვს დართული – ამ უკანასკნელს, "იმედია, მედეას ჩემი სიტყვები არ ესმის", მასზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ჰანსს ჩამოთვლილი ჰყავს ავტორები, რომლებიც მედეას შესახებ წერდნენ, კომპოზიტორები, რომლებიც მას მუსიკას უძღვნიდნენ...

"განა მოქანდაკე მსახიობივით არ მუშაობს, რომელიც თავის სხეულს სცენაზე გატანამდე გულდასმით ამუშავებს და მის დაძლევას ცდილობს?" – ჰანსი ხმადაბლა და სწრაფად ლაპარაკობს, და ყურადღებით უყურებს მოსაუბრეს, ამ შემთხვევაში, მე. "ამისთვის ყოველგვარი ხერხი გამართლებულია, მოქანდაკეს ყველაფრის წაკითხვა და დანახვა შეუძლია: გილგამეშისა თუ ბირჟაზე არსებული ვითარების ამბისა (ცხადია, თუ ამ უკანასკნელის რამე გაეგება), მისი თვალი ავსტრალიიდან გრენლანდიამდე, ყველა დროის კულტურას სწვდება, გამოფენებზე გატანილ, დიდებულ ტომებად შეკრულ თუ გაზეთებში დაბეჭდილ ფოტოსურათებს..."

ასევე ჩუმად და სწრაფად ლაპარაკობს ჰანს შაიბი მედეაზე და მერე მის სადღეგრძელოსაც სვამს, დიდი მადლიერებით, რომ მისმა მისნობამ ის საქართველოში ჩამოიყვანა და ერთმანეთს კვლავ შეგვახვედრა.

**P.S.** მე ვერასოდეს გავიგებ, რატომ მოსწონს ჰანს შაიბს, რომელსაც ლამის მთელი მსოფლიო აქვს მოვლილი, მაინცდამაინც საქართველო. ალბათ ესეც მედეას წყალობაა.

ათენი-2004

# ლატარიაში გვერგო ეს...

A1 გვერდიდან

ასეთ დროს კი მსაჯი კაზარიანია, რომელიც, აშკარაა, რუსების მხარეს უფრო იხრება, ვიდრე ქართველების. ესეც რომ არა, ცნობილია, რომ ფილა-ში (ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია) რუსეთს ბევრად დიდი გავლენა აქვს, ვიდრე ჩვენ. ამდენად, სლავებისთვის, რამე რომ იყოს, არც კაზარიანის დამუშავება იქნება პრობლემა. ასეთ შემთხვევაში უნდა გვეშინოდეს.

თუ დავაკვირდებით, ქართველმა ფალავნებმა ის აბსურდული შეხვედრები პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლებთან - უკრაინელთან და ყაზახთან დათმეს. ანუ დსთ-ს მასშტაბით, ჩანს, კაზარიანს ქართველებზე მიეტად სხვა ერები მოსწონს და დიდი გულდასმითა და სიამოვნებით ურიგებს მათ ქულებს. ახლა კი რუსეთის წარმომადგენელს ვხვდებით და თუ პირხმელი სომეხი ყაზახს გამოექომაგა, რუსს უფრო მეტად მოეფერება. მოკლედ, უნდა გვეშინოდეს ამ გამხდარი, პირხმელი მოხუცის. რაღაცით ყარჩიხა-ხანს მაგონებს. ისიც სომეხი იყო, ოღონდ სპარსეთში ორგულობასა და ბოროტებაში გაწაფული. ეს ჩვენი მსაჯიც გაწაფულია. სხვისთვის ქულების დარიგებაშია გაწაფული.

რა შეიძლება დაუპირისპიროს რამაზ ნოზაძემ კაზარიანს? ეს კითხვა მთელი დღეა, მაწუხებს. ალბათ, ხელს თუ მოტეხს მეტოქეს, სხვაგვარად განწირულია. კოღუაშვილისთვის ხელის მოტეხვა კი ურთულესი საქმეა. ის ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონია. ჩაჩუამ მსაჯს ვერაფერი დაუპირისპირა და დარჩა უმედლოდ. მოკლედ, დღეს გაირკვევა, მართალს ამბობენ თუ არა კულისებს მიღმა.

კულისებს მიღმა კი ამბობენ, რომ ბერძნულ-რომაულიც და თავისუფალი ჭიდაობაც ფილაში ერთიანდება. ფილა საკმაოდ კონსერვატიული ორგანიზაციაა და მხოლოდ თავისიანებს იკარებს. მის მმართველ ორგანოებთან სხვა ახლოსაც ვერ მივა. ამ თავისიანებს კი ფილას ხელმძღვანელობა კარგად ამუშავებს და დირექტივებსაც აძლევს. როცა სჭირდება, მოელაპარაკება ხოლმე. მოკლედ, ფილა ერთიანი ოჯახია და ხშირად მედლებს ტურნირის დაწყებამდე არიგებს, ისე, რომ არავის აწყენინოს. ერთი საინტერესო დეტალიც: ვინც ოლიმპიადაზე ჭიდაობს, ყველა რაღაცის ჩემპიონია. დაბალანსების პოლიტიკა ფილას მოგონილიაო, ამაზეა ნათქვამი.

ჩვენები ამბობდნენ: რატომ "გვძირავენ" ასე, ნუთუ ჩვენზე მედლები თავისუფალ ჭიდაობაშია გათვალისწინებულიო? ანუ ვერც ქართველებმა და ვერც სხვებმა ჩაჩუასადმი ასეთ დამოკიდებულებას სხვა ახსნა ვერ მოუძებნეს. უკრაინელებმა, მაგალითად, გულდასმით გადახედეს ჩაჩუას ჭიდაობას და დაასკვნეს, რომ ქართველს, სულ ცოტა, 6:4 უნდა მოეგო. 7:6 კი წააგო. ხმას არ იღებდნენ ყაზახეთის წარმომადგენლებიც. ვერც მათ გაარკვიეს, რა მოხდა. გულში კი უხაროდათ, მაგრამ ხვალ შეიძლება მათ ფალავანსაც იგივე დაემართოს, რაც ჩაჩუას და ჭოჭუას მოუვიდათ. ყაზახები ამბობენ, მსაჯმა ასე განსაჯა და ჩვენ რა უფლება გვაქვს, არ დავეთანხმოთო. ფაქტი კი ის არის, რომ თუ მოლაპარაკებას აქვს ადგილი, მაშინ ნოზაძეს ჩემპიონობის პერსპექტივა არა აქვს.

ბევრი რამ გასარკვევია, მაგრამ გარკვევას არავინ ცდილობს. საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ბეგი დარჩია ამბობს: "მე მწვრთნელი ვარ და რა ვქნა". ფილა პროტესტს არ იღებს. ერთადერთი, ალბათ, რაც შეგვეძლო, კაზარიანის შეცვლა იყო, მაგრამ მწვრთნელმა ოთარ ტატიშვილმა განაცხადა, მთავარი ის არის, რატომ აკეთებს ამას კაზარიანიო. მოკლედ, დღე ისე მიილია, ვერაფერი ვიღონეთ და დღეს ხალიჩაზე რამაზ ნოზაძე რომ გამოვა, ტაბლოსთან კაზარიანი დახვდება ჩაცუცქული. დღეს გაირკვევა, რაზე შეთანხმდნენ ფილაში და გვერგება თუ არა მედალი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

ყველაფერი კი ჩვენთვის ძალიან კარგად დაიწყო. 96 კგ წონით კატეგორიაში რამაზ ნოზაძემ ერთიმეორის მიყოლებით მიაწვინა ჯერ გერმანელი მირკო ენგლიხი, შემდეგ უკრაინის სახელით მოჭიდავე დავით სალდაძე და მეოთხედფინალში გავიდა. თუ ისე მოხდა, რომ ფილამ ერთი მედალი მაინც გვიბოძა და რამაზმა დაამარცხა გოგი კოღუაშვილი, მაშინ დღეს საღამოს ქართველი ფალავანი ფინალებში იჭიდავებს.

ჭიდაობა კარგად დაიწყო აკაკი ჩაჩუამაც (60 კგ.). მან პირველად იტალიელი პაოლო ფუჩილე დაამარცხა - 4:0 და ჯგუფიდან გასვლისთვის მთავარ მატჩში ყაზახ ნურდან კოიზაიგანოვს შეხვდა. ჩაჩუამ შეხვედრის განმავლობაში სამჯერ აატრიალა მეტოქე. თითო ტრიალზე, სულ ცოტა, ორი ქულა ერგებოდა, მაგრამ, ჭოჭუას შემთხვევისა არ იყოს, პარალელურად ქულები ყაზახ ფალავანსაც ეწერებოდა. ასე გაუხდა კოიზაიგანოვს 7 ქულა. ჩაჩუას კი 6 დარჩა და დამარცხდა.

| 25 აგვისტო | | |
|---|---|---|
| **ჭიდაობა** | | |
| ბერძნულ-რომაული. 55კგ. წონითი კატეგორია | | |
| ოქრო | ისთვან მაიოროში | უნგრეთი |
| ვერცხლი | გეიდარ მამედალიევი | რუსეთი |
| ბრინჯაო | არტიომ კიურეგიანი | საბერძნეთი |
| ბერძნულ-რომაული. 66კგ. წონითი კატეგორია | | |
| ოქრო | ფარიდ მანსუროვი | აზერბაიჯანი |
| ვერცხლი | შერეფ ეროღლუ | თურქეთი |
| ბრინჯაო | მხითარ მანუკიანი | ყაზახეთი |
| ბერძნულ-რომაული. 84კგ. წონითი კატეგორია | | |
| ოქრო | ალექსეი მიშინი | რუსეთი |
| ვერცხლი | არა აბრაჰამიანი | შვედეთი |
| ბრინჯაო | ვიაჩესლავ მაკარენკო | ბელორუსი |
| ბერძნულ-რომაული. 120კგ. წონითი კატეგორია | | |
| ოქრო | ხასან ბაროევი | რუსეთი |
| ვერცხლი | გეორგი წურწუმია | ყაზახეთი |
| ბრინჯაო | რულონ გარდნერი | აშშ |
| **აფროსნობა** | | |
| კაცთა მისტრალი | | კაცები |
| ოქრო | გალ ფრიდმანი | ისრაელი |
| ვერცხლი | ნიკოლაოს კაკლამანაკისი | საბერძნეთი |
| ბრინჯაო | ნიკ დემპსი | ბრიტანეთი |
| ქალთა მისტრალი | | ქალები |
| ოქრო | ფოსტინ მერე | საფრანგეთი |
| ვერცხლი | იინ ცზიანი | ჩინეთი |
| ბრინჯაო | ალესანდრა სენსინი | იტალია |
| **ტრიათლონი** | | |
| | | ქალები |
| ოქრო | კეიტ ალენი | ავსტრია |
| ვერცხლი | ლორეტა ჰაროპი | ავსტრალია |
| ბრინჯაო | სიუზან უილიამსი | აშშ |
| **ცხენოსნობა** | | |
| ინდივიდუალური პირველობა | | ქალები |
| ოქრო | ანკი ვან გრუნსვენი | ჰოლანდია |
| ვერცხლი | ულა ზალცგებერი | გერმანია |
| ბრინჯაო | ბეატრის ფერერ-სალატი | ესპანეთი |
| **სინქრონული ცურვა** | | |
| დუეტები | | |
| ოქრო | ანასტასია დავიდოვა - ანასტასია ერმაკოვა | რუსეთი |
| ვერცხლი | მია ტაჩიბანა - მიჰო ტაკედა | იაპონია |
| ბრინჯაო | ელისონ ბარტოსიკი - ანა კოზლოვა | აშშ |
| **ძალოსნობა** | | |
| +105კგ. წონითი კატეგორია | | კაცები |
| ოქრო | ჰოსეინ რეზაზადე | ირანი |
| ვერცხლი | ვიქტორ შჩერბატიხსი | ლატვია |
| ბრინჯაო | ველიჩკო ჩოლაკოვი | ბულგარეთი |
| **პლაჟის ფრენბურთი** | | |
| | | კაცები |
| ოქრო | რიკარდო ალექს სანტოსი - ემანუელ რეგო | ბრაზილია |
| ვერცხლი | ხავიერ ბოსმა - პაბლო ერერა | ესპანეთი |
| ბრინჯაო | პატრიკ ჰოიშერი - შტეფან კობელი | შვეიცარია |
| **ბეისბოლი** | | |
| | | კაცები |
| ოქრო | კუბა | |
| ვერცხლი | ავსტრალია | |
| ბრინჯაო | იაპონია | |
| **ველოსპორტი** | | |
| ველოტრეკი. რბოლა ქულების მიხედვით | | ქალები |
| ოქრო | ოლგა სლიუსარევა | რუსეთი |
| ვერცხლი | ბელემ გერერო მენდესი | მექსიკა |
| ბრინჯაო | მარია-ლუისა კალე-უილიამსი | კოლუმბია |
| ველოტრეკი. მედისონი | | კაცები |
| ოქრო | გრემ ბრაუნი - სტიუარტ ო'გრეიდი | ავსტრალია |
| ვერცხლი | ფრანკო მარვული - ბრუნო რისი | შვეიცარია |
| ბრინჯაო | რობ ჰეილსი - ბრედლი უიგინსი | ბრიტანეთი |
| ველოტრეკი. კეირინი | | კაცები |
| ოქრო | რაიან ბეილი | ავსტრალია |
| ვერცხლი | ხოსე ესკუედრო | ესპანეთი |
| ბრინჯაო | შეინ კელი | ავსტრალია |

# ისრაელის ნავსი წყალში გატყდა



ისრაელის პირველი ჩემპიონი ათენის წყლებში ნავარდობს.

ბიბა გურასაშვილი

*ამ დღეს ისრაელი 52 წელიწადს ელოდა. რამდენჯერმე ახლოსაც იყო გუშინდელ დღესთან, მაგრამ ბოლო მომენტში ბედი არ სწყალობდა. გუშინდელი დღის ტრიუმფატორმა ერთხანს სპორტს თავიც კი დაანება, მაგრამ გადაწყვეტილების სიმცდარეში თავადვე დარწმუნდა. გუშინ ისრაელის ტელეარხებმა საკუთარი გადაცემები შეწყვიტეს, რათა ისტორიული მომენტის მომსწრენი გამხდარიყვნენ. ისრაელმა პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა.*

აფროსანი გალ ფრიდმანი სამუდამოდ ჩაეწერა ისრაელის ისტორიაში. ებრაელმა სპორტსმენმა სამშობლოს პირველი ოლიმპიური ოქროს მედლის გემო აგრძნობინა. ფრიდმანმა ვინდსერფინგში, "მისტრალის" კლასში, არავის დაუთმო პირველობა და, მიუხედავად იმისა, რომ მეორემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი, ქულებით პირველი აღმოჩნდა.

ოლიმპიური თამაშების პირველ დღეს ისრაელის ოლიმპიური კომიტეტის მეთაური ეფრაიმ ზინგერი აცხადებდა, რომ ისრაელის სახელმწიფო გუნდს ათენში სამი მედლის დაუფლება განუზრახავს, მათ შორის ერთი ოქროსი იქნებაო.

ზინგერის გამოთვლებს ერთი მედალიღა აკლია - 19 აგვისტოს 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ძიუდოისტმა არიელ ზეევმა ბრინჯაო მოიპოვა. ზეევი წლეულსაც გამოდიოდა თბილისის A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირზე და გაიმარჯვა კიდეც. ეს ისე, ცნობისთვის. მთლიანობაში კი ისრაელისთვის გუშინდელი "ოქრო" მეექვსე აღმოჩნდა, თორემ ებრაელ სპორტსმენებს სხვადასხვა ქვეყნისთვის არაერთი მედალი მოუპოვებიათ. მარტო ამერიკელი მოცურავის მარკ სპიცის გახსენება რად ღირს - მან ცხრაჯერ იზეიმა ჩემპიონობა.

რაკი ძიუდო ვახსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ისრაელს პირველი ოლიმპიური მედლები ძიუდოისტებმა მოუტანეს ("ვერცხლი" და "ბრინჯაო" ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე).

სხვათა შორის, ფრიდმანისთვის გუშინდელი მედალი პირველი როდია. მან ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ამავე კლასში ბრინჯაოს მედალი აიღო. სიდნეის თამაშებზე კი ნაკრებს მიღმა დარჩა. მაშინდელი წარუმატებლობის შემდეგ, ფაქტობრივად, სპორტიდან წავიდა, მაგრამ გულმა ვერ მოუთმინა და ისევ დაუბრუნდა აქტიურ სპორტს. თანაც, ისე, რომ 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

"ხანდახან ზედმეტად ვნერვიულობდი, მაგრამ მახსენდებოდა, რომ კარგი ბიჭები ყოველთვის იმარჯვებენ. გამარჯვება - ეს განუმეორებელი გრძნობაა. აჰა, ასრულდა ოცნება", - ჟურნალისტთა გარემოცვაში მომწყვდეული ფრიდმანი ემოციებს ვერ მალავდა.

გალ ფრიდმანის გამარჯვება იმდენად მნიშვნელოვანი გახდა ისრაელისთვის, რომ ადგილობრივმა ტელეარხებმა უმალ საკუთარი გადაცემები შეწყვიტეს, რათა ყველას ენახა ის ისტორიული კადრები, თუ როგორ კვეთდა ფინიშს ფრიდმანი, რომელმაც გამარჯვებისთანავე ტანზე ისრაელის დროშა შემოიხვია.

"უცქირო შენი ქვეყნის დროშას და უსმინო ეროვნულ ჰიმნს, ეს ის არის, რასაც დიდი ხანია ველოდით, - აცხადებს ისრაელის ნაკრების ხელმძღვანელი გილად ლუსტიგი. - ამ წარმატებას 1952 წლიდან (ჰელსინკის ოლიმპიური თამაშები), ჩვენი პირველი ოლიმპიადიდან ველოდით".

გუშინ თუ ვინმემ ინერვიულა, ყველაზე უფრო ფრიდმანის მშობლებმა. "ჯერუსალაემ პოსტის" ცნობით, კარკურის დასახლებისკენ მიმავალი გზები ფრიდმანის ახლობელ-ნათესავების ავტომანქანებს დაეკავებინათ.

ჩემპიონის მშობლების აზრით, მათი შვილი ამ წარმატების შემდეგაც არ მოისვენებს და, ალბათ, მალე პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას შეუდგება.

"მისტრალის" კლასში ასაპარეზობა მასპინძელთა ცხოველ ინტერესსაც იწვევდა, რადგან პირველობისთვის ნიკოლაოს კაკლამანაკისიც იბრძოდა. სწორედ ის კაკლამანაკისი, რომელსაც თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე უმთავრესი ოლიმპიური ჩირაღდნის დანთების პატივი ხვდა წილად. ბერძენმა აფროსანმა ვერცხლის მედალი მოოლო, "ბრინჯაო" კი ბრიტანელი ნიკ დემპსის საკუთრება გახდა.

TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 26 აგვისტო

**НТВ+ФУТБОЛ**
07:30 ოლიმპიადის დღიური
08:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ქალები. მეოთხედფინალი. რუსეთი-ჩეხეთი
10:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ბეისბოლი. ვაჟები. ფინალი. ავსტრალია-კუბა
12:00 ოლიმპიური პრესცენტრი
12:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 51კგ. 75კგ. მეოთხედფინალები
13:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. ცხენოსნობა. წვრთნა. პირადი პირველობა. ფინალი. გრან-პრი
14:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ქალები. მეოთხედფინალი. არგენტინა-იტალია
15:10 ოლიმპიური პრესცენტრი
15:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ვაჟები. მეოთხედფინალი. ესპანეთი-აშშ
18:35 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა. გადაცემა მონაკოდან
19:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. 60კგ, 74კგ, 96კგ. შეხვედრები მე-3 ადგილისთვის. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. მხატვრული ტანვარჯიში. გუნდური პირველობა. კვლიფიკაცია. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. წყალში ხტომა. ქალები. ტრამპლინი 3მ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:55 ოლიმპიური პრესცენტრი
23:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ქალები. ფინალი. აშშ-ბრაზილია
01:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ვაჟები. მეოთხედფინალი. იტალია-პუერტო-რიკო
02:30 ოლიმპიადის დღიური
03:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ბალახის ჰოკეი. ქალები. ფინალი. ჰოლანდია-გერმანია

**НТВ+СПОРТ**
08:30 "ოლიმპიური ოდისეა"
09:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. დღის ანონსი
09:40 "ოლიმპის შვილები"
09:45 ოლიმპიური პრესცენტრი
10:00 გადაძახილი
11:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ტრიატლონი. ვაჟები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
13:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. წყალში ხტომა. ქალები. ტრამპლინი 3მ. ფინალი. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:20 ოლიმპიური პრესცენტრი
14:35 ოლიმპიური თამაშები ათენში. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. 60კგ, 74კგ, 96კგ. ნახევარფინალები
16:10 ოლიმპიური პრესცენტრი
16:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. მხატვრული ტანვარჯიში. გუნდური პირველობა. კვლიფიკაცია. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ოლიმპიური პრესცენტრი
19:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. ტაიკვანდო. ქალები. 49კგ. ვაჟები. 58კგ. ნახევარფინალები. მატჩი მე-3 ადგილისთვის. პირდაპირი ტრანსლაცია
20:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ქალები. ნახევარფინალი. ბრაზილია-რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ტაიკვანდო. ქალები. 49კგ. ვაჟები. 58კგ. ფინალები
23:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. წყალბურთი. ქალები. ფინალი. საბერძნეთი - იტალია
00:00 "მითი და რეალობა"
00:10 "თემა"
00:40 "ოლიმპიური ოდისეა"
01:40 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ქალები. ნახევარფინალი. კუბა-ჩინეთი
03:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ვაჟები. მეოთხედფინალი. საბერძნეთი-არგენტინა

**EUROSPORT**
06:00 ძალოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
07:00 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
08:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
08:15 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
08:45 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
09:00 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
09:30 ბაიდარი და კანოე. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
11:00 ტრიატლონი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:15 წყალში ხტომა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:15 ოლიმპიადის სიახლეები
14:30 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
15:30 ხელბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 მხატვრული ტანვარჯიში. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ფეხბურთი. უეფას კენჭისყრა. პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 მხატვრული ტანვარჯიში. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ფეხბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 ოლიმპიადის სიახლეები
21:15 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 კალათბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 "ოლიმპიკ ექსტრა"
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
02:15 ფეხბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში
03:45 ტრამპლინიდან ხტომა. ოლიმპიური თამაშები ათენში
04:15 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
05:00 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
05:15 კალათბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში

# გულმავიწყი ნიჩბოსანი და გულისხმიერი ტაქსის მძღოლი

ბიბა გურასაშვილი

*ოთხი წელიწადი წელებზე ფეხს იდგამდე, მერე წარმატებას მიაღწიო და ის, რისთვისაც იბრძოდი, ტაქსში დაგრჩეს, წარმოუდგენელი რამაა. არადა, მოგონილი არ გეგონოთ, ნამდვილი ამბავია. დიდი გულმავიწყი ვინმე ყოფილა ჰოლანდიელი ნიჩბოსანი.*

ჰოლანდიელ ნიჩბოსანს სიმწრით მოპოვებული ვერცხლის მედალი ტაქსში დარჩა. ბედად, მძღოლი ღვთისნიერი კაცი აღმოჩნდა, თორემ საიმონ დიდერიკი შინ ხელცარიელი გაემგზავრებოდა.

ორშაბათს მანქანის სავარძელზე აღმოჩენილი მედალი ათენელმა მძღოლმა მის კანონიერ მფლობელს დაუბრუნა.

მანამდე კი გულმავიწყმა ჰოლანდიელმა პოლიციას ამცნო, სამხრეთ ათენის გზატკეცილზე, ბორიალისას ტაქსში ოლიმპიური მედალი დამრჩაო. პოლიციელებიც მიდგნენ-მოდგნენ და ეს ამბავი "ათენი-2004"-ის საორგანიზაციო კომიტეტის ცენტრს შეატყობინეს. ორგანიზატორებმა ქალაქის ყველა სატრანსპორტო კომპანია, მათ შორის, ტაქსისტთა კავშირიც ჩააყენეს საქმის კურსში.

ერთი სიტყვით, ფეხზე დადგა ათენის ხუთი ათასამდე ტაქსის მძღოლი, რომლებიც ორშაბათ ღამით ათენში და მის გარეუბნებში აღმა-დაღმა დაჰქროდნენ.

განგაშს გამოეხმაურა ვინმე იოანის ზავოსი, სწორედ ის, ვისი ყურადღებაც ვერცხლისფრად მოელვარე საგნმა მიიქცია...

ტაქსისტის კეთილსინდისიერების ამბავმა ოლიმპიზმის მამების ყურამდეც მიაღწია. ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ, ალბათ, მძღოლსაც დააჯილდოებენ. "ათენი 2004"-ის პრესასთან ურთიერთობის დირექტორის სერაფიმ კოტროტსოსის ცნობით, ასეთი გადაწყვეტილება "ათენი 2004"-ის საკოორდინაციო კომიტეტისა და სოკ-ის ერთობლივ სხდომაზე მიუღიათ - კეთილსინდისიერებისთვის ტაქსისტს პრიზი გადაეცემაო, კერძოდ, როგორი, ამის შესახებ არაფერს ამბობენ.

იმავე კოტროტსოსის თქმით, ტაქსისტის დაჯილდოება აუცილებელიც კია, რადგან მან საკუთარი პროფესიისა და ქვეყნის ღირსება დაიცვაო.

ფეხბურთი

# დიდი მატჩის წინ: "დინამო" რუბიკონთან

მიხეილ აბაიშვილი

დღეს თბილისის "დინამო" სეზონის უმნიშვნელოვანეს მატჩს გამართავს. უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით შეხვედრაში მისი მეტოქე იქნება პრაღის "სლავია". შეგახსენებთ, რომ "დინამო" ორი კვირის წინ ჩეხეთის დედაქალაქში 1:3 დამარცხდა.

დღეს მატჩია, გუშინ კი "დინამოს" დიღმის ბაზაზე მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ პრესკონფერენცია გამართა.

"ძალიან მოკლედ ვიტყვი: ურთულესი მატჩი მოგველის. იმაზე საუბარს, რომ პირველ შეხვედრაში მარცხს არ ვიმსახურებდით, მით უმეტეს, ორბურთიანი სხვაობით, აზრი აღარა აქვს. ეს უკვე წარსულია და ხვალინდელ თამაშზე უნდა ვიფიქროთ. მეტოქე რომ არაფერს დაგვითმობს, მტკიცება არ სჭირდება. მძიმე დაპირისპირება გველის, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ იმისთვის, რომ "სლავია" საჭირო ანგარიშით დავამარცხოთ და მომდევნო ეტაპზე გავიდეთ", - გეგუჩაძემ პრესკონფერენციაზე წარმოთქმული პირველივე სიტყვებით დაადასტურა, რომ თავის გუნდთან ერთად ბოლომდე იბრძოლებს და ჩეხური ბარიერის გადალახვას შეეცდება.

"სლავიასთან" პირველი მატჩის წინ "დინამოს" სერიოზული პრობლემები ჰქონდა. გეგუჩაძეს, პრაქტიკულად, ლაზარეთი ჰქონდა გახსნილი - მისი გუნდის ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი ტრავმირებული იყო. საბედნიეროდ, გუშინ გაირკვა, რომ "დინამოს" ლაზარეთი თითქმის დაცარიელდა.

"გუნდში სამუშაო განწყობილებაა. რაც მთავარია, ტრავმები მოიშუშეს და გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობენ კვრიკველია, რომერო და ახალაია. რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ მათ საკმაო ხანი გაუცდათ, ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ არიან და მათი ფიზიკური კონდიციები უკეთესს მოითხოვს. რომერომ უკვე ითამაშა ქუთაისის "ტორპედოს" წინააღმდეგ. კვირკველიას და ახალაიას ტრავმის შემდეგ სათამაშო პრაქტიკა აკლიათ, თუმცა, მთავარია, რომ ორივე ჯანმრთელადაა. წინასწარ მაინც ვერ ვიტყვი, ეს ფეხბურთელები ხვალ ითამაშებენ თუ არა. დღეს, ვარჯიშის შემდეგ, ბაზაზე გამოვაკრავ იმ 18 ფეხბურთელის სიას, რომლებიც სამატჩო განაცხადში აღმოჩნდებიან", - განაცხადა გეგუჩაძემ.

"დინამოს" დამრიგებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს "მეთორმეტე ფეხბურთელს" ანუ გულშემატკივარს. მისი აზრით, ხვალ მატჩის ბედი გარკვეულწილად სწორედ ქომაგებზე იქნება დამოკიდებული.



*გეგუჩაძემ იცის, რომ "სლავია" არაფერს დაუთმობს.*

"ყოველთვის ვფიქრობდი, რომ გულშემატკივარს დიდი როლი ენიჭება გუნდების წარმატება-წარუმატებლობაში. ამ მხრივ, არც "დინამოა" გამონაკლისი. გულშემატკივრების გვერდში დგომა ჩვენთვის აუცილებელია, მაგრამ ხვალ ეს განსაკუთრებით გვჭირდება. მინდა მოვუწოდო "დინამოს" ყველა გულშემატკივარს, რომ ხვალ მოვიდეს სტადიონზე და თავისი ქომაგობით ბიჭებს დამატებითი ენერგია შეჰმატოს. რა თქმა უნდა, ამ ეტაპის დაძლევის შემთხვევაში ყველა დინამოელი მატერიალურადაც წახალისდება, მაგრამ ფული თქვენს გულშემატკივრობასთან შედარებით არაფერია", - აი, ასეთი მოწოდება გაისმა გეგუჩაძის მხრიდან.

გულშემატკივრებისადმი მთავარი მწვრთნელის მიმართვას რამდენიმე სიტყვას დავუმატებ. "დინამო" პრაღაში დამარცხდა 1:3, მაგრამ, მერწმუნეთ, როგორც იმ მატჩის თვითმხილველს, რომ ჩვენი გუნდი ამ მარცხს ნამდვილად არ იმსახურებდა. "დინამომ" ღირსეულად იბრძოლა, მოედნის ერთი გოჯიც არ დაუთმო მეტოქეს, იგებდა კიდეც, გოლებიც უნდა გაეტანა, მაგრამ ნამდვილად არ გაუმართლა. რაც მთავარია, იმ მატჩმა დამიტოვა იმედი, რომ "დინამო" ამ ბარიერს გადალახავს. მერე კი მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი და ორი ეტაპის გავლით მოპოვებული საკუთარი ძალების რწმენაა. მერე სულ ერთი ნაბიჯია იქამდე, რომ "დინამო" უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში მოხვდეს და ევროპული საფეხბურთო წრეების ყურადღება მიიქციოს. მერე სულ ერთი ნაბიჯია იმ ოცნების ასრულებამდე, უიმედობაში ჩავარდნილ ქართველ ქომაგს ფანტაზიად რომ ეჩვენება. ეს არ არის უტოპია, რადგან ჩვენ ზვიადაური და ასანიძე გვყავს. "დინამოს" დღევანდელი თაობაც ზვიადაურისა და ასანიძის გორისაა. მაგრამ ეს რომ მოხდეს, დღეს უნდა მოვიგოთ. ხოლო დღეს რომ მოვიგოთ, ყველამ ერთად უნდა მოვინდომოთ და ეს მონდომება ეროვნულ სტადიონზე, "დინამოს" ერთსულოვან შეძახილში უნდა გამოვხატოთ. თუ ერთად დავდგებით, გარწმუნებთ, "დინამო" არ შეგვარცხვენს და აუცილებლად გადალახავს რუბიკონს. მაშ ასე: "დინამოსა" და ქართული ფეხბურთის ყველა იმედიან თუ უიმედო გულშემატკივარს დღეს ეროვნულ სტადიონზე გელოდებით. მერწმუნეთ, დასწრება სავალდებულოა.

# იოზეფ ცაპლარი: "თბილისში მოსაგებად ჩამოვედით"

მიხეილ აბაიშვილი

პრაღის "სლავია" საკმაოდ თავდაჯერებული ჩამოვიდა თბილისში. საერთოდ, იმისთვის, რომ აკლიმატიზაცია ნორმალურად გაიარო, სულ მცირე, უცხო ქვეყანაში 76 საათი მაინც უნდა დაყო. "სლავიას" შეფობამ ეს ვადა საჭიროდ არ ჩათვალა და ჩარტერული რეისით გუშინ, შუადღისას ჩამოფრინდა. პირველი მატჩის ხასიათიდან გამომდინარე, წესით, ჩეხებს ასეთი გულარხეინობის საფუძველი არ უნდა ჰქონდეთ. მართალია, მათ გაიმარჯვეს სოლიდური ანგარიშით (3:1), მაგრამ ეს მათ მიმართ ფორტუნას უაღრესი კეთილგანწყობის შედეგია და არა "სლავიასა" და "დინამოს" სათამაშო კლასს შორის სხვაობის. "დინამოს" რომ სულ ცოტათი გამართლებოდა, არათუ არ დამარცხდებოდა, არამედ, შეიძლება გამარჯვებულიც კი დაბრუნებულიყო პრაღიდან.

სხვათა შორის, ეს გუშინდელ პრესკონფერენციაზე არც "სლავიას" მთავარ მწვრთნელს იოზეფ ცაპლარს უარუყვია.

"პირველ მატჩში გავიმარჯვეთ, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ გაგვიმართლა კიდეც. "დინამომ" ბრწყინვალედ ითამაშა და ცოტა რომ გამართლებოდა, ძალზე გაგვიჭირდებოდა. ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს ხვალინდელ მეტოქეს და მის პროფესიონალიზმს. "დინამო" ძალიან კარგი გუნდია და დაკომპლექტებულია მაღალტექნიკური, სწრაფი და მოაზროვნე ფეხბურთელებით. ამის მიუხედავად, საკუთარ მოედანზე მოპოვებული უპირატესობა და ჩემი გუნდის შესაძლებლობები მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მომდევნო ეტაპზე ჩვენ გავალთ. არც იმას უარვყოფ, რომ ურთულესი მატჩი გველის. შეიძლება დავმარცხდეთ კიდეც, მაგრამ შემდეგ ეტაპზე მაინც "სლავია" გავა", - ოპტიმისტურადაა განწყობილი ცაპლარი.

ჩეხი მწვრთნელის თქმით, მისი გუნდი როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად ბრწყინვალედ არის მომზადებული და "დინამოს" ბარიერის დაძლევა არ გაუჭირდება.

"რამდენად კარგად ვართ მომზადებული გნებავთ ფიზიკურად, გნებავთ ფსიქოლოგიურად, ამაზე პირველი შეხვედრაც მეტყველებს. პრაღაში პირველი ტაიმი 0:1 წავაგეთ, მაგრამ მეორე ნახევარში სამი გოლი გავიტანეთ და დამაჯერებლადაც გავიმარჯვეთ. ასე რომ, არც ხვალ ვაპირებთ წაგებას", - იმედიანადაა მწვრთნელი.



*ცაპლარი გამარჯვებაზე ფიქრობს.*

პირველ შეხვედრაში "დინამოს" ტრავმების გამო ხუთი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა. ამჯერად ვითარება შეიცვალა: დინამოელები გამოჯანმრთელდნენ, ხოლო "სლავია" პრობლემების წინაშეა.

"ტრავმების გამო ორი წამყვანი ფეხბურთელი, გედეონი და ჰოლენაკი დაგვაკლდება. გედეონი მაინც ჩამოვიყვანეთ თბილისში და მცირე შანსი არსებობს, რომ მან მოედანზე გამოსვლა შეძლოს. ჰოლენაკი კი ჯერაც მკურნალობს და იგი პრაღაში დარჩა. თუმცა, ეს ფეხბურთელები პირველ მატჩშიც დაგვაკლდა და მათ გარეშეც გავიმარჯვეთ. გედეონი და ჰოლენაკი ჩვენი გუნდისთვის დიდი დანაკლისია, მაგრამ იმედი მაქვს, სასურველ შედეგს ამჯერადაც მათ გარეშე მივაღწევთ", - არც ახლა უღალატა ოპტიმიზმმა ჩეხ მწვრთნელს.

ცაპლარი ორი წლის წინაც იყო ჩამოსული თბილისში "ლიბერეცთან" ერთად და მაშინ ამ გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტის მოვალეობას ასრულებდა. მან გაიხსენა ის თამაში და ერთგვარი პარალელი გაავლო ორი წლის წინანდელ და დღევანდელ "დინამოს" შორის.

"დინამოს" მონაწილეობით უკვე სამი მატჩი ვნახე და სამჯერვე ამ გუნდმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მართალია, ეს თამაშები ერთმანეთისგან განსხვავებული იყო, "დინამოს" შემადგენლობაც საგრძნობლად გადახალისდა, მაგრამ ერთი რამ უცვლელია: თქვენი გუნდის კლასი და ოსტატობა და პროფესიონალიზმის ხარისხი არ შემცირებულა. კიდევ გავიმეორებ: პატივს ვცემთ მეტოქეს და მის შესაძლებლობებს, მაგრამ მომდევნო ეტაპზე მაინც ჩვენ გავალთ", - კომპლიმენტები არ დაუშურებია, მაგრამ მაინც თავისი გუნდის წარმატებაში დარწმუნებულია ცაპლარი.

რამდენად რეალური საფუძველი აქვს ცაპლარის ოპტიმიზმს, დღეს ეროვნულ სტადიონზე დავინახავთ.

# ფერნანდო იერო: "რეალში", ალბათ, აღარასოდეს დავბრუნდები"

*ფერნანდო იერო ყატარიდან დაბრუნდა და ინგლისურ "ბოლტონთან" ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მადრიდის "რეალის" ყოფილ კაპიტანს კარგად ესმის, რომ, შესაძლოა, მომავალი სეზონი უკანასკნელი აღმოჩნდეს მის კარიერაში. იეროს სურს, რომ უკანასკნელად შეიგრძნოს წმინდა საფეხბურთო ატმოსფერო, რომელიც, მისი აზრით, მხოლოდ ინგლისში შემორჩა.*

**- როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი სეზონი ინგლისში?**

- ის კარგი იქნება. ფეხბურთის ირგვლივ არსებული ატმოსფეროთი და ტრადიციებით ინგლისი ყოველთვის იპყრობდა ჩემს ყურადღებას. არავის მოტყუება არ მსურს, კარგად ვიცი, რომ ეს სეზონი, შესაძლოა, უკანასკნელი აღმოჩნდეს ჩემს კარიერაში. ამიტომაც მინდა, რომ ის საფეხბურთო ატმოსფერო შევიგრძნო, რომელიც ინგლისში სუფევს.

**- ესპანეთის ლიგა ის ადგილია, სადაც ფეხბურთის თამაშისგან ნაკლებ სიამოვნებას იღებენ? იქ მეტი ვალდებულებებია?**

- ადგილი, სადაც ფეხბურთმა ყველაზე ნაკლებად განიცადა ცვლილება, ინგლისია. ესპანური ფეხბურთი მარკეტინგისა და კომერციის გარემოცვაშია. პრემიერ-ლიგაში კი უმთავრესად სპორტულ მხარეს ენიჭება უპირატესობა.

**- არიან მადრიდელები, რომელთაც სურდათ, რომ თქვენი კარიერა "რეალში" დასრულებულიყო.**

- ყველაზე მეტად მინდა, რომ კარიერის მიწურულს უმაღლეს დონეზე ვითამაშო, ყოველდღიურად ვივარჯიშო. ფეხბურთის მიტოვება ძნელი იქნება, მაგრამ არ მეშინია. თავს კარგად რომ არ ვგრძნობდე, ინგლისში არ წამოვიდოდი.

**- "რეალში" მომხდარი უსიამოვნო ფაქტების შემდეგ ყატარში თქვენი წასვლა უფრო გაქცევას ჰგავდა.**

- დიახ, ეს დროებითი გაჩერების მაგვარი რამ იყო. ეს მე მჭირდებოდა. საკმაოდ შორს წავედი, რათა ყველაფრისთვის სხვა თვალით შემეხედა. ეს უდიდესი გამოცდილება იყო.

**- როგორ ფიქრობთ, როგორ შეაფასებს მადრიდელი გულშემატკივარი თქვენს ფიგურას?**

- ამ ადამიანების მიმართ მხოლოდ მადლიერების სიტყვები შემიძლია ვთქვა. შესაძლებელი იყო, "რეალიდან" ჩემს წასვლას უკეთესი ფორმა ჰქონოდა, მაგრამ კლუბი კლუბია, ხალხი კი ხალხი.

**- თქვენს შესახებ უამრავი ლეგენდა დადის. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, გუნდს თქვენი სურვილისამებრ მართავდით...**

- არ მესმის, თუ რატომ საუბრობდნენ განუწყვეტლივ ასეთ რამეებს... ვისაც სიმართლე აინტერესებს, ჯობს, ჩემს პარტნიორებს ჰკითხოს. მე არასოდეს მიცდია, გუნდი მემართა. არასოდეს. არა, არა და კიდევ ერთხელ არა! ერთადერთი, რაც იყო, ის არის, რომ მე, როგორც კაპიტანი, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას ვიღებდი და ვზრუნავდი, რომ გუნდი ერთ მუშტად შეკრული ყოფილიყო. მეტსაც გეტყვით. იმ ღამეს, როდესაც მე "რეალიდან" მივდიოდი, ყველასთვის ცნობილი ამბები სწორედ იმიტომ მოხდა, რომ მე კოლექტივს ვიცავდი. თუმცა, მე არასოდეს ვმართავდი მას.

**- დაძაბული ურთიერთობა გქონდათ პრესასთანაც...**

- არა მგონია, რომ პრესასთან განსაკუთრებით ცუდი ურთიერთობა მქონდა. ჰკითხეთ ამის შესახებ ჩემს პარტნიორებს, მეეჭვება, რომ მათ პრეტენზიები ჰქონდეთ ჩემს მიმართ. ჟურნალისტის პროფესიას ყოველთვის პატივს ვცემდი. თუმცა, არასოდეს ვუმხელდი მათ ჩემი პირადი ცხოვრების დეტალებს. გარკვეულ ადგილებში სასადილოდ არ დავდიოდი და ასე შემდეგ... ეს კი ზოგიერთებს არ მოსწონდათ.

**- კიდევ დადის ჭორები, თითქოს თქვენ დელ ბოსკეს მიუთითებდით, თუ ვინ უნდა დაეყენებინა შემადგენლობაში და ვინ არა.**



*იერო "ბოლტონში" ითამაშებს.*

- ამ საკითხთან დაკავშირებით მისთვის არასოდეს არაფერი მითქვამს, შეგიძლიათ, თავად დელ ბოსკეს ჰკითხოთ. ვისენტესთან შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა, წინა პლანზე კი თანაგუნდელთა პატივისცემა დგას. მე არასოდეს წავიდოდი მათ წინააღმდეგ.

**- ისეთი შეგრძნება ხომ არ გეუფლებათ, თითქოს დღევანდელ ფეხბურთს კაბინეტში მსხდომი ადამიანები უფრო მართავენ, ვიდრე თავად ფეხბურთელები?**

- ჩემთვის ძალიან საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დღეს ამა თუ იმ ფეხბურთელის ყიდვისას მოთამაშის სპორტულ შესაძლებლობებზე მეტად მის კომერციულ ღირებულებას უფრო აქცევენ ყურადღებას. ეს არ მესმის. მთავარი ფეხბურთელის კლასია. უპირველესი ყოველთვის ბურთია. ეს წმინდაა. "რეალში" კი ეს აღარ ესმით.

**- როგორ ფიქრობთ, ფლორენტინო პერესს გაეგება რაიმე ფეხბურთში?**

- ესმის თუ არა მას ფეხბურთი? როგორც მე ვიცი, ის უკვე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არის კლუბის წევრი. ცხადია, ფეხბურთი მას უნახავს, მაგრამ არ ვიცი... ამ ოთხი წლის განმავლობაში ის იმ ადამიანების გარემოცვაში იყო, რომელთაც რაღაც გაეგებათ ფეხბურთში. არ ვიცი, ვფიქრობ, რომ ესმის...

**- როგორ შეაფასებდით სამუელის ყიდვის ფაქტს და გუნდში მორიენტესის დაბრუნებას?**

- ფეხბურთელები მოდიან და მიდიან, ასეთია ცხოვრება. მაისურა "რეალის" საკუთრებაა და ამ მაისურას იმას ჩააცმევს, ვისაც თავად ჩათვლის საჭიროდ. მაკელელე ფენომენური მოთამაშე იყო და, მიუხედავად ამისა, მაინც წავიდა კლუბიდან. მორიენტესი შესანიშნავი ადამიანი და ფეხბურთელია, მაგრამ ისიც წავიდა. კარგია, რომ ახლა ის დაბრუნდა. გუნდმა ეს კარგად გამოიცნო.

**- რას იტყვით კლუბიდან ვალდანოს წასვლაზე?**

- არაფერს. ეს არც კარგია და არც ცუდი.

**- სამუელის ყიდვაზე?**

- მისი ყიდვით კლუბმა მოიგო. ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველია. არა მგონია, ჩემი და მისი შედარება სწორი იყოს. ამას აზრი არა აქვს.

**- გულწრფელად თქვით: გაგაკვირვათ თუ არა მაიკლ ოუენის შეძენის ფაქტმა?**

- *(ოთხი წამის განმავლობაში ფიქრობს)*. დიახ.

**- რატომ?**

- ამას არ ველოდი.

**- ყველანი ნახევარმცველს ველოდით...**

- ეს მწვრთნელების შესაფასებელია. მთავარია, რომ კამაჩოს ყველაფერი აქვს, რათა ტიტულები მოიგოს.

**- როგორ ფიქრობთ, როდის ვიხილავთ უწინდელ რაულს?**

- ეს რომ ჩემი ნება იყოს, გეტოდით, რომ ხვალ. ასეა თუ ისე, ჩვენი ქვეყნით დიდად აღფრთოვანებული ვარ. თავის ეგრეთ წოდებულ ცუდ სეზონში რაულმა 25 გოლი გაიტანა ნაკრებისა და "რეალის" შემადგენლობაში. მგონი, პრესას ბეზრდება ერთი და იგივე ფეხბურთელების ყურება და რაკი რაული უკვე ათი წელია სპორტულ ელიტაშია, მისი კრიტიკა დაიწყეს. მას შემდეგ, რაც ამ საბრალომ კაპიტნის სამკლაური მოირგო, პრესის აზრით, ის ყველაფერს ცუდად აკეთებს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ყველაფერი, რასაც ის აქამდე აკეთებდა, არაფერს ნიშნავს. საქმე ის არის, რომ რაულს ცხოვრების თავისებური ფორმა აქვს. ის პატიოსანი, გულწრფელი ადამიანია და ამის გამო ხარკის გადახდა უწევს. ის თავისი ცხოვრების წესის გამო ზარალდება და არა სპორტული წარმატებებისა თუ წარუმატებლობების გამო.

**- უკანასკნელი კითხვა. მართალია, რომ "რეალთან" ღირსეულად გამომშვიდობება არ გსურთ?**

- მე შემომთავაზეს გამოსამშვიდობებელი მატჩის მოწყობა, მაგრამ არ ვისურვე. როდესაც უკანასკნელ მატჩში დელ ბოსკემ შემცვალა და მოედნიდან გასულს მთელი "ბერნაბეუ" ფეხზე მდგომი მიკრავდა ტაშს, ეს მე სწორედ გამომშვიდობებად აღვიქვი. კლუბთან ჩემი ახლანდელი ურთიერთობა არც კარგია და არც ცუდი. ურთიერთობა საერთოდ არ არსებობს. რა იქნება მომავალში? "რეალმა" იცის, სად ვარ და მეც ვიცი, სად არის "რეალი". მაგრამ არ ვიცი, დავბრუნდები, თუ არა... ვფიქრობ, რომ არა. მე არასოდეს გავხდები მწვრთნელი.

# სასჯელი



1945 წლის გაზაფხულზე ვერმახტი ტოვებდა იტალიას. მილანიდან გზაზე **ბენიტო მუსოლინიმ** გერმანელების ავტოკოლონას შეაფარა თავი. ერთგული **კლარეტა პეტაჩი** აქაც დუჩეს გვერდით იყო. გერმანელებმა მუსოლინის თავიანთი ფორმა ჩააცვეს, მაგრამ ერთ-ერთ ბლოკ-პოსტზე პარტიზანმა **ჯუზეპე ნეგრიმ** მაინც იცნო "ილ ტესტონე" — "თავგასიებული", როგორც ხალხში უწოდებდნენ. დუჩე დააპატიმრეს და კომოს ტბის ნაპირას, პარტიზანთა ძველი მასპინძლის, ვინმე **დე მარიას** კუთვნილ ფერმაში მიუჩინეს ბინა. აქ, **ჯულინო დი მეძეგრად** წოდებულ პატარა სოფელში გაატარეს ყოფილმა დიქტატორმა და მისმა სატრფომ თავიანთი სიცოცხლის უკანასკნელი და ამავე დროს პირველი ღამე.

ოთხი პარტიზანისაგან (მათ შორის ერთი ქალი იყო) ბადრაგმა იტალიის გათავისუფლების კომიტეტს ამცნო ფაშისტთა ბელადის მდგომარეობა. ამერიკელები უკვე ითხოვდნენ მის თავს გასასამართლებლად და მნიშვნელოვანი იყო, რომ დუჩე თვით იტალიელთა ხელით გასამართლებულიყო. ყველა — სოციალისტებიც და კომუნისტებიც — იმთავითვე დარწმუნებული იყო, რომ ჯობდა ჩუმად დაეხვრიტათ, ვიდრე ხმაურიანი საერთაშორისო პროცესისათვის გადაეცათ დამარცხებული დიქტატორი. ამგვარად, იტალიურ ანტიფაშისტურ წინააღმდეგობას იმედი ჰქონდა, რომ საკუთარ ერს ფაშიზმის სამარცხვინო ლაქას მოსწმენდდა. ანტიფაშისტებმა დუჩეს ბედი ერთ ღამეში გადაწყვიტეს: **ვალიანი**, **პერტინი**, **სერენი** და **ლონგო** — გათავისუფლების კომიტეტის უმაღლესი ფუნქციონერები — ერთად არც კი შეკრებილან, ტელეფონით დაუკავშირდნენ ერთმანეთს და დაადგინეს, რომ შექმნილი საგანგებო ვითარების გამო, მუსოლინი ყოველგვარი გასამართლების გარეშე უნდა დახვრეტილიყო. ლონგომ გენერალ **რაფაელე კადორნას**, ანტიფაშისტური წინააღმდეგობის ძალთა მთავარსარდალს, მუსოლინის გასატარებელი საშვი სთხოვა. ამ პიროვნების ხელში საკმაო ძალაუფლება იყო თავმოყრილი და ყველა ოფიციალური დოკუმენტი მხოლოდ მისი ხელმოწერით გამოდიოდა. საჯარო დეკრეტებს ეწერა: firmato — Cadorna (ხელმოწერილია — კადორნა). რის გამოც, დიალექტზე მოლაპარაკე მიყრუებულ იტალიურ სოფლებში პირველი სიტყვა ყოვლისშემძლე ადამიანის სახელი ეგონათ და მოგვიანებით ვაჟებს **ფირმატოს** არქმევდნენ. კადორნა მოგვიანებით იგონებდა: "მაშინვე მივხვდი, რომ მის დასახვრეტად მიემგზავრებოდნენ, მაგრამ მაინც არ შევიმჩნიე და ხელი მოვაწერე". ეს მინისტრი არ ყოფილა ანტიფაშისტური მოძრაობის აქტივისტი, მაგრამ ისიც ფიქრობდა, რომ ისევ იტალიელებს უნდა გადაეწყვიტათ თავიანთი დამარცხებული ბელადის ბედი.

ახლა უკვე ყველაფერი ორი პარტიზანის, **ვალტერ აუდიზიოსა** და **ალდო ლამპრედის** ხელთ იყო. პირველი განსაკუთრებული სიფიცხით გამოირჩეოდა. ბოლო დღეებში დაპატიმრებულთა სია მოითხოვა და სასიკვდილო განაჩენის ნიშნად ყველას ჯვარი დაუსვა. როცა შეახსენეს, რომ კლარეტა პეტაჩი დამნაშავე არ ყოფილა, აფეთქდა: "მუსოლინის მრჩეველი იყო ბოლო წლების განმავლობაში. ყველაფერი მისი ბრალია". აუდიზიომ და ლამპრედიმ გამცილებლად თან ვინმე **მორეტი** წაიყვანეს და ფერმისაკენ გასწიეს. გზაზე საგანგებოდა შენიშნეს დასახვრეტად ხელსაყრელი ადგილი — მოსახვევი, ჭიშკარს მიღმა ხშირი ხეხილის ბაღი და აშკარად მიტოვებული სახლი. განთიადისას ფერმიდან სიკვდილმისჯილები გამოიყვანეს. მუსოლინის ჟღალი ფერის ლაბადა ეცვა, კლარეტას კი სოფლის გზებზე სიარული უჭირდა მაღალქუსლიან ნატის ფეხსაცმელებში. უთხრეს, რომ მათ გასათავისუფლებლად იყვნენ მოსულნი. 1973 წელს გარდაცვლილი აუდიზიო იგონებდა: "ავტომატიდან ხუთი გასროლა ვაწარმოე და სამხედრო დამნაშავე ჩაიკეცა, კედელს მიყრდნობილი ჩამოსრიალდა, თავი მკერდზე ჩამოუვარდა; თავზარდაცემული პეტაჩი უაზროდ მოჰყვა ხელების ქნევას; მასაც ვესროლე და მიწაზე დავარდა. 1945 წლის 28 აპრილი იყო, 16 საათი და 10 წუთი".

მაგრამ ამით ვალტერ აუდიზიო (საბრძოლო მეტსახელი — პოლკოვნიკი ვალერიო) არ დაწყნარებულა. დაუყოვნებლად მოითხოვა სხვა დაპატიმრებულთა დასჯაც. მილანის მახლობელი პატარა ქალაქის, დონგოს მთავარ მოედანზე მუსოლინის უახლოესი გარემოცვა შეკრიბეს. მოიყვანეს მღვდელი, რათა მსურველებისაგან აღსარება მოესმინა. ამას ავტომატის ჯერი მოსდევდა. აუდიზიომ შენიშნა, რომ ერთი აკლდა: ახოვანი ყმაწვილი, რომელმაც წინადღით ესპანელ დიპლომატად გაასაღა თავი, მაგრამ არ გაუმართლა, რადგან პოლკოვნიკმა ვალერიომ ესპანური კარგად იცოდა. ყველას ეს ჭაბუკი ბენიტოს ვაჟი, **ვიტორიო მუსოლინი** ეგონა, სინამდვილეში კი კლარეტას ძმა, **მარჩელო პეტაჩი** იყო. ხელმეორედ აღმოჩენილმა მარჩელომ იმარჯვა და კომოს ტბაში გადახტა — აუდიზიოს ტყვია წყალში დაეწია. ამ დავიდარაბაში სრულიად გაიძარცვა და უკვალოდ გაქრა ფაშისტების სალარო.

მაგრამ შურისძიების წყურვილი აუდიზიოს არც ახლა განელებია. დახვრეტილთა გვამები სატვირთო მანქანის ძარაზე დაახვავა და შეღამებულზე მილანისკენ გაეშურა. გზად ჯულია დი მეძეგრაში შეიარა და ბენიტოსა და კლარეტას ცხედრებიც გაიყოლა. მილანში შუაღამის შემდეგ ჩააღწია და გვამები ლორეტოს მოედანზე ჩამოტვირთა, სადაც საჯარო ბაზრობის ფიცარნაგი იყო აღმართული. მიზანსცენა სრულყოფამდე იყო მიყვანილი, როცა ზოგი ცხედარი ხარიხებზე თავდაყირა ჩამოკიდეს, როგორც საყასბოში. სამხრეთამერიკული რევოლუციის ან ერაყული გადატრიალების საკადრისმა ამ სცენამ სრულიად აჰყარა პატივი მას, ვინც მისი გამართვა ისურვა, და მას, ვინც ნება დართო. გავეშებულმა ბრბომ კი თვითონ თქვა უარი საკუთარ ღირსებაზე, როცა აფურთხებდა და სიბინძურეს ესროდა უსიტყვო გვამებს. ასე ხდება, როცა წარმოშობის თუ დაბადების შემთხვევითი გარემოებით გაერთიანებულ ადამიანებს ერთიანად და განურჩევლად მონათლავენ "ერად" და ამ სიტყვის მნიშვნელობას ლამის ზეცად აიყვანენ. მაფურთხებელნი იყვნენ სწორედ ის "პოპოლო", რომელიც რამდენიმე თვის წინ ხელისგულზე დაატარებდა თავის სანატრელ დუჩეს.

ამის შემდეგ კიდევ მრავალი ფაშისტი და ფაშისტობაში ეჭვმიტანილი გამოესალმა სიცოცხლეს — ზოგი შესაბამისი პროცედურების შედეგად და ზოგიც უპროცედუროდ. ყველაზე ობიექტური ანგარიშით, საერთო სახალხო შურისძიების მსხვერპლთა რიცხვი მილანში 3000, ხოლო მთელ ჩრდილოეთ იტალიაში 12-15 ათასი იყო.

# დუჩე

(ხანგრძლივი ავანტიურის დასასრული)

1940 წლის 10 ივნისს **კლარეტა პეტაჩის** ბინაში ტელეფონის ზარი გაისმა. ყურმილი კლარეტას უმცროსმა დამ, მირიამმა აიღო. "ცოტა ხანში ომს გამოვაცხადებ, — გაისმა მუსოლინის ხმა, — იძულებული ვარ გამოვაცხადო". "ხანმოკლე იქნება, დუჩე?" — იკითხა **მირიამმა**. "ხანგრძლივი იქნება. არანაკლებ ხუთი წელიწადისა".

იმავე დროს, მუსოლინის სიძე, ქალიშვილის ქმარი და საგარეო საქმეთა მინისტრი, **გალეაცო ჩანო** უკვე აკაკუნებდა საფრანგეთის ელჩის, **ფრანსუა პონსეს** კარზე, რათა ომის გამოცხადების საბუთი გადაეცა. "დავარდნილ ადამიანს გაუყარეთ ხანჯალი, მაგრამ გერმანელები მკაცრი ბატონები არიან და ამას მალე თქვენც იგრძნობთ", — მიუგო ელჩმა.



გათავისუფლებული მუსოლინი გრან სასოში

დიახ, საფრანგეთი უკვე დაჩოქილი იყო გერმანული სამხედრო მანქანის ძალით. იტალიურ ფაშიზმს კი რამდენიმე კვადრატული კილომეტრი ტერიტორიის დაპყრობა და რამდენიმე ლიტრი სისხლის დაღვრა მაინც სჭირდებოდა, რათა თავის უმცროს ჩრდილოელ ძმას არ ჩამორჩენოდა. საფრანგეთის ფრონტზე იტალიური გამარჯვებები მართლაც ამ საზომით შემოიფარგლებოდა: ჩრდილოეთში მუსოლინის ნასუფრალი შეხვდა, ამიტომ რამდენიმე თვეში საბერძნეთის ჯერი დადგა. ამის შესახებ გერმანელებმაც კი არ იცოდნენ.

საბერძნეთში იმ დროს ფაშისტური ყაიდის რეჟიმს გენერალი **იოანე მეტაქსასი** ედგა სათავეში. მაგრამ საბერძნეთზე ფაშისტთა სოლიდარობა რატომღაც არ ჭრიდა: მთავარი იყო ლუკმის სიმსუყე. ასე რომ, 1940 წლის 28 ოქტომბერს, ღამის 3 საათზე იტალიის საელჩოს სამხედრო ატაშე მეტაქსასის ბიზანტიურ სტილში აგებულ ვილას მიადგა. სტუმართან ღამის პერანგში გამოსული ჩასუქებული გენერალი ჯერ კარგა ხნის განმავლობაში კითხულობდა ულტიმატუმის ტექსტს (დილის 6 საათამდე უნდა გაეცა საყოველთაო დანებების ბრძანება!), მერე კი ფრანგულად წარმოთქვა: "მაშასადამე, ომია... რა გაეწყობა, ძალა თქვენს ხელთაა". სხვა ვერაფერი მოიფიქრა, და წუწუნს მოჰყვა, რომ ბრძანების გასაცემად სამი საათი არ ეყოფოდა.



ერთ-ერთი უკანასკნელი აღლუმი

გერმანელები საოცრად განრისხდნენ. საგარეო საქმეთა მინისტრი, **იოახიმ რიბენტროპი** ნიშნის მოგებით ამბობდა: "იტალიელები შემოდგომის ტალახსა და ზამთრის თოვლში ჩაეფლობიან". კაცმა რომ თქვას, სწორედ ასე მოხდა: ბერძენი მარშლის, **პაპაგოსის** არმიამ ჯერ საკმაოდ ეფექტური წინააღმდეგობა გაუწია იტალიელებს, შემდეგ კი ორივე არმიას მალე დაეტყო დაღლა და ომიც პოზიციურ ბრძოლებში გაიწელა. 1941 წელს ბერძნულ კამპანიას ისევ გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა, ეგრეთ წოდებულმა ვერმახტმა დაუსვა წერტილი, როცა 9 აპრილს ელვის სისწრაფით შეიჭრა თესალონიკში. 12 აპრილს მარშალმა პაპაგოსმა საყოველთაო უკანდახევა ბრძანა. 20 აპრილს ბერძნულმა ჯარმა ზავი სთხოვა გერმანელებს. ჰიტლერის მოთხოვნით ბერძენთა კაპიტულაციის მიღება მხოლოდ მისი პირადი ბრძანებით უნდა ყოფილიყო შესაძლებელი — ფიურერს იტალიელთა ღირსების შენარჩუნება უნდოდა. ვერმახტის გენერალი **ჰალდენი** კი თავის დღიურში წერდა: "ამან კიდევ უფრო სასაცილო გახადა იტალიელების როლი, რადგან ყველასათვის ცხადი იყო, რომ ბერძნებს ზავის თხოვნის მომენტში საერთოდ აღარ ჰქონდათ არავითარი კონტაქტი იტალიელებთან".

ასევე წარუმატებელი იყო იტალიელების საომარი მოქმედებები ეთიოპიაში ინგლისელების წინააღმდეგ. მაგრამ ვერაფერი შეედრებოდა იმ დანაკარგებს, რაც იტალიის არმიამ საბჭოთა ფრონტზე განიცადა, განსაკუთრებით, სტალინგრადთან. სულ რუსეთის მიმართულებით 229.000 იტალიელი იბრძოდა. აქედან 29.690 შინ დაჭრილი ან მოყინული დაბრუნდა, 10.030 სამხედრო ტყვე საბჭოთა კავშირმა ომის შემდეგ დააბრუნა სამშობლოში, 74.800 კაცი კი დაღუპულად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ჩაითვალა.

ერთი სიტყვით, 1943 წლისთვის რეჟიმი ღრმა აგონიაში იმყოფებოდა. ამას ისიც დაემატა, რომ 9-10 ივლისის ღამეს სიცილიის ნაპირს მიუახლოვდა ინგლისისა და აშშ-ს გაერთიანებული არმია: 150.000 ჯარისკაცი, 600 ტანკი და 1000 ქვემეხი. წინააღმდეგობა სუსტი იყო: სიცილიაში სძულდათ მუსოლინი და უყვარდათ ამერიკელები. ფაშისტური ალიანსის მხრიდან გერმანელი ჯარისკაცების დანაკარგები იტალიელთა მხრიდან დაღუპულებს სჭარბობდა. სიცილიის დაკარგვასთან ერთად იტალიის მეფემ, **ვიტორიო ემანუელე III**-მ მუსოლინის თავიდან მოშორება გადაწყვიტა.

1945 წლის 25 ივლისს მეფემ დუჩე თავის რეზიდენციაში დაიბარა და მასთან ოცწუთიანი საუბარი ჰქონდა. მოხუცმა და ბუზღუნა მონარქმა უბრალოდ წინასწარ მომზადებული ტირადით მიმართა მუსოლინის: "ხომ იცით, როგორ მიყვარხართ, ეს მრავალგზის დამიმტკიცებია, მაგრამ ახლა მოვიდა დრო, რომ გამათავისფლოთ და სხვებს დაუთმოთ მმართველობა. ვფიქრობ, მარშალი ბადოლიო შესაფერისი პიროვნება უნდა იყოს". მეფის კაბინეტიდან გამოსული დუჩე მისი ნების საწინააღმდეგოდ რომის გარეუბანში, კურსანტთა ყაზარმაში წაიყვანეს. იქ, ღამის პირველ საათზე, ბადოლიოსაგან მიიღო ოფიციალური წერილი, რომელშიც ეწერა, რომ ასე მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მოექცნენ. მუსოლინიმ მადლობა გადაუხადა მარშალს.

ცოტა ხანში დუჩე საშინაო პატიმრობაში მოათავსეს აპენინის მთებში, გრან სასოს მწვერვალთან ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე. მისი ცოლ-შვილი ამ დროს მიუნხენში იმყოფებოდა. 45 დღის შემდეგ მოვლენათა მსვლელობაში გერმანია ჩაერია. ჰიტლერს იტალიის სახით მოქმედი ვასალი სჭირდებოდა, ამიტომაც გადაწყვიტა დაებრუნებინა მისთვის ბელადი, თუმცა გვარიანად შეფერთხილი და დაშინებული. ოპერაციისათვის შეირჩა SS-ის კაპიტანი, ავსტრიელი ნაცისტი **ოტო სკორცენი** — კინოგმირის გარეგნობის მქონე გოლიათი, რომელსაც სახეზე ბედუინის ხმლის ნაკვალევი აჩნდა.

1943 წლის 12 სექტემბერს, ზუსტად 14 საათზე მთის ფერდობზე მდებარე ვილასთან თორმეტი პლანერი დაეშვა. დაშვება მათ პრაქტიკულად ხელისგულისოდენა მოედანზე მოახდინეს: ერთი პლანერი იქვე მდგარ ავტომობილს დაეჯახა, მეორე — კლდის ქიმს და მასში მჯდომნი უკლებლივ დაიხოცნენ. ფანჯრიდან გამომზირალმა მუსოლინიმ ჰკითხა მის ოთახში მყოფ კარაბინერს: "ინგლისელები არიან?", "არა, თქვენო აღმატებულებავ, გერმანელები". მუსოლინის პირველი, უშუალო რეაქცია ყველაზე გულწრფელი იყო: "ესლა გვაკლდა!".

ამასობაში კი ქვემოდან ვილის მიმართულებით დესანტი მოიწევდა: სკორცენი იარაღის ლულით უბიძგებდა ოფიცერ სოლეტის, დესანტში მყოფ ერთადერთ იტალიელს, რომელიც თავისიანებს უყვიროდა: "არ ისროლოთ!". როგორც იქნა სკორცენი მუსოლინის წინაშე აღმოჩნდა და საზეიმო იერით განუცხადა: "დუჩე, ჩემმა ფიურერმა თქვენს გასათავისუფლებლად გამომაგზავნა. თავისუფალი ბრძანდებით". მუსოლინი კაპიტანს გადაეხვია და ამ მოვლენასთან დაკავშირებული მეორე წინადადება წარმოთქვა: "ვიცოდი, რომ ჩემი მეგობარი ადოლფ ჰიტლერი არ მიმატოვებდა".

გადაწყვეტილი იყო, რომ მუსოლინი გრან სასოდან ორადგილიანი თვითმფრინავით უნდა წაეყვანათ. საჭესთან გენიალური მფრინავი, კაპიტანი **ჰაინრიხ გერლახი** იჯდა. მფრინავის პროტესტის მიუხედავად თვითმფრინავში სკორცენიც ჩაჯდა. ოპერაციის ხელმძღვანელს თვითრეკლამა სჭირდებოდა, ამიტომაც ცენტნერზე მეტი წონის ახმახი რის ვაი-ვაგლახით მოთავსდა დუჩეს უკან მესამე კაცად ორადგილიან მანქანაში. გერლახს მთელი თავისი ნიჭისა და გამოცდილების მობილიზება დასჭირდა. თვითმხილველი **არიგო პატაკო** სამართლიანად აღნიშნავდა, რომ SS-ის ნიშნების ხათრით იტანდნენ ყველანი სკორცენის თავხედობას.

მიუნხენში ჩასული დუჩე ფიურერმა დაამშვიდა. თანდათანობით ფაშისტური მთავრობის მინისტრებიც მოგროვდნენ და იტალიაში დაბრუნებულებმა ჩრდილოეთის მხარის სხვადასხვა ქალაქებში დაიდეს ბინა. 1943 წლის 10 ოქტომბერს თვით მუსოლინი და მისი სიძე, გალეაცო ჩანო გარდას ტბის მახლობლად, პატარა ქალაქ სალოში დაბანაკდნენ. ასე წარმოიშვა ეგრეთ წოდებული სალოს რესპუბლიკა, ოფიციალურად კი "იტალიური სოციალური რესპუბლიკა", უფრო სწორად კი ჩრდილოეთ იტალიის სხვადსხვა ქალაქებში გაბნეული არქიპელაგი, იტალიური ფაშიზმის უკანასკნელი ბასტიონი. თუმცა კი უნდა ითქვას, რომ მის სათავეში უკვე მუსოლინი კი არა, მისი უსახური და იმედგაცრუებული აჩრდილი იდგა.

ფაშიზმის ამ უკანასკნელ დასაყრდენს ხუთი ძირითადი დინება ქმნიდა. პირველს შეადგენდნენ ფანატიკოსები, რომლებსაც ჯერ კიდევ ბრმად სწამდათ ფაშისტური იდეალების სიძლიერე. და თუმცა იცოდნენ, რომ რევანში უკვე იტალიის მასშტაბითაც შეუძლებელი იყო, მაინც თავგანწირულად ესწრაფოდნენ შურისძიებას. ეს ჯგუფი აღვირახსნილ ძალადობას მიეცა, სისხლის ტბაში დაცურავდა და მასში ისეთმა ადამიანებმაც მონახეს ადგილი, რომლებსაც ამის არავითარი მოტივაცია არ უნდა ჰქონოდათ: ყოფილმა კომუნისტმა **ნიკოლა ბომბაჩიმ** და ფაშიზმისაგან ყოფილმა დევნილმა, **კარლო სილვესტრიმ**.



კაპიტანი ოტო სკორცენი

მეორე ჯგუფს გერმანელთა ყურმოჭრილი მონები წარმოადგენდნენ. მათ **ბუფარინი გვიდი** ხელმძღვანელობდა. ესენი ოკუპანტების მაგიერ ყოველგვარ შავ სამუშაოს ასრულებდნენ და ძალაუფლების ნამცეცებითაც კმაყოფილნი, გერმანელების ინტრიგებში მონაწილეობდნენ. ნელ-ნელა აგროვებდნენ სიმდიდრეს და მზად იყვნენ ბოლო მომენტში გასაქცევად.

ამ ორი ჯგუფის წევრები იყვნენ სალოს "რესპუბლიკის" დამსმენები, მოწოდებით სადისტები, ავანტიურისტები, ავაზაკები, რომელთაც ხელმძღვანელობისგან მიეცა მკვლელობის უზენაესი ნებართვა.

მესამე ჯგუფში შედიოდნენ ინტელექტუალები, რომლებისთვისაც იმდენად ფაშიზმი კი არ იყო ძვირფასი, რამდენადაც მეფისა და ბადოლიოს ღალატი იყო აუტანელი. ესენი ჯერ კიდევ დაცურავდნენ იდეალური ნაციონალიზმის არარსებულ ღრუბლებში. მათ შორის ვხედავთ გასული საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს ფილოსოფოსს, **ჯოვანი ჯენტილეს**, ფუტურისტ მწერალს **ფილიპო ტომაზო მარინეტის**, მხატვარს, **არდენგო სოფიჩისა** და სხვებს.

მეოთხეს შეადგენდნენ სამხედროები, გენერლები, რომლებმაც ვერ აიტანეს მეკავშირის წინაშე აღებული ვალდებულების ღალატი და სამხედრო მარცხი.

მეხუთე ნაწილი კი ფაშისტური ბიუროკრატიის დაბალი რანგის ფუნქციონერებისაგან იყო შედგენილი. ამათ, როგორც ეტყობა, ომის ორომტრიალსა და სწრაფად ცვალებად სიტუაციებში უკეთესი თავშესაფარი ვერ მოძებნეს. დუჩეს მიმართ ერთგულება უფრო მათი უუნარობითა და არარაობით აიხსნებოდა, ვიდრე რაიმე შინაგანი სწრაფვით.

ასე იყო თუ ისე, სალოს რესპუბლიკის გარშემო ანტიფაშისტური წინააღმდეგობის ალყა ვიწროვდებოდა. 1945 წლის გაზაფხულზე მუსოლინი უკვე მილანშია. ახლა უკვე მხოლოდ გაქცევის გზებს ეძებს და ისიც უხალისოდ. გვერდით მხოლოდ კლარეტა პეტაჩი შერჩა — სიძე, გალეაცო ჩანო სალოს რესპუბლიკის ტრიბუნალმა დახვრიტა. ეს მედროვე და ავანტურისტი აგონიაში მყოფი ფაშისტების ინტრიგებსა და საკუთარ ავხორცობას შეეწირა: ისე უყვარდა ქალები, რომ ცოლმაც კი "მამლაყინწა" შეარქვა. ბოლოს მასთან მიგზავნილ გერმანელ ჯაშუშ ქალსაც კი გაეარშიყა და არც თუ უშედეგოდ — ჩრდილოელი ბანოვანები ყოველთვის განსაკუთრებით წყალობდნენ სამხრეთელ მამაკაცებს.

დუჩეს კი ესეც კი აღარ აინტერესებდა. ყველა აღნიშნავდა მის ხასიათსა და ქცევაში გაჩენილ ახალ თვისებას — ბედისადმი უჩვეულო შერიგებას. ამიტომ ბოლო წუთამდე მილანის კარდინალის, **შუსტერის** მასპინძლობით სარგებლობდა. ბოლოს კი უხალისოდ გაჰყვა გაქცევის სასოწარკვეთილ მცდელობას. მისი შვილი, ვიტორიო, გაკვირვებული იგონებს, რომ ნიკოლა ბომბაჩიმ გასაქცევად მხოლოდ ერთი პატარა ჩემოდანი მოამზადა. "მეტი არც არაფერი დამჭირდება, — ღიმილით უთხრა დუჩეს ვაჟს, — ამ საქმეებში გამოცდილი ვარ. 1918 წელს პეტროგრადში ლენინის კაბინეტში ვიყავი. როცა იუდენიჩი უტევდა, ერთად გავიქეცით მოსკოვში". უცნაურია ზოგი ადამიანის ბედი.

დუჩეს სიკვდილი კი მისი ბედის ნაწილი აღარ იყო: ის სხვა ადამიანების ბიოგრაფიაში ჩაეწერა და იმ მყრალ წყლებს შეერია, რომელიც ისტორიამ ახალი იტალიის დაბადებისას დაღვარა.

**ნოდარ ლადარია**
**ლეილა ბეზარაშვილი**

# დიდი სიხარულის მოლოდინში

## "ლამაზმანი" ახალ ცხოვრებას იწყებს



*ასაკი: 36 წელი*
*დაბადების თარიღი: 28.10.1967*
*დაბადების ადგილი: ჯორჯია, აშშ*
*ზოდიაქოს ნიშანი: ღრიანკალი*
*თმის ფერი: ყავისფერი*
*თვალის ფერი: ყავისფერი*
*სახელი: ჯულია ფიონა რობერტსი*

ჯულია ერთ ჩვეულებრივ ოჯახში გაიზარდა: ჰყავდა დედა, მამა, თერთმეტი წლით უფროსი ძმა, ამჟამად ცნობილი მსახიობი, ერიკი და ორი წლით უფროსი და, ლიზა. როცა ჯულია ოთხწლინახევრისა გახდა, მშობლები გაიყარნენ - ესეც ჩვეულებრივი ამბავია. მამამ თან ერიკი წაიყვანა, დედა კი ხელახლა გათხოვდა. მერე ერიკი ნიუ იორკში გაემგზავრა და იქ მსახიობობას მიჰყო ხელი, ხოლო ჯულიას ნახევარდა გაუჩნდა, ნენსი, რაც ჩვენთვის სრულიად უმნიშვნელო ფაქტია, მაგრამ ჯულიას რატომღაც ძალიან ესიამოვნა. მერე ჯულიას მამა და მისი მეორე ცოლი გარდაიცვალნენ, ისინიც სავსებით ჩვეულებრივად: მამას კიბო ჰქონდა, მისი მეუღლე კი ავტოკატასტროფაში მოხვდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჯულიამაც ნიუ იორკისკენ აიღო გეზი - ისევე, როგორც მის ძმას, ერიკს, მასაც მსახიობობა უნდოდა. და მაშინ არაჩვეულებრივი ამბები დაიწყო.

თავიდან მას სერიალებში იღებდნენ და არავინ ამჩნევდა, წარმატება მხოლოდ "პიცა პიცას" გადაღების შემდეგ ეწვია. მერე სალი ფილდმა სიტყვა შეაწია და რეჟისორმა ჰერბ როსმა ჰიტად ქცეულ ფილმში, "ფოლადის მაგნოლიებში" გადაიღო. მაშინ, 1989 წელს, ჯულიამ ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის "ოქროს გლობუსი" მიიღო და, შესაბამისად, გაიმარჯვა.

მას მერე ჯულია რობერტსს საქმე ჩინებულად მისდიოდა. ჰოლივუდის კონკიას, "ლამაზმანის" შემდეგ მის შესახებ უკვე მთელი კინოსამყარო ალაპარაკდა, მას უამრავი თაყვანისმცემელი გაუჩნდა, და დღეს ჯულია რობერტსი ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მსახიობია.

ჟურნალ "ბრავოს" გარეკანი მრავალი წლის განმავლობაში ჯულია რობერტსის გამოსახულებით იყო დამშვენებული. 1990,1991, 1992 და 1999 წლებში მან, როგორც საუკეთესო მსახიობმა ქალმა, "ოქროს ოტო" დაიმსახურა, "ოქროს გლობუსიც" სამჯერ გადასცეს, 2001 წელს კი "ოსკარიც" მიიღო. მისი ჯილდოების სია ძალიან გრძელია: Blockbuster Entertainment Award (1998, 1999), Sho West Award (1991, 1998), Jupiter (1990, 2000), People's Choice Award (2002)... ჟურნალ "პიპლის" მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებულ 50 ულამაზესი ადამიანის სიაში მისი სახელი წლების განმავლობაში არ გამორჩენიათ. ფილმისთვის "საუკეთესო მეგობრის ქორწილი" მას 20 მილიონ დოლარზე მეტი გადაუხადეს - ასეთი რამ მანამდე ჰოლივუდის არცერთ მსახიობ ქალს არ ღირსებია. იგი ასევე პირველი მსახიობი ქალი იყო, რომელიც "ჰოლივუდ რეპორტერის" მიერ გამოქვეყნებულ შოუ-ბიზნესის ძლევამოსილ ქალთა სიაში აღმოჩნდა.

მთელი ამ დიდების ფონზე ჯულიას სიყვარულში არ უმართლებდა - უფრო სწორედ, თვითონ ასე თვლიდა. რამდენჯერმე კინაღამ გათხოვდა, მერე ხანმოკლედ იქორწინა (და ამის შედეგად ძალიან გამწარდა), მერე ხანგრძლივი სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა და ერთ დღეს, მოწმენდილ ცაზე, აღმოჩნდა, რომ აღარ აქვს (და ამის შედეგად ხომ ერთიათად გამწარდა). მის ყველაზე აქტუალურ ექს-საყვარლად ბენჯამინ ბრეტს ასახელებდნენ. ჯულიას უამრავ რომანტიკულ თავგადასავალს მიაწერდნენ, აქტიურად ჭორაობდნენ, რომ ის ჯორჯ კლუნის სატრფო იყო. ჯულია ჭორებს გამწარებით უარყოფდა. მოკლედ, მშვენიერ ჯულია რობერტსს ნამდვილი მამაკაცი არ გამოსჩენია, და ამის გამო ის ძალიან დაჩაგრულად და უბედურად გრძნობდა თავს.

და აი, 2002 წელს ის ცოლად გაჰყვა დენიელ მოდერს, ოპერატორს, ოცნების უფლისწულს! ახლა კი, "სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში გაბრწყინებულმა ჯულიამ მსოფლიოს ამცნო, რომ "ოუშენის თორმეტი მეგობრის" გადაღებების დასრულების შემდეგ ის შოუ-ბიზნესიდან წასვლას აპირებს. თავისი გადაწყვეტილება მან ამგვარად დაასაბუთა: "აღარაფერს ვგეგმავ. წარმოდგენა არა მაქვს, მომავალი სამი თვის განმავლობაში რამდენ კილოგრამს მოვიმატებ... ჯერ ვიცდი, მერე ვნახოთ".

თავადაც მიხვდებოდით: ჯულია რობერტსი ორსულადაა. პროცედურას, რომლის შედეგადაც მას შვილები ეყოლება, ძალიან ჩახლართული სახელწოდება აქვს: ექსტრაკორპორალური განაყოფიერება. ისე, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ ჯულიას ქალ-ვაჟი მომავალი წლის დასაწყისში დაიბადება.

ჯულია ბედნიერია. ამბობს, რომ დედობა ძალიან უნდოდა და მეტი დაცდა აღარ შეეძლო, და შვილების გაჩენის შემდეგ მისი ახალი, სულ სხვანაირი ცხოვრება დაიწყება.

ჯულიას სპიკერმა, ვინმე მერსი ენჯელმენმა რატომღაც გადაწყვიტა, რომ მსოფლიოსთვის უნდა აეხსნა: ტყუპები ჯულია რობერტსის ოჯახში ხშირად ჩნდებიან ხოლმე. მისი დიდედაც ტყუპისცალი ყოფილა, ბიძაშვილებიც ტყუპები ჰყოლია - მოკლედ, ამ თემაზე იმდენი ილაპარაკა, რომ ჟურნალ "შტერნის" კორესპონდენტმა თავი ველარ შეიკავა და თავის სტატიაში იკითხა, სადმე ჯულიას ტყუპისცალიც ხომ არ გეგულებათო?

საერთოდ, ყვითელ პრესას უამრავი კითხვა სტანჯავს: როგორები იქნებიან ბავშვები? სად აპირებს ჯულია მშობიარობას? ნეტა, ბავშვებს რას დაარქმევენ? მანამდე კი მაყურებელი ჯულია რობერტსის მონაწილეობით ორ ახალ ფილმს ნახავს: "უფრო ახლოს", სადაც მას პარტნიორობას ჯუდ ლოუ და ნატალი პორტმენი უწევენ, და "ოუშენის თორმეტ მეგობარს", სადაც მის გვერდით ბრედ პიტსა და ჯორჯ კლუნის ვიხილავთ.

# ეს რამ აფიქრებინა!



47 წლის შერონ სტოუნი თავს ბებერ, უვარგის დედაკაცად გრძნობს. ბრიტანული გაზეთი "სანი" წერს, რომ შერონს მწარედ უთქვამს: "არავის ვჭირდები. არავის ვუნდივარ. აღარც როლს მაძლევს ვინმე, რადგან ბებერი ვარ და ძროხა".

ეს საკმაოდ ძნელი დასაჯერებელია. 90-იანი წლების სექსსიმბოლო დღესაც ჩინებულად გამოიყურება. "ქალი-კატაში" ის თვით ჰოლი ბერისაც არ ჩამოუვარდება, და ვერც იმას დაიბრალებს, არავინ არაფერს მთავაზობსო - აბა, ეს ფილმი რა იყო?!

მიუხედავად ამისა, "სანი" წერს, (შერონისთვის ასეთი რამის დაბრალებას ნამდვილად ვერ გაბედავდა, სხვა თუ არაფერი, სასამართლოში მოუწევდა საქმის გარჩევა): "ნუთუ არავინაა, ვინც ჩემი შიშველი სხეულის სანახავად ფულს გადაიხდიდა?"

მოკლედ, ან გაზეთი იტყუება, ან შერონი გაგიჟდა.

# ვენდოთ ვიქტორიას

ვიქტორია ბექჰემმა, მართლაც სუპერ-ქალმა, ზუსტად იცის, რა უნდა და რა - არა. მაგალითად, მან იცის, რომ მესამე შვილს ესპანეთში არავითარ შემთხვევაში არ გააჩენს. ამის მიზეზი მან თავის მეგობარ ქალს გაუმხილა, იმან კი სასწრაფოდ ჟურნალისტს მოახსენა: "ვიკი ძალიან ჯიუტია," - ამ სიტყვებით იწყებს თავდადებული მეგობარი თავის ნაამბობს. საქმე ისაა, რომ თურმე განებივრებულ ვიქტორიას ესპანეთის სამშობიაროში არსებული პირობები ამაზრზენად მიაჩნია, სამაგიეროდ, დიდი ბრიტანეთის საავადმყოფოები მოსწონს.

ეს უაღრესად ყურადსაღები ინფორმაცია არცთუ მაინცდამაინც ყვითელ "ნიუს ოფ ზე ვოლდში" იყო გამოქვეყნებული, და ამიტომ გარწმუნებთ: ის სავსებით სანდოა.

# იმდენგაცრუებული

პოპ-ვარსკვლავი ესტერი, იგივე მადონა, თავისი კაბალისტური საზოგადოებითა და მოძღვრებით უკმაყოფილო ჩანს. "სტარი" წერს, რომ მადონას უკვე ნერვები ეშლება - სულ ფულს სთხოვენ! გარდა ამისა, ის ძალიან ბრაზობს, რომ მისი გეგმა - ისრაელში მწირობა - საქვეყნოდ ცნობილი გახდა.

გაჯავრებულია მადონას მეუღლე, გაი რიჩიც. მას ერთ რაბინთან შელაპარაკებაც მოუვიდა, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მადონას გეგმების ამბავი მთელს მსოფლიოს მოსდო.

# კემერონი დაგვიწუნეს

პოპ-უფლისწულ ჯასტინ ტიმბერლეიკის მომავალი ქორწილის ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. წესით, მის სუპერსექსუალურ საცოლეს არაფერს უნდა ერჩოდნენ, მაგრამ ნუ იტყვით!

ასე, ჯასტინის ერთმა მეგობარმა US Weekly-ს მოახსენა, რომ "ჯასტინმა იცის, რომ ეს ის ქალი არაა".

ეგ როგორ? ქორწილს ხომ სულ მალე, შობამდე გადაიხდიან? მაგრამ "მეგობარი" თავისას გასძახის: "კემერონი მისი ოცნების ქალი არაა. ადრე ჯასტინი ბრიტნისთან იყო და მე ხომ მახსოვს, ბრიტნიზე როგორ ლაპარაკობდა. კემერონზე ასე არასოდეს ულაპარაკია".

ბევრი ვერაფერი სასიამოვნო სიტყვებია, განსაკუთრებით შეყვარებული კემერონისთვის, თან ლამის ქორწინების წინადღით...

## TV პროგრამა

*26 აგვისტო*

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** სერიალი "უკვდავი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "უცნაური გოგონა" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.10** სუპერ-თასი: "ვალენსია"-"პორტო" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.30** მხ. ფილმი "რონინი". მთ. რ-ში: როებრტ დე ნირო, შონ ბინი (18). **02.35** მხ. ფილმი "სამყაროს უძველესი პროფესია" რეჟ: მაურო ბოლონინი (18).

### პირველი არხი

**07.55** მოამბე **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **09.40** იმღერე რამე **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** "მიამბეთ თქვენზე" **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** სერიალი "ფორსაიტების საგა" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ლეონარდო და ვინჩი" **15.20** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი **17.10** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **17.35** სერიალი "ჩემი ყველაზე ლამაზი არდადეგები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.55** მხ. ფილმი "ფიხის ძაღლის საიდუმლო" (15)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "თომას კრაუნის თაღლითობა" **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "სიჩქარე" **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "სასიკვდილო იარაღი-4" **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "კარლიტოს გზა"

### მზე

**09.00** "ფარული კამერა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "ფანტაზიების კუნძული" **12.00, 21.45** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **13.05** მხ. ფილმი "კატა გავარვარებულ სახურავზე" (გ) (ე. ტეილორი) **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "იაზონი და არგონავტები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** "ფარული კამერა" **18.50** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** "ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია" **00.00** მხ. ფილმი "კაცური სიტყვა" (18) (გაი პირსი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "სიმბა-ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **20.10** დოკ. ფილმი "მულენ რუჟი" 1-ლი ს. **21.00** მიამბეთ თქვენზე **22.00** მხ. ფილმი "ოთხთა სიყვარული" (18)

### იმედი

**08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 03.00** ქრონიკა **08.45** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **10.15** ოლიმპიური თამაშები: ბ. რ. ჭიდაობა, თანამედროვე ხუთჭიდი. **13.10** თანამედროვე ხუთჭიდი (გაგრძელება), წყალში ხტომა (ქალები). **14.00** იმედის მელოდიები **15.10** იმედის მელოდიები **15.30** კალათბურთი (კაცები) მეოთხედფინალი, ხელბურთი (ქალები), ტანვარჯიში. **17.10** კალათბურთი (გაგრძელება), ტანვარჯიში, ბ. რ. ჭიდაობა. **19.20** სერიალი "კლონი" **20.00** ფეხბურთი: "დინამო" (თბილისი) -"სლავია" (პრაღა) **22.20** მძლეოსნობა (გაგრძელება), ტანვარჯიში, ჰოკეი (ფინალი) (გაგრძელება), წყალში ხტომა, კალათბურთი (კაცები) მეოთხედფინალი. **01.00** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **02.30** ტვ-მარკეტი **03.15** იმედის მელოდიები

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "იესო" (გ) **20.10** დოკ. ფილმი **21.10** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "ჰარი - ანგელის გული" (18)

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00,12.00, 15.00,18.00** Новости **09.20, 21.30 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" Сериал 10.30, 19.00 "КЛОН" Сериал 11.20** Дневник XXVIII летних Олимпийских игр **12.10 Х/ф "ОПАСНЫЕ ГАСТРОЛИ" 14.00 "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" Сериал 15.20 "АНГЕЛ НА ДОРОГАХ" Сериал 16.30** Документальный детектив **17.00** "Личная жизнь Валентины Терешковой" **18.20** "Властелины колец". Дневник Олимпиады **20.00 "ЧЕРНЫЙ ВОРОН" Сериал 21.00** Время **22.30** На XXVIII летних Олимпийских играх **00.00 "ДОКТОР ЖИВАГО" Сериал 01.10** На XXVIII летних Олимпийских играх **02.20 "24 ЧАСА" Сериал 03.10 Х/ф "МОЛЛИ" 05.05** "Все путешествия команды Кусто"

### НТВ

**06.00** Утро на НТВ **08.50 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2" Сериал 10.00** "Сегодня утром" **10.25** "Квартирный вопрос" **11.20** "Страна советов" **12.00, 15.00, 17.00, 19.00** "Сегодня" **12.35 Х/ф "ПЕРВЫЙ ТРОЛЛЕЙБУС" 14.20** "Время есть" **14.35** "Криминальная Россия" **15.35** "Принцип домино" **17.30 "МУР ЕСТЬ МУР" Сериал 18.35** "Криминальная Россия" **19.40 "КАК БЫ НЕ ТАК" Сериал 20.50 "Я ВСЕ РЕШУ САМА" Сериал 22.00** "Страна и мир" **22.45 Х/ф "СЕРДЦЕ АНГЕЛА" 01.05 Х/ф "ЩУПАЛЬЦА"**

## იაპონური ხატვა

წინა კროსვორდის პასუხი



## სკანვორდი

1. რუსი ტანმოვარჯიშე ქალი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში; 2. ჩასაკეტი მოწყობილობა; 3. ზაფხულის 26-ე ოლიმპიური თამაშების მასპინძელი; 4. ბერძენი მარათონელი, თანამედროვეობის I თამაშების ჩემპიონი; 5. ქართველი მშვილდოსანი ქალი, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი; 6. რუსი ტანმოვარჯიშე, სეულის ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი; 7. პერუს დედაქალაქი; 8. ატლანტის ოლიმპიური თამაშების მეჩირაღდნე; 9. სპორტული ინვენტარი; 10. მოლდაველი მოჭიდავე, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი; 11. ხელბურთის სამშობლო; 12. ქართველი რაპირისტი, სეულის ოლიმპიური ჩემპიონი; 13. ქართველი კალათბურთელი, მიუნხენის ოლიმპიური ჩემპიონი; 14. მოძრაობა ძალოსნობაში; 15. ამერიკელი მოცურავე ქალი, ლოს-ანჟელესის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი; 16. ამერიკელი ჩოგბურთელი, ატლანტის ოლიმპიური ჩემპიონი; 17. რუსი ფორვარდი, მელბურნის ოლიმპიური ჩემპიონი; 18. იაპონელი ტანმოვარჯიშე, ტოკიოს ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი; 19. მადრიდის "რეალის" პორტუგალიელი ფეხბურთელი; 20. ფრანგი ველომრბოლი ქალი; 21. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 22. რუმინელი ტანმოვარჯიშე ქალი, მონრეალის ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი; 23. სოფიის პრეზიდენტი 1972-80 წლებში; 24. გადასახსნელსახურავიანი მსუბუქი ეტლი; 25. ფინელი სტაიერი, ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 26. ზამთრის სპორტის სახეობა; 27. ქართველი ტყვიის მსროლელი ქალი, სეულის ოლიმპიური ჩემპიონი; 28. უკრაინელი მოჭიდავე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 29. ქართველი ხმლით მოფარიკავე, ტოკიოს ოლიმპიური ჩემპიონი; 30. სარბენი ბილიკის ხელოვნური საფარი; 31. სპორტული საბრძოლო იარაღი; 32. ქართველი მოჭიდავე, მელბურნის ოლიმპიური ჩემპიონი;



# ბობ დილანი პირველ პირში

თუ გამომცემლობა "საიმონი და შუსტერის" ვებ-გვედზე შეხვალთ და საძიებელში მისცემთ სახელსა და გვარს - ბობ დილანი, ვებ-ადმინისტრატორი მხოლოდ ერთ მონაცემს გამოგიტანთ ეკრანზე: ბობ დილანი, "ტარანტულა", დაწერილია 1966 წელს, წლების განმავლობაში თაბახების სახით ვრცელდებოდა, საბოლოოდ კი წიგნად 1971 წელს გამოიცა, შეიცავს 160 გვერდს.

თუმცა, ბობ დილანი მხოლოდ "ტარანტულათი" არ იფარგლება. "საიმონი და შუსტერი" ოფიციალურ ვებ-გვერდზე ჯერ არაფერს ამბობს, მაგრამ საერთაშორისო პრესის საშუალებით ავრცელებს ინფორმაციას, რომ 2004 წლის შემოდგომაზე დილანის თაყვანისმცემლებს უდიდეს საჩუქარს უმზადებს - გაყიდვაში გამოაქვს მისი მემაურების პირველი ნაწილი.

სავარაუდოდ ცნობილია იმ კაცის ვინაობაც, რომელიც ჯერაც საღებავშეუშრობელ წიგნს ერთ-ერთი პირველი შეიძენს. ის ლერი ლემჩოფია - ბობ დილანის ყველაზე ცნობილი თაყვანისმცემელი; ცნობილი თავისი დაჟინებული სიყვარულითა და ერთგულებით მუსიკოსის მიმართ. ამ კაცზე ერთხელ დილანს უთქვამს: "ლერი ის ადამიანია, რომელსაც გაცილებით მეტჯერ უნახავს ჩემი პერფომანსი, ვიდრე მეო".

შეიძლება ასეთი თავდადებული ფანები დილანს ჩუმად და გაუხმარებლად საქართველოშიც ჰყავდეს. სწორედ მათ გასაგონად მოგახსენებთ, რომ:

დილანის წიგნს ძალზე მოკრძალებული სახელი ჰქვია: "ქრონიკები: ნაწილი პირველი", გამომცემლობა "საიმონი და შუსტერი". 304-გვერდიანი მემუარების პრეზენტაცია 12 ოქტომბერს შედგება. ამ თარიღიდან ერთი კვირის შემდეგ კი გაყიდვაში გამოვა მეორე, არანაკლებ საინტერესო და განახლებული გამოცემა - "ლექსები: 1962-2001", რომელშიც ბობ დილანის თითქმის ყველა სიმღერის ტექსტია შესული. (რჩევა: თუ პრეზენტაციაზე დასწრება თქვენთვის არარეალურია, იქნებ წიგნისთვის მოგროვებული თანხით მისი შეძენა იგივე "საიმონი და შუსტერის" ვებ-გვერდიდან, ანდა "ამაზონიდან" შეძლოთ).

მემუარებში თხრობა პირველ პირში მიდის. გამომცემელი დევიდ როზენტალი ტექსტს არაჩვეულებრივს, გულწრფელს, საოცარსა და მშვენიერი მანერით დაწერილს უწოდებს. იგივე მანერით დილანი კიდევ ორ წიგნს დაწერს - მისი მემუარები ხომ, დაპირებისამებრ, სამტომიანი უნდა იყოს.

რაც შეეხება პირველ წიგნს, კონკრეტულად რას მოგვითხრობს მასში ავტორი, უცნობია. სხვადასხვა უცხოური საინფორმაციო წყაროს მიხედვით, ის მუსიკოსის ცხოვრების რამდენიმე მნიშვნელოვან და გადამწყვეტ პერიოდს მოიცავს. ამ ეპიზოდების შესახებ, ცხადია, აქამდეც ბევრი დაწერილა და თქმულა, მაგრამ ახლა პირველად ისტორიაში, დღემდე ჩუმი და სიტყვაძუნწი ბობ დილანი თავად მოგვევლინება მთხრობელის როლში.

მოკლედ, თუ აქამდე ბობ დილანის ცხოვრებით დაინტერესებული უკლებლივ ყველა ფანი მუსიკოსის შეგონებას მისდევდა (ჩემს შესახებ ყველაფრის გაგებაა შესაძლებელი, თუ ჩემს სიმღერებს კარგად მოუსმენთო) და ამ ცოცხალი ლეგენდის "გაშიფვრას" მისი ლექსების საშუალებით ცდილობდა, მალე საყვარელი მუსიკოსის გაცნობას მისი მემუარებით შეძლებს.

სავარაუდოდ, ბობ დილანის ათვლის წერტილი დაახლოებით ის პერიოდი უნდა იყოს, როცა დულუთში (მინესოტას შტატის პატარა, ულამაზესი და ხშირად ნისლიანი ქალაქი ზემო ტბის ნაპირას, უკიდურეს ჩრდილოეთში) დაბადებული რობერტ ციმერმანი მინესოტას უნივერსიტეტიდან გამოვიდა, პოეტ დილან ტომასის სიყვარულითა და გავლენით სახელი ბობ დილანად გადაიკეთა და ნიუ იორკის გრინვიჩ ვილიჯისკენ გასწია. მიდიოდა მსუბუქი და უდარდელი ნაბიჯებით და თან თავში უკვე უტრიალებდა უამრავი უკონტექსტო, მაგრამ უ-ორიგინალურესი სტრიქონი, რომლებიც მოგვიანებით მთელი თაობის ჰიმნებად იქცნენ...

ეს 1960-იანი წლების დასაწყისი იყო. სულ ცოტაღა გახლდათ დარჩენილი მრავალი ლეგენდის დაბადებამდე, ვარსკვლავების ამოსვლამდე, მიმდინარეობების ჩამოყალიბებამდე, ფასეულობების დამკვიდრებამდე, მრავალი ფორმითა და მიზეზით წარმოშობილი პროტესტის ამოქმედებამდე, ერთი სიტყვით - იმ გრანდიოზული სიძლიერის მქონე ტალღის ამოვარდნამდე, რომელსაც 60-იანი წლების რევოლუცია დაერქვა და რომლის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟიც ბობ დილანი იყო.

მოკლედ, ის-ის იყო 60-იანი წლები დაიწყო, რომ სახელგადაკეთებულმა გამხდარმა მინესოტელმა, განსხვავებული აზრით, უცნაური ხმით, ახლებური პოეტური იდეებით, გაბედულებითა და ზურგზემოგდებული გიტარით გრინვიჩ ვილიჯისკენ გასწია. ჯოან ბაეზი მის ერთ-ერთ პირველ გამოსვლას ასე იხსენებს: "ვილიჯის ფოლკ-კლუბში შევედი. უცებ მომესმა, წვრილხმიანი, გაცქნაფული ვირთხის ხმით ვილაც მღეროდა. ადგილზევე გავქვავდი. მივხვდი, ის აშკარად გამორჩეული იყო".

მართლაც, ფოლკის ლეგენდის, ვუდი გათრის შთაგონებით დილანმა მალე გაითქვა სახელი. 1961 წელს გამართულ მის ერთ-ერთ კონცერტს კარიერის შემდგომი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი რეცენზია მოჰყვა: მიმომხილველი დილანის ხმას ასე ახასიათებდა - მისი ხმის ჟღერადობას ყველაფერი შეიძლება დაარქვა, გარდა ლამაზისა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ხმის პატრონის კარიერის ტრაექტორია მაინც მაღლა და მაღლა მიიწევსო.

თითქმის მეორე დღესვე დილანმა უდიდეს ხმის ჩამწერ კომპანიასთან "ქოლამბია რექორდსთან" გააფორმა კონტრაქტი.

ასე დაიწყო ლეგენდარულმა კენჭმა გორაობა გზაზე - პროტესტიდან პროტესტამდე, იუდაიზმიდან ქრისტიანობამდე და მერე - ისევ უკან, ანუ, ღმერთიდან - ღმერთამდე, იდეიდან იდეამდე, აკუსტიკური გიტარიდან ელექტრონულ გიტარამდე, "ფლეიბოის" გოგონამდე, ოთხ შვილამდე, საიდუმლო ქორწინებამდე, მრავალ ქაოტურ რომანამდე, სექსუალურ რევოლუციამდე, ვიეტნამის ომამდე, ადამიანის უფლებებამდე, "გრემიმდე", "ტარანტულამდე", ფოლკ-როკამდე, ქანთრის, ფოლკის, ბლუზისა და როკის მიქსამდე, პრესისგან საიდუმლოდ შენახულ ბიოგრაფიულ დეტალებამდე, "ვიქტორიაზ სექრეთზის" რეკლამამდე, მილიონობით გაყიდულ ჩანაწერამდე, პოპ-კულტურამდე, წარმატება-მარცხის ზღვრამდე, ცვალებად დრომდე, ქარში მოფრიალე პასუხამდე...

კენჭი დღესაც უდარდელად დაგორავს ოღრო-ჩოღრო გზებზე. 63 წლის მუსიკოსი უილი ნელსონთან ერთად ახლა ტურნეში იმყოფება - ამერიკული ქალაქიდან ქალაქში გადადის და ბეიზბოლის ქვედა ლიგის პარკებში უკრავს.

....სანამ ოქტომბერი დადგებოდეს და თქვენ მემუარების პირველ გვერდს გადაშლიდეთ, შეგახსენებთ, რომ ბოლო წლებში მისი ორი ალბომი გამოვიდა. ორივე მათგანი 1964-75 წლებს მოიცავს და ამ პერიოდში შესრულებულ ყველა ცოცხალ გამოსვლას აერთიანებს. არ გამოგრჩეთ არც თანამედროვე ფოლკის კატეგორიაში 2002 წელს "გრემით" დაჯილდოებული ალბომი Love and Theft. დანარჩენი კი 12 ოქტომბრის შემდეგ იყოს.




**ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა აცხადებს კონკურს შემდეგ თანამდებობებზე: წამყვანები ტელევიზიის გასართობი, შემეცნებითი, საბავშვო-საყმაწვილო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემებისათვის**

**მოთხოვნები**
- ასაკი 25 წლის ზემოთ;
- სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უცხო ენის ცოდნა;
- გამართული მეტყველება;
- უმაღლესი განათლება;
- ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

**ტელევიზიის რუსული, აფხაზური, აზერბაიჯანული, სომხური საინფორმაციო პროგრამების წამყვანები**

**მოთხოვნები**
- ასაკი 25 წლის ზემოთ;
- სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- შესატყვისი ენის - რუსული, აფხაზური, სომხური, ან აზერბაიჯანული - სრულყოფილი ცოდნა;
- გამართული მეტყველება;
- უმაღლესი განათლება;
- ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

მსურველებმა ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის მოქალაქეთა მისაღებში უნდა შეავსონ ანკეტები და დაურთონ 3 ფოტო (9X13) - პორტრეტი, სამ სხვადასხვა რაკურსში. ანკეტების მიღება იწარმოებს 18 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე.

**მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68**






თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24



**გაერო-ს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს ტენდერს ა/მანქანის შეძენაზე შემდეგი სპეციფიკაციით:**

**- 4X4 მაღალი გამავლობის;**

**- ძრავის მინ. მოცულობა: 30.0; დიზელი ან ტურბო-დიზელი;**

**- მექანიკური გადამცემი კოლოფი, 5 სიჩქარიანი;**

**- სალონი: 8-10 ადგილი;**

**- კონდიციონერი და სასურველია, აუდიო მაგნიტოფონი.**

**გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი წინადადება დალუქულ კონვერტში ქ-ნი ნატო გზობავას სახელზე შემდეგ მისამართზე: გაერო-ს სახლი, ერისთავის ქ. N9, თბილისი 0179. წინადადების წარდგენის ბოლო ვადაა ა/წლის 6 სექტემბერი.**






## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.